ინდუსტრიული საზოგადოება და მისი მომავალი

მანიფესტი

თეოდორე ჯონ კაჩინსკი

ნაციონალისტური ბიბლიოთეკა

2023



ნაციონალისტური ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

თეოდორე ჯონ კაჩინსკი, უნაბომბერი (FBI-ის მიერ მიცემული ზედმეტსახელი, **Un**iversity and **A**irline **Bomber**), 167 IQ-თი მათემატიკის სერტიფიცირებული გენიოსი, 1942 წელს დაიბადა ჩიკაგოში, ილინოისის შტატში. 15 წლის ასაკში დაამთავრა სკოლა და ჩაირიცხა ჰარვარდის უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა MK-Ultra-ს ექსპერიმენტში (CIA-ის საიდუმლო, არალეგალური ექსპერიმენტი, მიმდინარეობდა 1953-1973 წლებში, რომლის მიზანიც იყო, დასაკითხ პიროვნებაზე ფსიქოლოგიური და ნარკოტიკული ზემოქმედება, რადგან უფრო ადვილად ეღიარებინა სიმართლე.) სადაც აქტიურად იყო ფსიქოლოგიური მანიპულაციის მსხვერპლი, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია მის ჩაკეტილ პიროვნებაზე. 25 წლის ასაკში გახდა მათემატიკის დოქტორანტი და იმავე წელს დაიწყო კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლიში პროფესორად მუშაობა, გამოაქვეყნა რამდენიმე მათემატიკური ნაშრომი, რომლებმაც საკმაოდ დიდი აღიარება მოიპოვეს. უნივერსიტეტიდან სულ, რაღაც ორ წელიწადში წამოვიდა და მონტანას უღრან ტყეში კაბინაში დასახლდა. (მისი თქმით ველურ ბუნებაში ცხოვრება მუშაობის დაწყებამდე ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა აუცილებელი ნივთებისთვის ფული სჭირდებოდა.) ტყეში ცხოვრების განმავლობაში ტედი ხედავს რა, როგორ ნადგურდება მის გარშემო ველური ბუნება ინდუსტრიალიზმის დამსახურებით, იწყებს მოქმედებას. მისი თავდაპირველი აქტივიზმი ადგილობრივ ხელისუფლებასთან

დაუმორჩილებლობაში გამოიხატება, მაგრამ როდესაც ხვდება, რომ ეს შედეგს ვერ იღებს გადადის აგრესიულ მეთოდებზე. იგი ქმნის იმპროვიზირებულ ასაფეთქებელ მოწყობილობებს მის გარშემო არსებული რესურსებით და იწყებს მათ დაგზავნას ანონიმური ფოსტით. კაჩინსკის ტერორი 1978 წელს დაიწყო და 17 წელი გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში ის აგზავნის 16 ბომბს, რამაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ოცამდე კი დაიჭრა. 1995 წელს ის თავის მანიფესტს "ინდუსტრიული საზოგადოება და მისი მომავალი" აგზავნის ნიუ-ორკ ტაიმსში და ვაშინგტონ პოსტში და ითხოვს ფართო მასებისთვის გაცნობას თუ არადა პირობას იძლევა, რომ გააგრძელებს ბომბების გაგზავნას. FBI რომელმაც კვალის აღებაც კი ვერ შეძლო, დაჰყვება მის ნებას და მანიფესტი ორ ყველაზე დიდ, ამერიკულ გაზეთში იბეჭდება. მან მალევე მიიქცია საზოგადოების, განსაკუთრებით კი ტედის ძმის და რძლის, დევიდის და ლინდას ყურადღება. დევიდმა შეადარა ტედის მიერ გაგზავნილი წერილების და მანიფესტის წერის სტილი ერთმანეთს, ასევე ყურადღებაში მიიღო მისი ძმის უცნაური ხასიათი და სიყვარული ბუნების მიმართ, დაუჯერა ცოლს და გასცა საკუთარი ძმა. ამერიკის ისტორიაში ყველაზე გრძელი და ძვირად ღირებული გამოძიება დასრულდა, კაჩინსკი საკუთარ კაბინაში 1996 წელს აიყვანეს. ადვოკატები ურჩევდნენ სასიკვდილო განაჩენის თავიდან ასაცილებლად თავი შეურაცხადად წარმოედგინა, თუმცა მან უარი განაცხადა. ტედს პასუხისგებაში რვა სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მემუარებში ტედი ძმას, მოღალატედ რაცხავს და იუდა ისკარიოტელს ადარებს, მაგრამ მხოლოდ ერთი გამონაკლისით: "იუდასგან განსხვავებით ჩემ ძმას სიმამაცე არ ეყო, რომ წასულიყო და თავი ჩამოეხრჩო."

ვაკო დემინაშვილი

ინდუსტრიული საზოგადოება და მისი მომავალი

შესავალი

1.ინდუსტრიული რევოლუცია და მისი შედეგები დამღუპველი აღმოჩნდა კაცობრიობისთვის. მან საგრძნობლად გაზარდა „განვითარებულ“ სამყაროში მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობა, მაგრამ მოახდინა საზოგადოების დესტაბილიზაცია, ცხოვრებას წაართვა ადამიანური მიზნები, დაუმონა ადამიანები გარყვნილებას, გამოიწვია ფართომაშტაბიანი ფსიქოლოგიური სტრესი(მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ფიზიკური ტანჯვაც) და მიაყენა სასტიკი ზიანი ბუნებას. უწყვეტი ტექნოლოგიური განვითარება მხოლოდ დაამძიმებს

სიტუაციას, უცილობლად გაზრდის გარყვნილების დონეს და უფრო დიდ ზიანს მიაყენებს გარე სამყაროს. ალბათ გამოიწვევს უარეს სოციალურ არეულობას და ფსიქოლოგიურ პრობლემებს. მან შეიძლება „განვითარებულ" ქვეყნებშიც კი გაზარდოს ფიზიკური ტანჯვის დონე.

2.ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური სისტემა გადარჩება ან განადგურდება. თუ ის გადარჩება, შეიძლება შეამციროს ფიზიკური და ფსიქოლოგიური სტრესი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ რაც გაივლის საზოგადოების დარეგულირების ხანგრძლივ და მტკივნეულ პერიოდს, სადაც ადამიანები და სხვა ბიოლოგიური ორგანიზმები ბიო-ინჟინირებული ობიექტები იქნებიან. უფრო მეტიც, თუ სისტემა გადარჩება, არ არსებობს მისი რეფორმირების გზა, სადაც დაცული იქნება ხალხის ღირსება და ავტონომია.

3.თუ სისტემა ჩამოიშალა შედეგები მაინც მტკივნეული იქნება: რაც უფრო იზრდება იგი, უფრო სავალალო შედეგს მოიტანს მისი განადგურება. მაგრამ თუ მას განადგურება უწერია, სჯობს ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს.

4.შესაბამისად, ჩვენ ვემხრობით რევოლუციის იდეას ინდუსტრიული სისტემის წინააღმდეგ. რევოლუცია შეიძლება იყოს ძალადობრივი, უცაბედი ან თანმიმდევრული ხანგრძლივი პროცესი. ჩვენ არ გვძალუძს ამ ყველაფრის წინასწარმეტყველება. მათთვის, ვისაც ეზიზღება ინდუსტრიული სისტემა, ჩვენ ვხაზავთ განზოგადებულ მოქმედების გეგმას, რომელიც ამ სისტემის წინააღმდეგ, რევოლუციაში უნდა იქნეს გამოყენებული. რევოლუციის მთავარი მიზანი მთავრობების დამხობა კი არა, ამ საზოგადოების ეკონომიკური და ტექნოლოგიური ბაზისების მოსპობაა.

5.ამ ნაშრომში, ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური სისტემის ზოგიერთ ნეგატიურ შედეგს განვიხილავთ, დანარჩენებს ან მოკლედ მიმოვიხილავთ, ანდაც საერთოდ არ შევეხებით. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უმნიშვნელოდ მიგვაჩნია. პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე, იმ თემებს შევეხებით, რომლებმაც საზოგადოების ნაკლები ყურადღება დაიმსახურა. მაგალითისთვის: რადგანაც, გარემოს დაცვითი ორგანიზაციები კარგადაა განვითარებული, ცოტას თუ ვისაუბრებთ ბუნების

დეგრადაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

თანამედროვე მემარცხენეების ფსიქოლოგია

6.ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ძალზედ პრობლემატურ სოციუმში ვცხოვრობთ. ჩვენს სამყაროში ყველაზე გავრცელებული სიგიჟის მანიფესტაციაა მემარცხენეობა. ასე, რომ მათი ფსიქოლოგიის განხილვა თანამედროვე სამყაროს პრობლემების გააზრებაში დაგვეხმარება.

7.მაგრამ, რა არის მემარცხენეობა? XX საუკუნის პირველ ნახევარში მემარცხენეობა ძირითადად ასოცირდებოდა სოციალიზმთან. დღეისათვის მოძრაობა დაყოფილია და ნათელი არ არის ვის შეიძლება ეწოდოს მემარცხენე. ჩვენთვის ისინი არიან: სოციალისტები, კოლექტივისტები, „პოლიტ-კორექტულები", ფემინისტები, ჰომოსექსუალი და შშმ აქტივისტები, ცხოველთა უფლებების დამცველები და ა.შ. მაგრამ ყველა, ვინც ზემოთ ჩამოთვლილთან ასოცირდება არაა მემარცხენე. ჩვენ, მემარცხენეობის, როგორც იდეოლოგიის ან მოძრაობის განხილვა კი არ გვსურს, არამედ მათი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა და რასაც ვგულისხმობთ „მემარცხენეობაში" ნათლად გამოჩნდება მათი ფსიქოლოგიის აღწერისას.(ასევე იხილეთ პარაგრაფები 227-230.)

8.თუმცა, ჩვენეული ხედვა მემარცხენეობისა ბოლომდე ზუსტი არაა. უბრალოდ ვცდილობთ ორი ფსიქოლოგიური ტენდენცია გამოვყოთ, რომლებიც თანამედროვე მემარცხენეობის მამოძრავებელ ძალად მიგვაჩნია. არავითარ შემთხვევაში არ ვიკვლევთ მათ ფსიქოლოგიას სიღრმისეულად. ასევე, მხოლოდ თანამედროვე მემარცხენეებზე ვსაუბროთ, ხოლო XIX და XX საუკუნის მემარცხენეობასთან დაკავშირებულ კითხვებს უპასუხოდ ვტოვებთ.

9.ორი ფსიქოლოგიური ტენდენცია, რომელიც თანამედროვე მემარცხენეებში გვხვდება არის „სისუსტის განცდა"(feeling of inferiority) და „გადაჭარბებული სოციალიზაცია"(oversocialization). აქედან, სისუსტის განცდა მთლიანად თანამედროვე მემარცხენეების, როგორც ჯგუფის დამახასიათებელი ნიშანია,

ხოლო უკანასკნელი მხოლოდ გარკვეულ სეგმენტს ახასიათებს, მაგრამ სწორედ ეს სეგმენტია ყველაზე გავლენიანი.

სისუსტის განცდა/Feeling of inferiority

10.სისუსტის განცდას ვიწრო ჭრილში კი არა, მასთან დაკავშირებულ ნიშან-თვისებებთან ერთად განვიხილავთ. დაბალი თვითშეფასება, დეპრესიული ტენდენციები, დიფიტიზმი(defeatism), საკუთარი თავის სიძულვილი და დადანაშაულება და ა.შ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნეო მემარცხენეების ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მათი იდეოლოგიის მუშაობის პრინციპებში.

11.როდესაც ვიღაც მისდამი ან იმ ჯგუფისადმი, რომელსაც თავს მიაკუთვნებს ნათქვამ რეპლიკებს ყოველთვის დამამცირებლად ან შეურაცხმყოფელად იღებს, ვასკვნით, რომ მას სისუტის განცდა ან დაბალი თვითშეფასება აქვს. ეს ტენდენცია უმცირესობათა უფლებების დამცველთა შორის ყველაზე კარგად არის გამოხატული. არ აქვს მნიშვნელობა მიეკუთვნებიან თუ არა ამ ჯგუფს, ისინი ძალზედ სენსიტიურად არიან განწყობილნი ყოველი განცხადებისადმი, რომელიც ზემოთხსენებული ჯგუფისადმია მიმართული. ტერმინებს "ნეგრო", "ინვალიდი", "oriental/აზიელი" ან "chick/მდედრი" არ ჰქონიათ დამამცირებელი მნიშვნელობა. ნეგატიური ასოციაცია ამ სიტყვებს თვითონ მემარცხენე აქტივისტებმა მიანიჭეს. ზოგიერთმა, ცხოველთა დამცველმა ისე გაუტია, რომ "შინაური ცხოველის" ჩანაცვლება "ცხოველი კომპანიონით" სურს. მემარცხენე ანთროპოლეგები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ არაფერი ნეგატიური არ წამოცდეთ პრიმიტიული ხალხების შესახებ. მათ სურთ "პრიმიტიულის"

მაგივრად "წერა-კითხვის უცოდინარი" გამოვიყენოთ. ისინი პარანოიდული შიშით უყურებენ ყველაფერს, რამაც შეიძლება იგულისხმოს, რომ პრიმიტიული ხალხის კულტურა ჩვენსაზე განუვითარებელია.(ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ პრიმიტიული ხალხის კულტურას ჩვენი სჯობს. უბრალოდ მემარცხენე ანთროპოლოგების ჰიპერსენსიტიურობას გავუსვით ხაზი)

12."პოლიტიკურად არასწორი/politically incorrect" ტერმინების მიმართ სენსიტიურად განწყობილი, საშუალო სტატისტიკური გეტოში მცხოვრები შავკანიანი, აზიელი იმიგრანტი, ძალადობას გამოვლილი ქალი ან შშმ პირი კი არაა, არამედ უმცირესობათა უფლებების დამცველები, რომელთა უმრავლესობა "ჩაგრული" ჯგუფის კი არა საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილის წევრია. პოლიტ-კორექტულობას ფესვები ღრმად აქვს გადგმული უნივერსიტეტის

პროფესორებში, რომლებსაც სტაბილური სამსახური და ანაზღაურება აქვთ და ხშირ შემთხვევაში, საშუალო და ზედა ფენის წარმომადგენელი თეთრი ჰეტეროსექსუალი მამაკაცები არიან.

13.ბევრ მემარცხენეს ახასიათებს ისეთ ჯგუფებთან ასოცირება, რომელთაც სუსტების(ქალები), დამარცხებულების(ინდიელები), ჩაგრულების(ჰომოსექსუალები) სახელი აქვთ საზოგადოებაში. მემარცხენეები საკუთარი ინიციატივით ფიქრობენ და აცხადებენ, რომ ასეთ ჯგუფები საჭიროებენ დაცვას. რათქმაუნდა ისინი არ აღიარებენ ასეთ შეხედულებები, რომ აქვთ, მაგრამ ზუსტად იმიტომ ითავისებენ ამ ჯგუფების პრობლემებს, რომ დაუცველად და სუსტებად აღიქვავენ მათ.(არ ვფიქრობთ, რომ ქალები, ინდიელები და ა.შ. შემდეგ დაუცველები ან სუსტები არიან. უბრალოდ მემარცხენეების ფსიქოლოგიას ვუსვამთ ხაზს.)

14.ფემინისტები ძალზედ მოწადინებულები არიან დაამტკიცონ, რომ ქალები, კაცებივით ძლიერები და უნარიანები არიან. მათ ქვეცნობიერში აქვთ შიში, რომ ქალები შეიძლება არ იყვნენ კაცებივით ძლიერნი.

15.მემარცხენეებს ეზიზღებათ ყველაფერი ძლიერი, წარმატებული და საუკეთესო. მათ სძულთ ამერიკა, დასავლური ცივილიზაცია, თეთრი კაცი და რაციონალურობა. ხოლო მიზეზები თუ რატომაც სძულთ ზემოთ აღნიშნული მათ მოტივებს არ შეესაბამება.მათი თქმით დასავლეთი იმიტომ სძულთ, რომ ის ომისმოყვარე იმპერიალისტი, სექსისტი და ეთნო-ცენტრისტია, მაგრამ როდესაც იგივე ღირებულებები სოციალისტურ ანდაც პრიმიტიულ საზოგადოებაში იჩენს თავს, მემარცხენე ან გამართლებას უძებნის ან უხალისოდ აღიარებს მათ არსებობას. მაშინ როცა ენთუზიაზმით აღსავსე მიუთითებს(და ხშირ შემთხვევაში აზვიადებს) ამ შეცდომებს დასავლურ ცივილიზაციაში. შესაბამისად ნათელია, რომ ეს უარყოფითი ღირებულებები კი არ არის მემარცხენეს ზიზღის მთავარი მოტივი, არა მას ამერიკა და დასავლეთი იმიტომ ეზიზღება, რომ ისინი ძლიერები და წარმატებულები არიან.

16.სიტყვები როგორიცაა "თვითდაჯერებულობა", "თვითგადარჩენა", "ინიციატივა", "წარმოება", "ოპტიმიზმი" და ა.შ. იშვიათად თუ მოიძებნება მემარცხენეს და ლიბერალის ლექსიკონში. ის ანტი-ინდივიდუალისტი და პრო-კოლექტივისტია.მას სურს, რომ საზოგადოებამ ყველა პრობლემა და მოთხოვნა მოუგვაროს და დაუკმაყოფილოს. იგი არაა დარწმუნებული საკუთარ

შესაძლებლობებში რომ თვითონვე შეძლოს საკუთარი მოთხოვნების და პრობლემების გადაჭრა. მემარცხენე მტრულადაა განწყობილი კონკურენციის კონცეპტისადმი, რადგან გულის სიღრმეში თავს დამარცხებულად/"ლუზერად" გრძნობს.

17.ხელოვნება, რომელიც მემარცხენე ინტელექტუალებს იზიდავთ, მოწყენილობით, დამარცხების სინდრომით და სასოწარკვეთითაა სავსე ან გარყვნილი ელფერი დაჰკრავს. ყოველგვარი რაციონალური მორალისგან დაცლილი უსულო ქმნილება, რომლესაც რაიმეს შექმნის ან მიღწევის ძალა არ შესწევს და მომენტით ტკბობას მისცემია.

18.თანამედროვე მემარცხენე ფილოსოფოსები უარყოფენ რაციონალურ მიზეზებს, მეცნიერებას, ობიექტურ რეალობას და ირწმუნებიან, რომ ყველაფერი კულტურიდან გამომდინარეობს. რათქმაუნდა მეცნიერული ცოდნის აღმოჩენა/გამოყნების და ობიექტური რეალობის სწორედ ჩამოყალიბება კითხვებს ბადებს, მაგრამ უდავოა, რომ თანამედროვე მემარცხენე ფილოსოფოსები გაწონასწორებული ლოგიკოსები არ არიან, რომლებიც სისტემატიურად აანალიზებენ ცოდნის საწყისს. მათ ემოციურ დონეზე აქვთ გათავისებული რეალობასთან და ჭეშმარიტებასთან ბრძოლა. ისინი ამ ღირებულებებს საკუთარი ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების გამო ებრძვიან. ერთი მხრივ თუ წარმატებით განახორციელეს დარტყმა, ძალაუფლებით ტკბებიან, მეორეს მხრივ მეცნიერებაზე იმიტომ ილაშქრებენ, რომ ის ზოგიერთ შეხედულებებს სიმართლედ(ე.ი. წარმატებული ძლიერი), ხოლო ზოგსაც სიცრუედ(წარუმატებელი, დამარცხებული) აღიარებს. მემარცხენეს სისუსტის გრძნობა ისე ღრმად აქვს გამჯდარი, რომ ჭირივით ეზიზღება ნებისმიერი სახის კლასიფიკაცია, რომელიც ძლიერ და სუსტად, წარმატებულ და წარუმატებლად ახარისხებს მსოფლიოს.

ეს ხსნის იმასაც, თუ რატომ უარყოფენ მემარცხენეები გონებრივ დაავადებებს და IQ ტესტის პრაქტიკულობას.ისინი მტრულად უყურებენ ამათუ იმ პიროვნების შესასძლებლობების და ქცევის გნეტიკურ ახსნას, ასეთ მსჯელობა პიროვნებას სხვაზე ძლიერად ან სუსტად წარმოაჩენს.მათ ურჩევნიათ პიროვნების უუნარობაში საზოგადოება დაადანაშაულონ. შესაბამისად თუ პიროვნება "სუსტი" ქვეკაცია ეს მისი კი არა საზოგადოების ბრალია.

19.მემარცხენე არაა ის პიროვნება, რომლის სისუსტის განცდაც მას ტრაბახა, ეგოისტ და მძვინვარე კონკურენტად აქცევს. თუმცა ასეთ ადამიანს ბოლომდე არ დაუკარგავს საკუთარი თავის რწმენა. მიუხედავად იმისა, რომ

თვითდაჯერებულობის და ძლიერების საკმაო დეფიციტი აქვს, მაინც შეუძლია შთააგონოს "შინაგან მეს", რომ ძლიერი იყოს და სწორედ ამ ძლიერებისადმი ლტოლვა წარმოქმნის მის არასასიამოვნო საქციელს. მაგრამ სისუსტე ისე აქვს გამჯდარი, რომ როგორც ინდივიდი ძლიერი და ღირებული ვეღარ იქნება. აქედან გამომდინარეობს მემარცხეენების ლტოლვა კოლექტივიზმისკენ. მემარცხენე მაშინაა ძლიერი, როდესაც დიდი ორგანიზციის ან დაჯგუფების წევრია, რომელთანაც იდენტიფიცირებას ახდენს.

20.ყურადსაღებია მემარცხენეების ტაქტიკაში მაზოხისტური ტენდენციები. ისინი პროტესტს მოძრავი მანქანის წინ დაწოლით გამოხატავენ. შეგნებულად წამოიკიდებენ პოლიციას ან რასისტებს და ეს უკანასკნელნიც ძალადობენ მათზე. ეს ტაქტიკა არც ისე ეფექტურია, მაგრამ ბევრი მემარცხენე მაინც მიმართავს მას, არა იმიტომ რომ წარმატებით გააპროტესტონ "პრობლემა" არამედ იმიტომ, რომ მაზოხისტური ჩვევები აქვთ. საკუთარი თავის სიძულვილი მემარცხენეს დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

21.მემარცხენეები ამბობენ, რომ მათი იდეოლოგია თანაგრძნობაზე და მორალურ პრინციპებზე დგას, მაგრამ ეს ღირებულებები ვერ იქნება მათი აქტივიზმის მთავარი მოტივი. აგრესიულობა და ძალაუფლებისკენ ლტოლვა მათi საქციელის თვალსაჩინო კომპონენტია. უფრო მეტიც, მემარცხენეს საქციელი გათვლილიც კი არაა იმ ხალხის დასახმარებლად, რომელსაც მისი თქმით ის იცავს. მაგალითად, თუ რეფორმა სასარგებლოა შავი ხალხისთვის, რამდენად მართებულია ამ რეფორმის მოთხოვნა აგრესიული და დოგმატური გზით? თავისთავად უკეთესია დიპლომატიური და შემრიგებლური ტონი იქნეს გამოყენებული, რომელიც სიმბოლურად მაინც დაუყვავებდა იმ თეთრებს, რომლებიც ფიქრობენ რომ ეს რეფორმა მათთვის დისკრიმინაციულია. მაგრამ მემარცხენე ამ გზას არ აირჩევს, რადგან ეს მის ემოციურ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. შავების დახმარება არაა რეალური მიზანი. რასობრივი პრობლემები მემარცხენეს საშუალებას აძლევს სიძულვილი გამოაფრქვიოს და ძალაუფლების ხელში აღების ნება გამოხატოს. ამ პროცესში კი შავებს უფრო აზარალებენ, რადგან მათი მტრული დამოკიდებულბება თეთრი ხალხის მიმართ ამძაფრებს რასობრივ ზიზღს.

22.თუ ჩვენს საზოგადოებაში სოციალური პრობლემები არ იარსებებდა, მემარცხენე ასეთ პრობლემებს "გამოიგონებდა", რათა აურზაურის გამოწვევის მიზეზი ჰქონოდა.

23.ხაზს ვუსვამთ, რომ ზემოთ აღნიშნული არ არის ზუსტი აღწერა ყველა მემარცხენისა, უბრალოდ უხეშად ჩამოვაყალიბეთ მათი განზოგადებული სახე.

გადაჭარბებული სოციალიზაცია/ოვერსოციალიზაცია/oversocialization

24.ფსიქოლოგები იყენებენ ტერმინს "ოვერსოციალიზაცია", იმ პროცესის აღსაწერად, რომლის დროსაც ბავშვები "იწვრთნებიან", რომ იფიქრონ და მოიქცნენ ისე, როგორც ამას მოითხოვს საზოგადოება. პიროვნება კარგადაა სოციალიზირებული თუ ემორჩილება სოციუმის მორალურ კოდს და მისი ფუნქციონალური წევრია. ლოგიკური არ იქნება ვთქვათ, რომ ბევრი მემარცხენე "ოვერსოციალიზირებულია" რადგან ისინი სოციუმზე აჯანყებულებად ითვლებიან, მაგრამ ამ თეორიაზე დავა შეიძლება, იმიტომ რომ ბევრი მემარცხენე არც ისეთი მეამბოხეა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

25.ჩვენი საზოგადოების მორალური კოდი იმნაირადაა მოწყობილი, რომ შეუძლებელია მისი ზედმიწევნით დაცვა. მაგალითად, სიძულვილი არ შეიძლება, თუმცა ვიღაცას მაინც სძულს ვიღაც, აღიარებს ამას თუ არა. ზოგიერთი ისეთ მაღალ დონეზეა სოციალიზირებული, რომ ნებისმიერი მორალური ქმედების მცდელობა დიდ ტვირთად აწვება, ისინი გამუდმებით იტყუებენ თავებს და ცდილობენ საკუთარ საქციელს და მოტივს, რომელსაც ამორალური საფუძვლები აქვს მორალური ახსნა მოუძებნონ. ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს “გადაჭარბებულად სოციალიზირებული/ოვერსოციალიზირებული” ასეთი ხალხის აღსაწერად.

26.გადაჭარბებული სოციალიზაცია იწვევს დაბალ თვითშეფასებას, სისუსტის განცდას, დამარცხებისკენ მიდრეკილებას და ა.შ. ერთ-ერთი მეთოდი, რომლითაც ჩვენი საზოგადოება ბავშვების სოციალიზაციას ახდენს არის: მათი იმ საუბრის და საქციელის შერცხვენა, რომელიც ამავე საზოგადოების სტანდარტებში არ ჯდება. თუ ეს მეთოდი ზედმეტი დოზით იქნა გამოყენებული ანდაც ბავშვს სუსტი გამძლეობა აღმოაჩნდა, შეიძლება მას საკუთარი თავის შერცხვეს. უფრო მეტიც ოვერსოციალიზირებული ადამიანის ფიქრები და საქციელი საზოგადოების მოლოდინებით უფრო მეტადაა შეზღუდული ვიდრე

ნაკლებად სოციალიზირებულისა. უმრავლესობა აქტიურად “ცელქობს” ხოლმე. ისინი იტყუებიან, იპარავენ უმნიშვნელო ნივთებს, არღვევენ საგზაო წესებს, აგვიანებენ სამსახურში, სძულთ სხვები და ა.შ. ოვერსოციალიზირებულ პიროვნებას არ შეუძლია ასეთი რამის გაკეთება. ან თუ მაინც “იცელქებს” მას უჩნდება საკუთარი თავის ზიზღი და სირცხვილი. ოვერსოციალიზირებულ ადამიანს საზოგადოდ დამყარებული სტანდარტების საწინააღმდეგოდ ფიქრიც კი არ ძალუძს. და სოციალიზაცია მხოლოდ მორალიდან არ გამომდინარეობს, ჩვენ ვსოციალიზირდებით, რადგან შევიმეცნოთ ქცევის ნორმები, რომლებიც არ ცდება მორალის საზღვრებს. შესაბამისად გადაჭარბებულად სოციალიზირებულ ადამიანს ფსიქოლოგიური აღვირი აქვს ამოდებული და მთელი ცხოვრება იმ გზაზე დადის, რომელზეც საზოგადოება დააყენებს. ბევრ ოვერსოციალიზირებულ ადამიანში ეს ყველაფერი საკმაოდ სერიოზულ სტრესს იწვევს. ვფიქრობთ, რომ ოვერსოციალიზაცია ერთ-ერთი დიდი ბოროტებაა, რომელსაც ადამიანები ერთმანეთს უკეთებენ.

27.მიგვაჩნია, რომ თანამედროვე მემარცხენეობის უმნიშვნელოვანესი და გავლენიანი ნაწილი ოვერსოციალიზირებულია და სწორედ ასეთი ადამიანები ადგენენ თანამედროვე მემარცხენეობის კურსს. ოვერსოციალიზირებული მემარცხენეები ძირითადად ინტელექტუალთა და მაღალ კლასის წარმომადგენლები არიან. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტების ინტელექტუალები ჩვენი საზოგადოების ყველაზე სოციალიზირებულ ფენას მიეკუთვნებიან და მათი უმრავლესობა კი მემარცხენეა.

28.ოვერსოციალიზირებული ტიპის მემარცხენე მეამბოხეობით ცდილობს ფსიქოლოგიური აღვირის მოხსნას. მაგრამ ხშირად ის ისეთი სუსტია, რომ საზოგადოების ყველაზე მარტივი ღირებულებების წინააღმდეგაც კი ვერ გაიბრძოლებს. საზოგადოდ თუ ვისაუბრებთ დღევანდელი მემარცხენეების მიზნები სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში მიღებულ მორალთან. უფრო მეტიც, მემარცხენე ითავისებს არსებულ მორალურ პრინციპებს და შემდეგ მეინსტრიმ საზოგადოებას ადანაშაულებს ამ პრინციპების დარღვევაში. მაგალითად: რასობრივი თანასწორობა, სქესობრივი თანასწორობა, გაჭირვებულების დახმარება, მშვიდობა ომის მაგივრად, სიტყვის თავისუფლება, ცხოველების კეთილმოპყრობა, პიროვნების მოვალეობა ემსახურობს საზოგადოებას და საზოგადოების მოვალეობა, იზრუნოს პიროვნებაზე. ეს ღირებულებები უკვე დიდი ხანია ღრმადაა ჩვენს საზოგადოებაში გამჯდარი და ასე თუ ისე თავს იჩენს მეინსტრიმ მედიაში და საგანმანათლებლო სისტემაში. მემარცხენეები, ძირითადად კი გადაჭარბებულად სოციალიზირებულები, არ ჯანყდებიან ამ ღირებულებების წინააღმდეგ, მაგრამ ამართლებენ

საზოგადოების მიმართ არსებულ თავიანთ სიძულვილს, იმით რომ საზოგადოება არ იცავს ამ პრინციპებს (რაღაც დონეზე მართლებიც არიან).

29.მაგალითი იმისა თუ როგორ ითავისებს კონვენციურ ღირებულებებს ოვერსოციალიზირებული მემარცხენე, მაშინ როდესაც, თითქოს მათ წინააღმდეგ მიდის: ბევრი მემარცხენე ემხრობა ქმედითუნარიანი ნაბიჯების გადადგმას, როდესაც საქმე შავკანიანებს ეხებათ. ისინი მოითხოვენ შავების აყვანას მაღალ პრესტიჟულ სამსახურებში, შავების სკოლებში უკეთეს განათლებას, მეტ დაფინანსებას ასეთი სკოლებისთვის. მათ, შავი "ქვედაკლასის" ცხოვრება საზოგადოების სირცხვილად მიაჩნიათ. მათ სურთ, რომ მოახდინონ შავების ინტეგრირება სისტემაში, უნდათ, რომ შავები იყვნენ მეცნიერები, ადვოკატები, ბიზნესმენები, ისევე როგორც ზედა კლასის წარმომადგენელი თეთრები. მემარცხენე გიპასუხებთ, რომ ყველაზე ნაკლებად შავკანიანის თეთრთან დამსგავსება უნდათ, პირიქით მათ სურთ აფრო-ამერიკული კულტურის პრეზერვაცია. მაგრამ რას მოიცავს აფრო-ამერიკული კულტურის დაცვა? ეს არაფერია გარდა შავების საჭმლის, მუსიკის და სამოსელის მოხმარება. მემარცხენეს სურს ყველა მხრივ გაუთავისოს შავ კაცს თეთრი ზედა კლასის წარმომადგენლის იდეალები. მას სურს, რომ შავმა ისწავლოს ტექნიკური საგნები, გახდეს მეცნიერი ან მთელი ცხოვრება სტატუსის ამაღლებას შეალიოს, რადგან დაამტკიცოს, რომ შავებიც ისეთივე კარგები არიან, როგორც თეთრები. მათ სურთ გახადონ შავი მამები უფრო პასუხისმგებლიანები. სურთ შავების ბანდებმა აღარ გამოიყენონ ძალადობა და ა.შ. მაგრამ ესენი სწორედაც, რომ ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური საზოგადოების ღირებულებებია. სისტემას არ აინტერესებს რას ჭამს, რა აცვია ან რა მუსიკას უსმენს ადამიანი, სანამ მანამ ის დადის სკოლაში, აქვს სამსახური, ცდილობს კარიერის კიბეზე ასვლას და ა.შ. რამდენიც არ უნდა უარყოს, ოვერსოციალიზირებული მემარცხენე ცდილობს შავი კაცის ინტეგრირებას სისტემაში.

30.რათქმაუნდა არ ვამტკიცებთ იმას, რომ მემარცხენეები, თუნდაც ზედმეტად სოციალიზირებული ტიპისანი, არასდროს ჯანყდებიან საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების წინააღმდეგ. თავისთავად ხანდახან აკეთებენ ამას. ზოგიერთი ოვერსოციალიზირებული მემარცხენე ისე შორსაც გაიჭრა, რომ თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპის წინააღმდეგაც წავიდა ძალადობის გამოყენებით. მათი თქმით ძალადობა "განთავისუფლების" ერთ-ერთი ფორმაა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ძალადობის გამოყენებით ისინი იხსნიან იმ ფსიქოლოგიურ ლაგამს, რომელიც მათ მოარგეს. რადგანაც გადაჭარბებულად სოციალიზირებულნი არიან ეს შეზღუდვები მათთვის უფრო მწვავეა, ვიდრე სხვებისთვის, შესაბამისად ისინი მათგან უნდა განთავისფულდნენ. თუმცა ფიზიკურ ძალადობას მეინსტრიმული

ღირებულებების წინააღმდეგ გალაშქრებით ხსნიან, ანუ როდესაც ძალადობენ, ამბობენ, რომ რასიზმს ან სხვა რამეს ებრძვიან.

31. გვესმის, რომ ბევრი შენიშნვა წამოვა ჩვენი მსჯელობისკენ. საჭირო კვლევები და ინფორმაციაც, რომ გვქონდეს მემარცხენეების ფსიქოლოგიის სრულ დახასიათებას რამდენიმე თავი დასჭირდება, ჩვენ უბრალოდ, თანამედროვე მემარცხენეების აზროვნებაში ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვყავით.

32. მემარცხენეებისთვის დამახასიათებელი პრობლემები საზოგადოებაშიც იჩენს თავს. დაბალი თვითშეფასება, დეპრესია და დემორალიზაცია მხოლოდ მემარცხენეზე არ ვრცელდება, თუმცა ეს ნიშნები მისთვის უფრო დამახასიათებელია. დღევანდელი საზოგადოების სოციალიზაციის დონე წინარე წყობილებების დონეს საგრძნობლად აღემატება, "ექსპერტები" გვასწავლიან თუ როგორ ვიკვებოთ, როგორ ვივარჯიშოთ, როგორ გვიყვარდეს, როგორ აღვზარდოთ ჩვენი ბავშვები ა.შ.

ძალის პროცესი/power process

33. ადამიანის რაღაცისადმი მოთხოვნილებას(მეტადრე ბიოლოგიურს) ძალის პროცესს/power process-ს დავუძახებთ. ის ძალაუფლებისკენ ლტოლვას წააგავს, მაგრამ მაინც სხვა რამეა. ძალის პროცესი ოთხი ძირითადი ელემენტისგან შედგება, აქედან სამი ყველაზე თვალსაჩინოა: მიზანი, ძალისხმევა და მიზნის მიღწევა.(ყველას აქვს რაღაც მიზანი, რომლის მიღწევაც ძალისხმევას მოითხოვს და ასევე საჭიროა ამ მიზნის მეტნაკლებად წარმატებით მიღწევა.) მეოთხე ელემენტი უფრო რთულია ჩამოსაყალიბებლად და ყველა ინდივიდისთვის აუცილებელია. მას ავტონომიას ვუწოდებთ და მოგვიანებით განვიხილავთ(პარაგრაფები 42-44).

34. წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც ჩაიფიქრებს და ყველაფერი რაც სურს უმალ უჩნდება. ასეთ პიროვნებას ძალაუფლება აქვს, მაგრამ ფსიქოლოგიურ პრობლემებს ვერ გაექცევა. ის ჯერ კარგად გაერთობა, თუმცა თანდათანობით მოწყენილი და დემორალიზირებული გახდება. შეიძლება კლინიკური დეპრესიაც განუვითარდეს. ისტორია გვაჩვენებს, რომ იმ არისტოკრატები, რომლებსაც ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლა არ უწევდათ მორალურად გახრწნილები, დემორალიზირებულები და ჰედონისტები ხდებოდნენ. ხოლო იმ დიდებულებს, ვისაც ბრძოლით უწევდათ საკუთარი სტატუსის დაცვა, ამდაგვარი ფსიქოლოგიური პრობლემები არ აწუხებდათ.

მივედით დასკვნამდე, რომ მხოლოდ ძალაუფლება არაა საკმარისი. პიროვნებას უნდა ჰქონდეს მიზანი, რომლის მიღწევისთვის გამოიყენებს ამ ძალას.

35. ყველას აქვს ცხოვრებისეული მიზანი, სულ რომ არაფერი კაცს უწვეს მოიპოვოს და დაიკმაყოფილოს ფიზიკურ-ბიოლოგიური მოთხოვნილებები: საკვები, სასმელი, სამოსელი და კლიმატთან შესაბამისი თავშესაფარი. გაზარმაცებული არისტოკრატი ამ ყველაფერს, ბრძოლის და ძალისხმევის გარეშე იღებს, სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი მოწყენილობა და დეპრესია.

36. მნიშველოვანი მიზნების მიუღწევლობა სიკვდილს იწვევს, თუ ისინი ფიზიკურ მოთხოვნილებებს ეხება, ხოლო - გაურკვევლობას და უკმაყოფილებას თუ თვითგადარჩენასთანაა თანხვედრაში. ხშირი ან მუდივი მიზნის მიუღწევლობა დაბალ თვითშეფასებას, დეპრესიას და დამარცხებულად ყოფნის განცდას აჩენს.

37. მაშასადამე, ფსიქოლოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად პიროვნებას უნდა ჰქონდეს მიზანი, რომლის შესრულებაც მოითხოვს ძალისხმევას და ასევე გარკვეული დონის წარმატება ამ მიზნის მიღწევაში.

სუროგატი აქტივობები

38. მაგრამ ყველა არისტოკრატი, რომელსაც არ უწევდა ბრძოლა საკუთარი სტატუსისთვის და ფიზიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ გამხდარა დეპრესიული და დემორალიზირებული პიროვნება. მაგალითად იმპერატორი ჰიროჰიტო, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა რასაც მოისურვებდა არ ჩაფლულა დეკადანტურ ჰედონიზმში. მან შეისწავლა საზღვაო ბიოლოგია და ამ სფეროს ერთ-ერთი გამორჩეული მცოდნეც გახდა. როდესაც პიროვნებას არ უწევს ბრძოლა ფიზიკური მოთხოვნილებების და თვითგადარჩენისთვის, ის ხშირ შემთხვევაში ისახავს ხელოვნურ მიზანს და მის მისაღწევად ისევე გამალებით იხარჯება ემოციურად და ფიზიკურად, როგორც ამას სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იზავდა. შესაბამისად, რომაელ არისტოკრატებს ჰქონდათ ლიტერატურული გატაცებები, ბევრი ევროპელი დიდებული კი ნადირობით იქცევდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ ხორცი სულაც არ სჭირდებოდათ, სხვანიც ძალღონეს არ იშურებდნენ თავიანთი სიმდიდრის გამოფენით და სოციალური სტატუსის ამაღლებით. იმპერატორ ჰიროჰიტოს მსგავსად კი ცოტაოდენი დიდებულნი გახდნენ მეცნიერები და სწავლულები.

39. მაშასადამე სუროგატი აქტივობა არის აქტივობის სახე, რომლის შესრულებითაც ხდება ხელოვნური მიზნის მიღწევა, მიზნის, რომელსაც ხალხი ისახავს რადგან ჰქონდეთ კმაყოფილების განცდა მისი შესრულების შემთხვევაში. სუროგატი აქტივობის იდენტიფიცირება მარტივია, პიროვნებას აქვს მიზანი X, მაგრამ დავუშავთ, მას უწევს მთელი თავისი ფიზიკური და გონებრივი რესურსის გამოყენება ბიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ამას აკეთებს მრავალფეროვანი და საინტერესო ხერხების გამოყენებით, იქნება თუ არა ის დეპრესიული ან დემორალიზირებული თუ ვერ მიაღწევს X-ს მიზანს? თუ პასუხი უარყოფითია მაშინ X მიზანი სუროგატი აქტივობაა. ჰიროჰიტოს მეცადინეობაც საზღვაო ბიოლოგიაში თავისთავად სუროგატი აქტივობაა, ნათელია, რომ თუ ჰიროჰიტო თავის დროს საინტერესო სამუშაოების შესრულებაში დახარჯავდა, რათა დაეკმაყოფილებინა სასიცოცხლო ბიოლოგიური მოთხოვნილებები, ფსიქოლოგიური დარღვევები სულაც არ ექნებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ზღვის ცხოველების ანატომია და ცხოვრების ციკლის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. მეორეს მხრივ სიყვარულის და სექსისადმი ლტოლვა არაა სუროგატი აქტივობა, რადგან უმრავლესობა, მათი ცხოვრება სხვაგვარად დამამკმაყოფილებელი, რომ იყოს, მაინც მარტოსულად იგრძნობდა თავს საპირისპირო სქესთან ურთიერთობის გარეშე თუ გაატარებდა სიცოცხლეს.(მიუხედავად ამისა გადაჭარბებული სექსი, უფრო მეტი ვიდრე პიროვნებას სჭირდება შეიძლება იყოს სუროგატი აქტივობა).

40. თანამედროვე-ინდუსტრიულ საზოგადოებაში, მხოლოდ მინიმალური ძალისხმევით შეიძლება ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საკმარისია ტრენინგი გაიარო რომელიმე ტექნიკური უნარჩვევებისა, სამსახურში დროზე მიხვიდე და ის მინიმუმი შეასრულო, რომელიც ამ პოზიციის შენარჩუნებისთვისაა საჭირო. მოთხოვნები მარტივია: საშუალო დონის ინტელექტი და მორჩილება. თუ პიროვნება ორივე მოთხოვნას აკმაყოფილებს საზოგადოება მასზე დაბადებიდან სიკვდილამდე იზრუნებს. შესაბამისად არაა გასაკვირი, რომ თანამედროვე საზოგადოება სუროგატი აქტივობებითაა სავსე. ესენია: სამეცნიერო საქმიანობა, სპორტული მიღწევები, ჰუმანიტარული მოხალისეობა, კორპორატიულ კიბეზე ასვლა, მატერიალური საგნების და ფულის დაუფელება(იმ დონემდე, რომ ისინი აღარ არიან საჭირო ფიზიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად), სოციალური აქტივიზმი, როდესაც პრობლემა სულაც არ ეხება პირადად აქტივისტს, როგორიც თეთრი აქტივისტების შემთხვევაა, რომლებიც ფერადკანიანთა უფლებებისთვის მუშაობენ. მაგრამ ზემოთჩამოთვლილი ყოველთვის არაა წმინდად სუროგატი აქტივობა. მოტივატორი შეიძლება სხვა რამ იყოს და არა მიზნის მიღწევის სურვილი, მეცნიერული შრომა ნაწილობრივ მოტივირებული შეიძლება იყოს

პრესტიჟით და დიდებით, არტისტული შემოქმედება - გრძონებების გამოხატვით,მილიტარულ-სოციალური აქტივიზმი ანტაგონიზმით. მაგრამ ხალხისთვის , რომლებიც ამ აქტივობებს მისდევენ, მათთვის ისინი სუროგატი აქტივობებია. მაგალითად მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება, რომ საქმისგან მიღებული კმაყოფილების გრძნობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფული ან პრესტიჟი.

41. უმრავლესობისთვის სუროგატი აქტივობები ნაკლებად სასიამოვნოა ვიდრე ნამდვილი მიზნებისთვის ბრძოლა. ამის ერთე-ერთი ნიშანია, რომ ის ხალხი, რომელიც ხშირად კავდება სუროგატი აქტივობებით არადროსაა კმაყოფილი. ბიზნესმენი უფრო მეტი ფულისკენ ისწრაფვის, მეცნიერი ახალი პრობლემის გადაჭრისკენ, მორბენალი შორი დისტანციის დაფარვისკენ. ეს ხალხი ამბობს, რომ ამ აქტივობებისგან მეტ სიამოვნებას იღებენ ვიდრე მიწიერი, ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისგან მიიღებნდნენ, მაგრამ ეს იმიტომაა ასე, რომ ჩვენს საზოგადოებაში ფიზიკური მოთხოვნილებების დაოკება უმნიშვნელო ძალისხმევითაა შესაძლებელი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ავტონომიურად კი არა, უზარმაზარი სოციალური მანქანის ფუნქციურ ნაწილად ყოფნის დროს ხდება. შედარებისთვის სუროგატი აქტივობების შესრულების დროს ხალხს უფრო მეტი ავტონომია და პირადი თავისუფლება აქვთ.

ავტონომია/დამოუკიდებლობა

42. ავტონომია, როგორც ძალის პროცესის ნაწილი ყველა ინდივიდს არ სჭირდება, მაგრამ რაღაც დონის დამოუკიდებლობას ხალხის გარკვეული ნაწილი საჭიროებს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. მათი ძალისხმევა მათსავე ინიციატივით უნდა დაიწყოს და მათსავე კონტროლ ქვეშ უნდა იყოს. თუმცა არაა საჭირო ინიციატივა და კონტროლი მხოლოდ ერთს ეკუთვნოდეს. ხშირ შემთხვევაში პატარა ჯგუფის წევრობაც კმარა, სადაც, თუ ათიოდე პიროვნება საერთო მიზანს დაისახავს და ამ მიზნის მიღწევისთვის საერთო ძალისხმევას გაიღებს, მაშინ მათი ძალის პროცესი ინდივიდუალურ დონეზე დაკმაყოფილებული იქნება. მაგრამ თუ ისინი, ზემოდან წამოსული მკაცრი ბრძანებების გამო მუშაობენ და არ აქვთ ავტონომია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მათი ძალის პროცესი არ იქნება დაკმაყოფილებული.

43. ზოგიერთი ინდივიდი არ საჭიროებს ავტონომიას, მათი ძალაუფლებისკენ ლტოლვა სუსტია და მას ძლიერ ჯგუფებთან ან ორგანიზაციებთან ასოციაციით იკმაყოფილებენ. მეორე სახეობა კი ცხოველური ტიპის პიროვნებაა, რომელიც

მხოლოდ ფიზიკური ძლიერებით კმაყოფილდება(მაგ. კარგი ჯარისკაცი, რომელიც მის საბრძოლო უნარჩვევებს ბრძანების ბრმად შესასრულებლად იყენებს).

44. მაგრამ უმრავლესობისთის მიზნის ქონა, ამ მიზნისთის ბრძოლა და ავტონომიურად გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა განსაზღვრავს მათ თითდაჯერებულობის, საკუთარი თავის და ძალების რწმენის დონეს. როდესაც პიროვნებას არ აქვს შესაძლებლობა ძალის პროცესი ადეკვატურად წარმართოს, მაშინ მას უნვითარდება მენტალური დარღვევები: მოწყენილობა, დემორალიზაცია, დაბალი თვითშეფასება, სისუტის განცდა, დამარცხებულობის სინდრომი, დეპრესია, ნერვიულობა, შფოთვა, იმედგაცრუება, აგრესიულობა, პარტნიორზე ან ბავშვებზე ძალადობისკენ მიდრეკილება, ჰედონიზმი, ზღვარ გადასული სექსუალური ლტოლვა, ძილის და კვებითი რეჟმების არევა და ა.შ.

სოციალური პრობლემები და მათი საწყისი

45. წინამდებარე სიმპტომები ნებისმიერ საზოგადოებაში იჩენს თავს, მაგრამ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ისინი დიდი მასშტაბებითაა წარმოდგენილი. პირველები არ ვართ, ვინც აღნიშნავს, რომ თითქოს სამყარო ჭკუიდან გადადის. სარწმუნოა, რომ პრიმიტიულ ადამიანს ნაკლები სტრესი და დეპრესიული ტენდენეციები სტანჯავდა და მეტად კმაყოფილი იყო მისი ცხოვრებით, ვიდრე თანამედროვე ადამიანს. მართალია, რომ პრიმიტიულ სოციუმებში ყველაფერი ადვილი და მარტივი არ იყო. ქალებზე ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ ავსტრალიელ აბორიგენებში, ისევე როგორც ტრანსექსუალიზმი იყო მიღებული ამერიკელ ინდიელებში, მაგრამ განზოგადებულად, წინა პარაგრაფში ჩამოთვლილი პრობლემები. თანამედროვე საზოგადოებაში, უფრო ხშირად გხვდება ვიდრე ადრეულ პრიმიტიულში.

46. ინდუსტრიული საზოგადოების სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების ამომავალი წერტილი იმ ცხოვრების წესია, რომელშიც ის აიძულებს ხალხს იცხოვროს და რომლის ქცევითი სტრუქტურაც რადიკალურად განსხვავდება, იმ სტრუქტურისგან, რომლითაც მოხდა ადამიანის განვითარება ადრეულ პერიოდებში. მიგვაჩნია, რომ ყველაზე ანომალიური რამ, რასაც თანამედროვე საზოგადოება ადამიანს მართებს შესაძლებლობების და ავტონომიის ნაკლებობაა, თვითონ წარმართოს ძალის პროცესი. მაგრამ ის ერთადერთი არაა. სანამ ამ თემას გავშლით, მანამდე, დანარჩენ პრობლემებს მიმოვიხილავთ.

47. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ანომალიებია: მოსახლეობის სიმჭიდროვე, კაცის ბუნებისგან დაშორება, გადაჭარბებული და სწრაფი სოციალური ცვლილებები და ბუნებრივი პატარა მასშტაბის თემების ჩამოშლა, როგორიცაა, მრავალშვილიანი ოჯახი, სოფელი ან ტომი.

48. დამტკიცებულია, რომ ბრბო და მჭიდრო პოპულაცია შფოთვას და სტრესს იწვევს. მოსახლეობის სიმჭიდროვის დღევანდელი დონე და ბუნებისგან ადამიანის იზოლაცია ტექნოლოგიური პროგრესის შედეგია. ყველა წინარე-ინდუსტრიული საზოგადოებები ძირითადად სასოფლო რურალური იყო. ინდუსტრიულმა რევოლუციამ მეტადრე გაზარდა ქალაქების ზომა და მათში მოსახლეობის პროპორცია, ხოლო თანამედროვე აგრიკულტურამ შესაძლებელი გახადა შემჭიდროვებული და ხშირი პოპულაციის საკვებით უზრუნველყოფა.(ასევე ტექნოლოგიამ გაამწვავა ჭარბმოსახლეობისგან გამოწვეული ეფექტები. რადგან მავნებლური ძალები ჩაუგდო ხალხს ხელში, მაგ. ხმაურის გამომწვევი ხელსაწყოები: მანქანები, მოტოციკლები, რადიოები და ა.შ. თუ მათი გამოყენება შეუზღუდავად მოხდებოდა ხალხი, ვისაც სიმშვიდე და სიწყნარე სურდა გაღიზიანდებოდა და თუ მათ გამოყენება რეგულაციებით შეიზღუდებოდა, ხალხი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ხელსაწყოებს ხმარობს შეზღუდვებით იქნებოდა უკმაყოფილო, მაგრამ თუ ეს ხელსაწყოები საერთდ არ შეიქმნებოდა არანაერი კონფლიქტი და უკმაყოფილება არ იარსებებდა).

49. პრიმიტიულ საზოგადოებებს ბუნება უქმნიდა სტაბილური ცხოვრების სტრუქტურას, გარემოს და შესაბამისად დაცულობის შეგრძნებასაც, მაგრამ თანამედროვე სამყაროში ადამიანი ბატონობს ბუნებაზე და საზოგადოებაც სწრაფად იცვლება ტექნოლოგიური პროგრესის დახმარებით. შესაბამისად აღარ არსებობს სტაბილური ცხოვრების სტრუქტურა და მასთან ერთად დაცულობის შეგრძნებაც.

50. კონსერვატორები სულელები არიან: ისინი წუწუნებენ ტრადიციული ღირებულებების გახრწნაზე, თუმცა ენთუზიაზმით სავსენი უჭერენ მხარს ტექნოლოგიურ პროგრესს და ეკონომიკურ ზრდას. როგორც სჩანს ერთხელაც არ დაფიქრებულან, რომ სწრაფ ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ ცვლებს, საზოგადოების სხვა ასპექტების სწრაფი ცვლაც მოსდევს და ეს ცვლილებები საბოლოოდ ძირს უთხრის ტრადიციულ ღირებულებებს.

51. ტრადიციული ღირებულებების მოშლა თავისთავად გულისხმობს იმ კავშირის მოშლას, რომელიც მცირე ზომის სოციალურ ჯგუფებს ერთ მუშტად კრავს. ასეთი სოციალური ჯგუფების დაშლას ისიც უწყობს ხელს, რომ თანამედროვე პირობები ხშირად აიძულებს ან აცდუნებს ინდივიდს მშობლიური საცხოვრებელი გარემო დატოვოს და ახალ ადგილზე დასახლდეს. უფრო მეტიც, ტექნოლოგიურმა საზოგადოებამ, ეფექტურად, რომ იფუნქციონიროს უნდა დაასუსტოს ოჯახური ღირებულებები და მცირე ზომის კომუნები. თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდი პირველ რიგში სისტემის ერთგული უნდა იყოს და შემდეგ მისი თემის, რადგან თუ თემისადმი ერთგულება უფრო ძლიერია მაშინ ასეთი კომუნები სისტემის ხარჯზე მოიწადინებდნენ სარგებლის მიღებას და განვითარებას.

52. დავუშვათ, კვალიფიციური კადრის მაგივრად საჯარო მოხელე თანამდებობაზე მის ნაცნობს ან ნათესავს ნიშნავს. მან, სისტემისადმი ერთგულებას, პიროვნული ერთგულება არჩია, და ამას "ნეპოტიზმს" ან "დისკრიმინაციას" ეძახიან, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში საშინელი ცოდვად ითვლება. პოტენციურმა ინდუსტრიულმა საზოგადოებამ, რომელმაც ვერ შეძლო პიროვნული და მცირე თემების ერთგულების ჩანაცვლება სისტემისადმი ერთგულებით არაეფექტური გამოდგა(მაგალითად ლათინო ამერიკა) მაშასადამე განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოება მხოლოდ იმ მცირე ზომის კომუნების და თემების არსებობას დაუშვებს, რომლებიც დამონებული, დამორჩილებული და სისტემის მსახურებად იქნებიან ქცეულნი.

53. ჭარბი მოსახლეობა, სწრაფი ცვლილებები და კომუნების დაშლა სოციალური პრობლემების ამომავალ წერტილადაა აღიარებული. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი მაინც არაა საკმარისი იმ ზომის პრობლემების შესაქმენლად, რომლებსაც დღეს ვუპირისპირდებით.

54. რამდენიმე ინდუსტრიალიზაციამდელი ქალაქი მასშტაბებით და მოსახლეობის რაოდენობითაც საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ მათ ბინადრებს სულაც არ აწუხებდათ ფსიქოლოგიური პრობლემები იმ დონეზე, როგორც თანამედროვე კაცს. დღესაც ამერიკაში არის სასოფლო ტიპის დასახლებები მცირე პოპულაციით, თუმცა აქაც იგივე პრობლემებს ვხვდებით, რასაც ურბანულ გარემოში, მაგრამ ეს პრობლემები ნაკლებად შესამჩნევი და საგანგაშოა. შესაბამისად ჭარბი პოპულაცია არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ფსიქოლოგიური პრობლემების გამოწვევისა

55. მე-19 საუკუნეში ამერიკული ფრონტიერების დაკავების პიკის დროს, მოსახლეობის ხშირმა მოძრაობამ ჩამოშალა მცირე ზომის თემები, თითქმის ისე, როგორც დღეს არის ჩამოშლილი. მრავალსულიანი ოჯახები საკუთარი სურვილისამებრ ცხოვრობდნენ ნებაყოფლობით იზოლაციაში, არ ჰყავდათ რა მეზობელი რამდენიმე მილის რადიუსში, თუმცა ზემოთ აღნიშნული პრობლემები სულაც არ აწუხებდათ.

56. უფრო მეტიც, ფრონტიერის საზოგადოებაში ცვლილებები სწრაფი და მნიშვნელოვანი იყო. კაცი შეიძლება ხის კაბინაში, სადღაც ტყეში დაბადებულიყო, მთელი ახალგაზრდობა გარეული ნადირის ხორცი ეჭამა და კანონის საზღვრებს გარეთ ეცხოვრა, ხოლო ხანდაზმულობის პერიოდში კი პირიქით, შეიძლება კანონის იურისდიქციის ფარგლებში მყოფს, დასახლებაში ეცხოვრა და რეგულარული სამსახური ჰქონოდა. ეს ცვლილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ისინი, რომლებიც თანამედორვე კაცის ცხოვრებაში ხდება, თუმცა ის ფსიქოლოგიურ პრობლემებს არ იწვევდა. უფრო მეტიც მე-19 საუკუნის ამერიკულ საზოგადოებას ოპტიმისტური და თვითდაჯერებული ელფერის დაჰკრავდა, რაც დღევანდელ საზოგადოებაში თითქმის არ გვხვდება.

57. განსხვავება, როგორც ასეთი ვფიქრობთ, რომ არის შემდეგი: თანამედროვე ადამიანს მიაჩნია, რომ ცვლილება მას თავს მოახვიეს(გამართლებულადაც). ხოლო მე-19 საუკუნის კაცს სჯეროდა(ასევე გამართლებულად), რომ ცვლილება თვითონ, საკუთარი სურვილით გამოიწვია. ესეიგი, პიონერმა საკუთარი სურვილით აირჩია ადგილი სადაც დასახლდებოდა და საკუთარი ძალისხმევით გააშენა ფერმა. იმ პერიოდში, მთლიან ოლქს შეიძლება რადმენიმე ასეული მაცხოვრებელი ჰყოლოდა და უფრო იზოლირებული და ავტონომიური იყო ვიდრე დღევანდელი ოლქებია. შესაბამისა პიონერი ფერმერი პატარა თემის წევრი იყო, რომელიც მოწესრიგებული სოციუმის შექმნაში მონაწილეობდა. შეიძლება ვიდავოთ ამ სოციუმის შექმნა სწორი იყო თუ არა მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია, ის აკმაყოფილებდა პიონერის ძალის პროცესს.

58. შესაძლებელია ისეთი საზოგადოებების მაგალითად მოყვანა, სადაც სწრაფი ცვლილები და/ან მცირე ზომის თემების არ არსებობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, იმ ქცევითი გადახრების და ანომილიების გარეშე, რომლებსაც თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ვხვდებით. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე სოციუმში სოციალურ ფსიქოლოგიური პრობლემების მთავარი საწყისი არასაკმარისი შესაძლებლობებია, რომ ხალხმა ძალის პროცესი ნორმალურად წარმართოს. არ ვამბობთ, რომ თანამედროვე საზოგადოება ერთადერთია სადაც ძალის პროცესი შეფერხებულად მიმდინარეობს. ალბათ

ყველა თუ არა უმეტესობა ცივილიზებული საზოგადეობებისა რაღაც დონით ერევა ძალის პროცესის წარმართვაში. მაგრამ ინდუსტრიულ საზოგადოებაში პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა. მემარცხენეობა, ყოველ შემთხვევაში მისი უახლესი ისტორიის განმავლობაში(20-ე საუკუნის შუა ნახევრიდან დასასრულამდე) ძალის პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორთაგან უმთავრესია.

ძალის პროცესის მოშლა თანამედროვე საზოგადოებაში

59. ადამიანთა დრაივს(მიზნისკენ სწრაფვას) სამ ჯგუფად ვყოფთ: 1. დრაივი, რომლის მიღწევაც მინიმალური ძალისხმევით შეიძლება, 2. მიზნები, რომლის შესრულებაც სერიოზულ მუშაობას და ძალისხმევას მოითხოვს და 3. დრაივი, რომელიც ადეკვატურად მაინც არ დაკმაყოფილდება, არ აქვს მნიშვნელობა, რამხელა ძალისხმევას გაწევს ინდივიდი. ძალის პროცესის ნორმალურად გავლა მეორე ჯგუფის დრაივის დაკმაყოფილებაა. რაც მეტია მესამე ჯგუფის ტიპის მიზნები მით მეტია იმედგაცრუება, სიბრაზე, დემორალიზაცია, დეპრესია და ა.შ.

60. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ბუნებრივი მიზნები და დრაივები ინაცვლებს პირველ და მესამე ჯგუფში, ხოლო მეორე ჯგუფი ხელოვნურად შექმნილი დრაივებით ივსება.

61. პრიმიტიულ საზოგადოებებში ფიზიკური მოთხოვნილებები ძირითადად მეორე ჯგუფში ხვდება, მათი შესრულება შეიძლება მაგრამ სერიოზული ძალისხმევით. თანამედროვე საზოგადოება კი, მცირე ძალისხმევის სანაცვლოდ ყველას გარანიტრებულად უკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს და შესაბამისად ისინიც პირველ ჯგუფში ინაცვლებენ.(დავა შეიძლება გამოიწვიოს, იმ აზრმა, რომ სამსახურის შენარჩუნება არის თუ არა მინიმალური ძალისხმევა. მაგრამ დაბალ/საშუალო დონის სამსახურების დაკავებისთვის მხოლოდ მორჩილებაა საჭირო. იქ ზიხარ ან დგახარ სადაც გითხრეს, რომ იჯდე ან დადგე, იმას აკეთებ, რაც გითხრეს, რომ უნდა გააკეთო თან იმდაგვარად, როგორც ამას გეუბნებიან. იშვიათად გიწევს სერიოზულად ძალების კონცერტრირება და ავტონომიურად გადაწყვეტილებების მიღება. რაც საბოლოო ჯამში არღვევს ძალის პროცესს.)

62. სოციალური მოთხოვნილებები, როგრიცაა სექსი, სიყვარული და სტატუსი, ხშირ შემთხვევაში მეორე ჯგუფში ხვდება,(დამოკიდებულია ინდივიდზე). გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნება გაძლიერებულად იბრძვის სტატუსისთვის, ამ დროს ძალისხმევა, რომელიც სოციალურ დრაივებს ხმარდება არასაკმარისია, რომ ადეკვატურად მოხდეს ძალის პროცესის შესრულება

63. შესაბამისად, გარკვეული ხელოვნური მოთხოვნილებები შეიქმნა, რათა შეივსოს მეორე ჯგუფი და დააკმაყოფილოს ძალის პროცესის სურვილი. სარეკლამო და სავაჭრო ინდუსტრიამ მზაკვრული ტექნიკებით დაარწმუნა ხალხი, რომ ეყიდათ ის ნივთები, რომელიც წინა თაობას საერთოდ არ სჭირდებოდა და არც კი უოცნებია. ამ ხელოვნური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას დიდძალი თანხა და შესაბამასად დიდი ძალისხმევაც სჭირდება, სწორედ ამიტომ ისინი მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან.(მაგრამ ნახეთ პარაგრაფები 80-82). თანამედროვე ადამიანმა ძალის პროცესი უნდა შეასრულოს სუროგატი აქტივობებით და ხელოვნური მოთხოვნილებებით, რომელიც სავაჭრო და სარეკლამო ინდუსტრიამ შეუქმნა.

64. უმრავლესობისთვის, როგორც სჩანს, ამ გზით ძალის პროცესის დაკმაყოფილება არასკმარისია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის, სოციალურ კრიტიკებში, იკვეთება ერთი სურათი, რომელიც აკრიტიკებს საჭიროების, ცხოვრებისეული მიზნის არ ჰქონის შეგრძნებას და რომელიც ასე თვალნათლივ აუბედურებს თანამედროვე ადამიანს.(ეს, ცხოვრებისეული მიზნის არ ქონა სხვაგვარად ანომალიადაც და "საშუალო კლასის ვაკუუმადაცაა" მოხსენიებული.) ვვარაუდობთ, რომ ეგრეთწოდებული "იდენტობის კრიზისი" სხვა არაფერია თუ არა ნამდვილი მიზნის პოვნის მცდელობა. შესაძლებელია, რომ ეგზისტენციალიზმი თანამედროვე ცხოვრებაში უადგილობის და საკუთარი თავის ვერ პოვნის პასუხია. თანამედროვე საზოგადოებაში ხშირად შევხვდებით "თვითრეალიზაციის" ძიების შემთხვევებს. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ხალხი, რომლის მთავარ მიზანს კმაყოფილების გრძნობა წარმოადგენს(მიღებული სუროგატი აქტივობის შესრულებით) ვერასდროს შეძლებს შეიგრძნოს ცხოვრებისეული კმაყოფილება. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ძალის პროცესი ვერ შესრულდება, ვერც ბოლომდე და ვერც ბუნებრივად.(იხილეთ პარაგრაფი 41.) ზემოთხსენებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მხოლოდ ბუნებრივი მიზნის შესრულებით, ფიზიკური მოთხოვნილებების დაოკებით, სექსით, სიყვარულით, სტატუსით და ა.შ. შეიძლება.

65. უფრო მეტიც როდესაც მიზნის მიღწევა ფულის შოვნით, კორპორაციულ კიბეზე ასვლით ან საზოგადოების ნაწილად ფუნქციონირების დროს ხდება, ადამიანი ვერ იღებს ავტონომიურ გადაწყვეტილებებს. უმეტესობა მუშახელი, ვიღაცის დაქვემდებარების ქვეშაა, აკეთებს იმას რასაც ეუბნებიან და როგორც ეუბნებიან. ის ხალხიც კი ვისაც კერძო ბიზნესი აქვს შეზღუდული ავტონომიით სარგებლობენ. მცირე ბიზნესის მეპატრონეები ხშირად ჩივიან, რომ მთავრობის ხშირი რეგულაციები ხელფეხს უკრავთ და ბიზნეს ვერ ანვითარებენ. ამ

შეზღუდვებიდან ზოგიერთი, მართლაც, რომ უსარგებლო და არაფრის მომცემია, მაგრამ ძირითადად მთავრობის რეგულაციები ჩვენი ღრმა და რთული საზოგადოების საჭირო და გარდაუვალი ნაწილია. მცირე ბიზნესების უმრავლესობა საწარმოო სისტემაზე მუშაობენ. ვოლ სტრიტის ჟურნალში, რამდენიმე წლის წინ, დაიბეჭდა სტატია, სადაც ეწერა, რომ ის კომპანიები, რომლებიც ასეთ მცირე მეწრამეებს გრანტებს აძლევენ, ითხოვენ აპლიკანტებისგან პიროვნების ტესტს, რადგან გაცხრილონ და უარი უთხრან ისეთ ხალხს, ვინც კრეატიულად და თავისუფლად აზროვნებს, იმიტომ რომ, ასეთი პიროვნებები არ არიან საკმარისად დამჯერები და მორჩილნი, რომ სამრეწველო სისტემას მოერგონ. ეს ყველაფერი მცირე ბიზნესიდან აგდებს ხალხს, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებ ავტონომია.

66. დღეს ხალხი იმ აზრით უფრო ცხოვრობს, თუ რას აკეთებს სისტემა მისთვის ვიდრე, რას აკეთებს ეს პიროვნება საკუთარი თავისთვის. და რასაც საკუთარი თავებისთვის აკეთებენ, უფრო მეტად არის ნაკარნახევი სისტემის მიერ. შესაძლებლობები სისტემის მიერაა შემოთავაზებული და თუ პიროვნებას წარმატების მიღწევა სურს, უნდა მიჰყვეს იმ გზას, რომელიც სისტემამ დაუგო, უნდა მოიქცეს ისე როგორც ექსპერტები ეუბნებიან და ა.შ.

67. შესაბამისად ძალის პროცესი, ჩვენს საზოგადოებაში დარღვეულია რეალური მიზნების არ ქონით და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ავტონომიის ნაკლებობით. ამას ემატება მესამე ჯგუფის ადამიანური დრაივი, რომელშიც არ აქვს მნიშვნელობა რამხელა ძალისხმევა ჩაიდება, ის მაინც არ ასრულდება. ერთ ერთი ასეთი დრაივია დაცულობის მოთხოვნილება. ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებულია გადაწყვეტილებებზე, რომელსაც სხვა ხალხი იღებს, არ გვაქვს კონტროლი ამ გადაწყვეტილებებზე და ხშირ შემთხვევაში არც იმ ხალხს ვიცნობთ, ვინც მათ იღებს.("ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც მნიშვნელოვან გადწყვეტილებებს შედარებიც მცირე, 500 ან 1000 ადამიანი იღებს" ფილიპ ჰეიმანი, ჰარვარდის სამართლის სკოლა, ციტირება ანტონი ლევისის მიერ, ნიუ-ორკ ტაიმსი, 21 აპრილი, 1995.) ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებულია, ატომური ელექტრო სადგურის გამართულობაზე, ან რა რაოდენობის საწამლავი ხვდება ჩვენს საკვებსა თუ ჰაერში, რამდენად კომპეტენტური თუ არა კომპეტენტურია ექიმი, დავკარგავთ თუ შევინარჩუნებთ სამსახურს, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მთავრობის, ეკონომისტების და კორპორაციების გადაწყვეტილებაზე. ხალხის უმრავლესობას არ ძალუძს ამ საფრთხეებს ინდივიდუალურ დონეზე გაუმკლავდეს, მისი მოთხოვნილება ჰქონდეს ავტონომია საკუთარ უსაფრთხოებაზე დარღვეულია, რაც თავისთავად იწვევს უსუსურობის განცდას.

68. უნდა აღინიშნოს, რომ პრიმიტიული კაცი ფიზიკურად თანამედროვე კაცზე ნაკლებ დაცული იყო, ამას მისი მოკლე სიცოცხლის ხანგრძლივობაც გვიჩვენებს. შესაბამისად თანამედროვე ინდივიდს იმაზე ნაკლები საფრთხე ხვდება სიცოცხლის მანძილზე, ვიდრე მის წინაპარს. მაგრამ მისი ფსიქოლოგიური უსაფრთხოება არ შეესაბამება ფიზიკურ უსაფრთხოებას. რაც თავს დაცულად გვაგრძნობინებს უსაფრთხოების ობიექტური აღქმა კი არა, შესაძლებლობაა ჩვენს თავებს თვითონვე ვუპატრონოთ. პრიმიტიული კაცს, რომლის სიცოცხლესაც შიმშილი ან ველური ცხოველი უქმნის საფრთხეს, შეუძლია საჭმლის ძიებაში კილომეტრები გაიაროს და თავი დაიცვას მტაცებლისგან. რათქმაუნდა მას არ აქვს წარმატების გარანტია, მაგრამ ის დაუცველი და უსუსური არაა ამ საფრთხეების წინაშე. თანამედროვე ინდივიდი კი პირიქით, მას ბევრი რამე უქმნის საფრთხეს, რომლის წინაშეც ის დაუცველი და უსუსურია: ატომური ავარიები, გენმოდიფიცირებული საკვები, გარემოს დაბინძურება, ომი, მზარდი გადასახადები, მისი პირადი სივრცის დარღვევა დიდი ორგანიზაციების მიერ, დიდი მასშტაბის ეკონომიკური ან სოციალური ფენომენები, რომლებიც მის ნორმალურ ცხოვრებას ხელს შეუშლიან და ა.შ.

69. მართალია ისიც, რომ პრიმიტიული კაცი ზოგიერთი საფრთხის წინაშე უძლურია, მაგალითად დაავადება, მაგრამ ის დაავადების რისკს სტოიკური სიმშვიდით ხვდება. ის ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც არავის ბრალია არაა და რომელიც უბრალოდ ხდება, თუ რათქმაუნდა გამოგონილმა რელიგიურმა დემონმა არ გამოიწვია. მაგრამ საფრთხეები, რომლებსაც თანამედროვე კაცი ებრძვის, ხელოვნურადაა შექმნილი. ისინი შემთხვევით არ ხდება, არამედ პიროვნებას, თავს ახვევენ სხვა პიროვნებების გადაწყვეტილებებით, რომლებზეც მას, როგორც ინდივიდს არანაერი გავლენა არ აქვს. საბოლოოდ კი ეს იწვევს უკმაყოფილებას, სიბრაზეს და აგრესიას.

70. შესაბამისად, პრიმიტიული კაცის უსაფრთხოება, მის ხელში იყო(როგორც ინდივიდის, ან როგორც მცირე თემის ნაწილის.) მაშინ როცა თანამედროვე ადამიანის უსაფრთხოება, იმ ხალხის ან ორგანიზაციების ხელშია, რომლებიც მისგან დაშორებულები ან ძალზე დიდები არიან, რომ მათზე პერსონალურად შეძლოს რაიმე სახის გავლენის მოხდენა. ასე რომ, თანამედროვე ადამიანის დრაივი უსაფრთხოებისთვის პირველ ან მესამე ჯგუფში ხვდება. ზოგი რამ(საკვები, სასმელი, თავშესაფარი) მას მხოლოდ ტრივიალური ძალისხმევით უკმაყოფილდება, მაგრამ ზოგიც მაგალითად უსაფრთხოება, მისი დაქვემდებარების ქვეშ ვერასდროს იქნება.(ზემოთაღნიშნული ამარტივებს

რეალურ სიტუაციისა, მაგრამ გვაჩევენებს იმ უხეშ და დიდ განსხვავებას თანამედროვე და პრიმიტიულ კაცს შორის.)

71. თანამდეროვე სამყაროში ზოგიერთი ადამიანური დრაივი ან იმპულსი განზრახ იზღუდება და შესაბამისად მესამე ჯგუფში ხვდება. მაგალითად პიროვნება შეიძლება გაბრაზდეს, მაგრამ თანამედროვე საზოგადოება არ დაუშვებს ძალადობას, უფრო მეტიც ის ხანდხან სიტყვიერ შეურაცხყოფასაც კი კრძალავს. შეიძლება ინდივიდს სადმე ეჩქარებოდეს ანდაც პირიქით ნელა სიარული სიამოვნებდეს, მაგრამ იძულებულია დანარჩენ ტრანსპორტს და საგზაო ნიშნებს დაემორჩილოს. მას შეიძლება საქმის სხვაგვარად გაკეთება უნდოდეს, მაგრამ ისე უნდა შეასრულოს, როგორც დამსაქმებელმა უბრძანა. თანამედროვე ადამიანი ბევრი რეგულაციებითაა შეზღუდული, რომელიც მის იმპულსებს და დრაივებს არ აძლევს ბუნებრივ გასაქანს და საბოლოოდ ხელს უშლის ძალის პროცესს. უმეტესობა ამ რეგულაციებისა, ვერ გაუქმდება, რადგან ისინი ინდუსტრიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

72. თანამედროვე საზოგადოება თავის მხრივ ექსტრემალურად ლმობიერი და ნების დამრთველია. ისეთი რამეები რაც მის გამართულად მუშაობას ხელს არ უშლის, შეგვიძლია თავისუფლად ვაკეთოთ, შეგვიძლია იმ რელიგიის მიმდევრები გავხდეთ, რომელიც ჩვენ გვინდა(თუ ეს რელიგია, ისეთ რამეს არ ქადაგებს რაც საშიშია სისტემისთვის.) ვისთანაც გვინდა იმასთან შეგვიძლია გვქონდეს სექსი(კონტრაცეფტივებით რათქმაუნდა.) შეგვიძლია ნებისმიერი უმნიშვნელო რამ ვაკეთოთ, მაგრამ, როდესაც საქმე საჭირო და მნიშვნელოვან თემებს ეხება სისტემა რადიკალურად აკონტორლებს ჩვენს მოქმედებებს.

73. საქციელი, არა მხოლოდ განსაზღვრული კანონებით და მთავრობის მიერ რეგულირდება, არამედ არაპირდაპირი დაძალების და ფსიქოლოგიური ზეწოლის გზითაც, რომელსაც ხშირ შემთხვევაში დიდი ორგანიზაციები მიმართავენ ხოლმე. ისინი რაღაც სახის პროპაგანდას იყენებ, რადგან მოახდინონ საზოგადოების შეხედულებების და საქციელის მანიპულაცია. პროპაგანდა მხოლოდ რეკლამებით არ შემოიფარგლება და ზოგჯერ პროპაგანდათაც არ აღიქმება იმ ხალხის მიერ ვინც მას ქმნის. მაგალითად გასართობი ინდუსტრია პროპაგანდის საკმაოდ ძლიერი ფორმაა. არაპირდაპირი დაძალების მაგალითი: არ არსებობს კანონი, რომელიც ამბობს, რომ ყოველდღე სამსახურში უნდა ვიაროთ და დამსაქმებლის ბრძანებები შევასრულოთ. ლეგალურად არაფერი გვაბრკოლებს ველურ ბუნებას დავუბრუნდეთ და პრიმიტიული ხალხივით ვიცხოვროთ ან საკუთარი მცირე ბიზნესი გავხსნათ.

მაგრამ რეალურად დედამიწაზე ველური ბუნების რაოდენობა საკმაოდ შემცირებულია და არსებული ეკონომიკის პირობებში მცირე მეწარმეების შეზღუდულ რაოდენობას შეუძლიათ არსებობა. შესაბამისად უმეტესობისთვის თვითგადარჩენა დასაქმებულად ყოფნის შემთხვევაშია შესაძლებელი.

74. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე კაცის შეპყრობილობა ხანგრძლივი სიცოცხლით, ფიზიკური და სექსუალური სიმრთელით მოხუცებულობაში, დაუკმაყოფილებლობის ბრალია, რაც გამოწვეულია ძალის პროცესის დარღვევით. შუახნის კრიზისიც ასეთი სიმპტომია. ასევე, ბავშვების არ ყოლის სურვილი, რომელიც ასე ხშირადაა გავრცელებული თანამედროვე საზოგადოებაში, მაგრამ გაუგონარი იყო პრიმიტიულში.

75. პრიმიტიულ საზოგადოებაში ცხოვრება ფაზების ცვლილებაა. როდესაც ერთი ფაზის მოთხოვნილებები და მნიშვნელობა შესრულებულია, ყოყმანის გარეშე იწყება შემდეგი. ახალგაზრდა კაცი ძალის პროცესის გავლისას ხდება მონადირე, არა იმიტომ, რომ ჟინი დაიკმაყოფილოს ან გაერთოს, არამედ იმიტომ, რომ საკვები მოიპოვოს.(ახალგაზრდა ქალებში ძალის პროცესი სხვანაირად წარიმართება და ძირითადად სოციალურ ძალაუფლებაზეა აქცენტი გაკეთებული. ამას აქ არ განვიხილავთ.) ამ ფაზის წარმატებით გავლის შემდეგ ახალგაზრდა კაცი უყოყმანოდ იღებს ოჯახურ პასუხისმგებლობებს და ქმნის მას.(მაშინ, როცა არაერთი თანამედროვე წყვილი ბავშვების ყოლას არ ჩქარობს რადგან რაღაც სახის "კმაყოფილების შეგრძნებას" ეძებს. მიგვაჩნია, რომ ეს კმაყოფილება ძალის პროცესის ადეკვატური შედეგია, ნამდვილი მიზნებით და არა ხელოვნური ან სუროგატი აქტივობებით.) კვლავ, ბავშვების აღზრდით და მათი ფიზიკური მოთხოვნილებების შესრულებით პრიმიტიული კაცი ძალის პროცესის კიდევ ერთ ფაზას ასრულებს და მზადაა ხანდაზმულობას (მაქამდე თუ მიაღწევს საერთოდ) და სიკვდილს შეხვდეს. თანამედროვე ხალხი კი პირიქით, სიკვდილის კონცეპტით შეშინებულები ყველაფერს აკეთებენ, რომ სიცოცხლე გაიხანგრძლივონ საკუთარ ფიზიკურ კონდიციებზე, გარეგნობაზე და ჯანმრთელობაზე ზრუნვით. ვამტკიცებთ, რომ ეს იმ დაუკმაყოფილებლობის გრძნობის ბრალია, რომელიც მოდის იქიდან, რომ მათ არასდროს გამოუყენებიათ ფიზიკური ძალა ძალის პროცესის გასავლელად/შესასრულებლად. პრიმიტიულ კაცს, რომელიც მის სხეულს და ძალას პრაქტიკული მიზნებისთვის ყოველდღიურად იყენებდა, არ ეშინია მხცოვანი ასაკის, არამედ თანამედროვე კაცს, რომლის სხეულის პრაქტიკული დანიშნულება მხოლოდ მანქანიდან სახლამდე სიარულს წარმოადგენს. კაცი, რომლის ძალის პროცესის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია მზადაა სიკვდილს, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას ისე შეხვდეს.

76. ვიღაც იტყვის, რომ "საზოგადოებამ უნდა იპოვოს გზა, მისცეს ხალხს შესაძლებლობა ძალის პროცესის ადეკვატურად შესრულების." ამ ხალხს ავიწყდება, რომ თუ სისტემა და საზოგადეობა ჩაერევა ძალის პროცესის წარმართვაში, ის ვეღარ იქნება ბუნებრივი. ხალხმა ის თვითონ უნდა წარმართოს, გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე. სანამ სისტემა გააკონტროლებს ძალის პროცესის თუნდაც მცირედ ნაწილს , ხალხი ჯაჭვ ქვეშ ეყოლება. სრული ავტონომიის მისაღებად ეს ჯაჭვი უნდა გაწყდეს.

როგორ ერგება სიტუაციას ზოგიერთი

77. ინდუსტრიულ საზოგადოებაში ყველა არ იტანჯება ფსიქოლოგიური პრობლემებით. ზოგი იმასაც აღიარებს, რომ ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება ძალზედ მოსწონთ. შემდეგ პარაგრაფებში განვიხილავთ, თუ რატომ აქვს ხალხს ასეთი განსხვავებული შეხედულებები თანამედროვე საზოგადოებაზე.

78. პირველ რიგში: ძალისკენ ლტოლვის ჟინი განსხვავებულია. ინდივიდს, რომელსაც სუსტი ძალის დრაივი აქვს, არ საჭიროებს ძალის პროცესის გავლას, ან უკეთეს შემთხვევაში არ სჭირდება ავტონომია ძალის პროცესში. ესენი დამჯერი ტიპის ჯგუფია, რომლებიც პლანტაციის მონებადაც ბედნიერად იგრძნობდნენ თავს.(ჩვენ არ დავცინით პლანტაციის მონებს, მათი უმეტესობა უკმაყოფილო იყო მონობით, მხოლოდ მათ ვაქილიკებთ, ვისაც მოსწონს და ეგუება მონობას.)

79. ზოგის დრაივი იმდენად ძლიერია, რომ ძალის პროცესს მთლიანად ყოფნის. მაგალითად, ვისაც ძლიერი დრაივი აქვს სოციალური სტატუსისადმი, შეიძლება მთელი ცხოვრება ამ სოც. სტატუსის კიბეზე ასვლაში დახარჯოს ისე, რომ ეს პროცესი საერთოდ არ მოწყინდეს.

80. ხალხის მგრძნობელობა სარეკლამო და სავაჭრო ინდუსტრიის ტექნიკებისადმი განსხვავებდა. ზოგი ისეა დაბეჩავებული, რომ დიდი შემოსავალი, რომ ჰქონდეს, მაინც ვერ დაიკმაყოფილებს სურვილს ფლობდეს ბრჭყვიალა, ახალი სათამაშოები, რომლებსაც, სარეკლამო ინდუსტრია ცხვირწინ უტრიალებს.

81. ზოგიც კი პირიქით საერთოდ არ ემონება სარეკლამო სავაჭრო ინდუსტრიას. ესეთი ხალხი ფულით არაა დაინტერესებული. მათ ძალის პროცესს მატერიალური მხარე საერთოდ არ სჭირდება.

82. ხოლო ვინც საშუალო დონეზე ექცევა სარეკლამო სავაჭრო ინდუსტრიის გავლენის ქვეშ, აქვთ შესაძლებლობა საკმარისი თანხა შეაგროვონ, რომ დაიკმაყოფილონ მატერიალური სურვილები, ოღონდ სერიოზული ძალისხმევის საფასურად.(ზეგანაკვეთური მუშაობა, მეორე სამსახური, დაწინაურება და ა.შ.) შესაბამისად მატერიალური საგნები საჭიროა მათი ძალის პროცესისთვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს , რომ მათი მოთხოვნილება მაინც და მაინც დაკმაყოფილებულია, შეიძლება არასრული ავტონომია ჰქონდეთ ძალის პროცესში, ან რომელიმე დრაივი დარღვეული გაუხდეთ(მაგ: უსაფრთხოება, აგრესია)(ჩვენ, ძალზედ გავამარტივეთ 80-82 პარაგრაფები, რადგან დავწერეთ თითქოს მატერიალური მოთხოვნილება მხოლოდ სარეკლამო სავაჭრო ინდუსტრიის შექმნილია, რათმქუნდა ეს ასეთი მარტივი თემა არაა.)

83. ზოგიც ძალისადმი მოთოხვნილების დაკმაყოფილებას ძლიერ ორგანიზაციასთან ან მასობრივ მოძრაობასთან ასოციაციით ახდენს. ინდივიდუალს, რომელსაც არ გააჩნია მიზანი ან ძლიერება, უერთდება ორგანიაზაციას, ითავისებს მის მიზანს და შემდეგ იბრძვის ზემოთხსენებული მიზნისთვის. როდესაც რომელიმე მიზანი შესრულდება, იდნივიდმა, რომელმაც მხოლოდ მცირედი გააკეთა მის მიღწევისთვის, ისე გრძნობს თავს(ორგანიზაციასთან ასოციაციის გამო) თითქოს ძალის პროცესი წარმატებით გაიარა. ეს ფენომენი გამოყენებული იქნა ფაშისტების, ნაცისტების და კომუნისტების მიერ. ჩვენი საზოგადოებაც იყენებს მას, მაგრამ ნაკლებად უხეშად. მაგალითად: მანუელ ნორიეგა ამერიკის მთავრობისთვის პრობლემას წარმოადგენდა(მიზანი: ნორიეგას დასჯა.) ამერიკამ დაიპყრო პანამა (ძალისხმევა) და დასაჯა ნორიეგა(მიზნის მიღწევა). ამერიკამ გაიარა ძალის პროცესი და მასთან ერთად იმ მილიონობით ამერიკელმა, რომლებიც იდენტიფიცირებას ახდენდენ ა.შ.შ.-სთან. შესაბამისად მივიღეთ საზოგადო გამართლება პანამის დაპყრობისა, ამ ფაქტმა ძალაუფლების შეგრძნება მისცა ხალხს. იგივე ფენომენი გვხვდება არმიაში, კორპორაციებში, პოლიტიკურ პარტიებში, ჰუმანიტარულ ორგანიზაციებში, რელიგიურ თუ იდეოლოგიურ მოძრაობებში. განსაკუთრებით მემარცხენე მოძრაობები იზიდავენ ხოლმე ხალხს, ვისაც ძალის პროცესის გავლა სჭირდება. მაგრამ უმრავლესობისთვის დიდ ორგანიზაციებთან ან მასობრიც მოძრაობებთან იდენტიფიკაცია არაა საკმარისი ძალის პროცესის სრულად შესასრულებლად.

84. კიდევ ერთი გზა ძალის პროცესის შესასრულებლად სუროგატი აქტივობებია. როგორც 38-40 პრაგრაფებში ავხსენით, სუროგატი აქტივობით, პიროვნება ისახავს მიზანს და ასრულებს მას კმაყოფილების მისაღებად და არა იმიტომ, რომ ამ მიზნის შესრულება მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მაგალითისთვის, დიდი კუნთების დაყენება, ბურთის კალათში ჩაგდება ან საფოსტო მარკების შეგროვება არანაერ პრაქტიკულ მიზანს არ ემსახურება. მიუხედავად ამისა ჩვენს საზოგადოებაში ხშირად შეხვდებით ინდივიდებს, რომლებიც ბოდიბილდინგით, კალათბურთით ან საფოსტო მარკების შეგროვებით არიან დაკავებულები. ზოგიც უფრო ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ და სუროგატ აქტივობას უფრო დიდი მნიშვნელობას ანიჭებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მის გარშემომყოფები ასევე იქცევიან ან იმიტომ, რომ საზოგადოება ასე ეუბნება. სწორედ ამიტომაც, ზოგიერთი ძალზე სერიოზულად ეკიდება საბოლოოდ ამ ტრივიალურ აქტივობებს, როგორიცაა სპორტი, ჭადრაკი, ან სამეცნიერო სწავლებები, ხოლო ზოგიც, უფრო კრიტიკულად მოაზროვნე ხვდება, რომ ზემოთჩამოთვლილი უბრალოდ სუროგატი აქტივობაა და არ იყენებს მათ საკუთარი ძალის პროცესის დასაკმაყოფილებლად. ხშირ შემთხვევაში პიროვნების სამსახურიც სუროგატი აქტივობაა, ოღონდ ნაწილობრივ, რადგან მისი მიზანი ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, (ზოგისთვის) სოციალური სტატუსის დაკავება და იმ საგნების ყიდვაა, რომლებსაც მას სარეკლამო ინდუსტრია ანდომებს. მაგრამ უმრავლესობა, მათ სამსახურებში უფრო მეტ ძალისხმევას დებს ვიდრე ეს იმ ფულის და სტატუსის მისაღებადაა საჭირო და შესაბამისად, სამსახურიც სუროგატ აქტივობაში ინაცვლებს. ეს დამატებითი ძალისხმევა, იმ ემოციურ ინვესტიციასთან ერთად რასაც პიროვნება სამუშაოში დებს, ის მდგრადი ძალაა, რომელიც სისტემის სიცოცხლის უნარიანობას უზრუნველყოფს და ნეგატიურად მოქმედებს ინდივიდიუალურ თავისუფლებაზე(იხილეთ პარაგრაფი 131). ეს ყოველივე განსაკუთრებით კრეატიულ ინჟინრებს და მეცნიერებს ეხებათ, ვინსთვისაც სამსახური სუროგატი აქტივობაა. ეს თემა იმდენად კომპლექსურია, რომ ცალკე განხილვას საჭიროებს(პარაგრაფები 87-92).

85. ამ სექციაში ავხსენით. თუ როგორ იკმაყოფილებს(ასე თუ ისე) ძალის პროცესს ხალხი თანამედროვე სამყაროს პირობებში. თუმცა ვფიქრობთ, რომ უმრავლესობისთვის ძალის პროცესი სრულად არ კმაყოფილდება. პირველ რიგში, მათ, ვისაც გაუმაძღარი დრაივი აქვთ სტატუსისადმი, ან დამოკიდებულნი ხდებიან სუროგატ აქტივობაზე, ან იდენტიფიცირებას ახდენენ ორგანიზაციასთან ან მოძრაობასთან ძალის პროცესის გასავლელად განსაკუთრებული ხასიათის პიროვნებები არიან. სხვანი სრულად არ კმაყოფილდებიან სუროგატი აქტივობებით ან ორგანიზაციებთან იდენტიფიკაციით(იხილეთ პარ. 41,64). შემდეგ, მკაცრი კონტროლი მოქმედებს დაწესებული რეგულაციების და სოციალიზაციის წყალობით, რაც აფერხებს

ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღებას და იმპულსების სწორად განვითარებას და საბოლოოდ შეუძლებელს ხდის მიზნის მიღწევას ბუნებრივი გზით.

86. მაგრამ, თუნდაც უმრავლესობა თავს კარგად გრძნობდეს ინდუსტრიულ-ტექნოლოგიურ საზოგადოებაში, ჩვენ (FC) მაინც ვეწინააღმდეგებით საზოგადოების ამ ფორმას, რადგან (სხვა მიზეზებთან ერთად) არასწორად მიგვაჩნია პიროვნების ძალის პროცესის დაკმაყოფილება, რეალური მიზნების მაგივრად, სუროგატი აქტივობებით და ორგანიზაციებთან იდენტიფიკაციით.

მეცნიერთა მოტივაცია

87. სუროგატი აქტივობების ყველაზე ნათელი მაგალითი მეცნიერება და ტექნოლოგიაა. ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მათი მოტივაცია "ცნობისმოყვარეობაა". ეს მოსაზრება უბრალოდ აბსურდია. უმეტესობა მეცნიერებისა მკაცრად გაწერილ სპეციალიზირებულ პრობლემებზე მუშაობს, რომლებსაც არანაერი საერთო არ აქვს ცნობისმოყვარეობასთან. მაგალითად ასტრონომი, მათემატიკოსი ან ენტომოლოგისტი იქნება დაინტერესებული იზოპროპიტრიმეთლინმეთანის შემადგნელობით? რათქმაუნდა არა. მხოლოდ ქიმიკოსს აინტერესებს ეს თემა, რადგან ქიმია მისთვის სუროგატი აქტივობაა. არის ქიმიკოსი დაინტერესებული ხოჭოთა ოჯახის კლასიფიკაციით? არა. ეს ენტომოლოგისტის სფეროა, რადგან კვლავ ენტომოლოგია მისი სუროგატი აქტივობაა. თუ ქიმიკოსიც და ენტომოლოგისტიც თავიანთ ძალისხმევას, ფიზიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებად მიმართავდნენ და ამას არა-სამეცნიერო, მაგრამ საინტერესო გზით გააკეთებდნენ, ორივეს ფეხებზე ეკიდებოდა იზოპროპიტრიმეთლინმეთანიც და ხოჭოების კლასიფიკაციაც. დავუშვათ, უმაღლესი განათლების დაფინანსების არ არსებობის გამო ქიმიკოსი ბროკერი გამხდარიყო. ამ შემთხვევაში გაყიდვები და დაზღვევა მისი განსაკუთრებული ინტერესის სფერო იქნებოდა და იზოპროპიტრიმეთლინმეთანის შემადგენლობა კვლავ ფეხებზე ეკიდებოდა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, იმ ძალისხმევას რასაც მეცნიერები საკუთარ შრომაში დებენ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არაა ნორმალური.

88. "სარგებელი კაცობრიობისთვის", ეს არგუმენტიც არაა ვალიდური. ზოგიერთი სამეცნიერო საქმიანობა არაა პირდაპირ სასარგებლო ადამიანთა კეთილდღეობისთვის - მაგ: არქეოლოგია ან ლინგვისტიკა. მეცნიერების სხვა დანარჩენი სფეროები კი ხიფათის შემცველია. თუმცა ამ სფეროში მომუშავე მეცნიერები ისეთივე ენთუზიაზმით უდგებიან საქმეს, როგორც ისინი, ვინც

ვაქცინებს ქმნიან ან ჰაერის დაბინძურებას სწავლობენ. დოქტორი ტელერი, რომელიც უდავოდ იყო ემოციურად დახარჯული ატომური ელექტრო სადგურების დადებითი მხარეების წარმოჩენასა და მათ მიმართ საზოგადეოებაში ცოდნის ამაღლებაში. ეს ემოციური ჩართულობა კაცობრიობისთვის სარგებლობის მოტანით იყო განპირობებული? თუ კი, მაშინ რატომ არ ზრუნავდა დოქტორი ტელერი სხვა ჰუმანიტარულ თემებზე? თუ ასეთი ჰუმანიტარი იყო, რატომ მიიღო მონაწილეობა ჰიდროგენის ბომბის შექნაში? ატომური ელექტრო სადგურების თემაც, ისევე როგორც სხვა ბევრი მეცნიერული მიღწევა ბადებს კითხვას, ნუთუ მართლა მოაქვთ მათ სარგებელი კაცობრიობისთვის. ნუთუ იაფი ელექტრო ენერგია გადაწონის იმ რისკს, რომელიც ასეთი სადგურების ავარიებს მოსდევს? დოქტორი ტელერი მონეტის მხოლოდ ერთ მხარეს ხედავდა. ნათელია, რომ ის ემოციური კავშირი, რომელიც მას ატომურ ძალებთან აკავშირებდა, კაცობრიობისთვის სარგებლობის მოტანიდან კი არ მოდიოდა, არამედ იმ კმაყოფილების გრძნობიდან, რომელსაც ის იღებდა მისი საქმიანობიდან.

89. იგივე ეხებათ საზოგადოდ მეცნიერთა უმრავლესობასაც.(იშვიათი გამონაკლისების მიუხედავად) მეცნიერთა მოტივაცია ცნობისმოყვარეობა და კაცობრიობისთვის სასარგებლო საქმის გაკეთება კი არაა, არამედ ძალის პროცესის გავლა: მიზნის ქონა(მეცნიერული პრობლემა, რომელიც ამოხსნას საჭიროებს), ძალისხმევა(ამ პრობლემის კვლევა) და მიზნის მიღწევა(პრობლემის გადაჭრა). მეცნიერება სუროგატი აქტივობაა, რადგან მეცნიერები ძირითადად იმ კმაყოფილების გრძნობის გამო მუშაობენ, რომელსაც სამეცნიერო საქმიანობიდან იღებენ.

90. რათქმაუნდა ყველაფერი ასე მარტივი არ არის. არსებობს სხვა მოტივაციის წყაროებიც. მაგალითად ფული და სტატუსი . ზოგიერთ მეცნიერს შეიძლება სტატუსისადმე გაცხოველებული დრაივი ჰქონდეს(იხილეთ პარაგრაფი 79.) და სწორედ ეს იყოს მისი მოტივაცია საქმისადმი. ეჭვგარეშეა, რომ მეცნიერთა უმრავლესობა, ისევე როგორც, ჩვეულებრივი მოსახლეობა, ექცევა სარეკლამო და სავაჭრო ინდუსტრიის გავლენის ქვეშ და სჭირდებათ ფული საგნების თუ სერვისების შესაძენად. შესაბამისად მეცნიერება წმინდა გაგების კი არა, ნაწილობრივ სუროგატი აქტივობაა.

91. ასევე მეცნიერება და ტექნოლოგია ერთ ერთი დიდი მასობრივი მოძრაობაა და ბევრი მეცნიერიც ძალის პროცესის მოთხოვნილებას ამ მოძრაობასთან იდენტიფიკაციით იკმაყოფილებს(იხილეთ პარაგრაფი 83).

92. შესაბამისად მეცნიერება ბრმად მიაბიჯებს, უგულვებელყოფს საზოგადო სარგებელს ან სხვა სტანდარტებს და ემორჩილება მეცნიერთა ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს, მთავრობის წარმომადგენლებს და კორპორაციებს, რომლებიც ფულით უზრუნველყოფენ სამეცნიერო საქმიანობას.

თავისუფლების ბუნება

93. ვიდავებთ, იმაზედ, რომ ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური საზოგადოება ვერ რეფორმირდება და მოეწყობა იმგვარად, რომ პროგრესულად არ შეავიწროვოს ადამიანის თავისუფლება. მაგრამ რადგან "თავისუფლების" აღქმა ბევრგვარია, უპირველესად ავხსნით თუ როგორ აღვიქვამთ მას ჩვენ.

94. თავისუფლებაში ვგულისხმობთ, ძალის პროცესის გავლის შესაძლებლობას რეალური მიზნებით და არა ხელოვნურით ან სუროგატი აქტივობებით, ყველანაერი დიდი ორგანიზაციის ჩარევის, მანიპულაციის და კონტროლის გარეშე. თავისუფლება ნიშნავს კონტროლ ქვეშ იყოს პიროვნების (როგორც ინდივიდის ან პატარა ჯგუფის წევრის) სამკვდრო-საციცოხლო საკითხები: საკვები, სამოსელი, თავშესაფარი და იმ საფრთხეებისგან თავდაცვა, რომელიც შეიძლება ამ ინდივიდის საცხოვრებელ გარემოში იყოს. თავისუფლება ნიშნავს ძალაუფლებას, გარშემომყოფების და ხალხის კონტროლს კი არა, არამედ ნებისმიერი შემთხვევის კონტროლს, რომელიც შეიძლება ინდივიდს შეემთხვეს. პიროვნება არაა თავისუფალი თუ ვინმეს(განსაკუთრებით დიდი ორგანიზაციებს) მასზე რაიმე სახის ძალაუფლება აქვთ, არ აქვს მნიშვნელობა ეს ძალაუფლება, სასარგებლოა თუ არა ინდივიდისთვის, ტოლერანტულია თუ ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლება უბრალო ნების დართვასთან არ უნდა ავურიოთ(იხილეთ პარაგრაფი 73).

95. ამბობენ, რომ თავისუფალ სამყაროში ვცხოვრობთ, რადგან კონსტიტუციურად გაწერილი უფლებები გვაქვს. მაგრამ ისინი არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. პიროვნული თავისუფლება საზოგადოების ეკონომიკური და ტექნოლოგიური სტრუქტურით უფრო განისაზღვრება ვიდრე მისი კანონებით და მთავრობის ფორმით. ახალი ინგლისის, ინდური სამეფოების უმრავლესობა მონარქია იყო და რენესანსის იტალიის ქალაქ სახელმწიფოების უმრავლესობას დიქტატორები მართავდნენ. მაგრამ მათი საზოგადოებების შესწავლისას ადვილად ვხედავთ, რომ იქ უფრო მეტი პერსონალური თავისუფლება იყო ვიდრე ჩვენს საზოგადოებაში. ამის ერთ-

ერთი მიზეზია, რომ მათ არ ჰქონდათ ეფექტური მექანიზმი, რომელიც მმართველის მოთხოვნებს ადეკვატურად განახორციელებდა. არ არსებობდა კარგად ორგანიზირებული თანამედროვე პოლიცია, შორ მანძილზე გათვლილი კომუნიკაციები, სათვალთვალო კამერები, საშუალო სტატისტიკური მოსახლის შესახებ დოსიები, შესაბამისად კონტროლისგან თავის დაღწევა შედარებით ადვილი იყო.

96. რაც შეეხება ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს, ავიღოთ პრესის თავისუფლება. ჩვენ თავისთავად არ ვგეგმავთ მის გადაგდებას: ის მნიშვნელოვანი იარაღია კორუმპირებული პოლიტიკოსების და მათ მიერ ჩადენილი უმსგავსობების სამხილებლად, მაგრამ პრესის თავისუფლება ჩვეულებრივი, რიგითი პიროვნებისთვის ინდივიდუალურ დონეზე არაფრის მაქნისია. მასმედია ძირითადად დიდი ორგანიზაციების კონტროლ ქვეშაა, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან სისტემაში. ნებისმიერს, ცოტაოდენი ფულით შეუძლია რაიმე დაბეჭდოს ან ინტერნეტში განათავსოს სტატია, მაგრამ მის შემოქმედებას მასმედიის მიერ შექმნილი აურაცხელი რაოდენობის მატერია ჩაყლაპავს, შესაბამისად მას არანაერი ეფექტი არ აქვს. საზოგადოებაზე სიტყვებით შთაბეჭდილების მოხდენა ინდივიდებისთვის და პატარა ჯგუფებისთვის შეუძლებელია. მაგალითად, ჩვენ (FC). რაიმე აგრესიული, რომ არ ჩაგვედინა და ჩვენი ნააზრევი დასაბეჭდად მიგვეტანა, ალბათ მას არც კი მიიღებდნენ. რომ მიეღოთ ბევრ მკითხველს ვერც მიიზიდავდა, რადგან გასართობი ინდუსტრიის პროდუქტის ყურება უფრო სახალისოა ვიდრე სიმართლის წაკითხვა. მას, რომც ბევრი მკითხველი ყოლოდა, ეს ხალხი მალე დაივიწყებდა ამ სიტყვებს, რადგან მათი ქვეცნობიერი იმ აურაცხელი მასალით გაივსებოდა, რასაც მედია მათ ყოველდღე აწვდის. საზოგადოების წინაში ჩვენი მესიჯი, რომ წარგვედგინა და დაუვიწყარი შთაბეჭდილება დაგვეტოვებინა, საჭირო გაგვიხდა ადამიანები დაგვეხოცა.

97. კონსტიტუციური უფლებები სასარგებლოა, რაღაც დონით, მაგრამ იგი თავისუფლების გარანტია ვერ იქნება, ისევე როგორც ბურჟუული თავისუფლების კონცეპტი. ამ კონცეპტის მიხედვით ადამიანი სოციალური მანქანის ელემენტია, რომელსაც წინასწარ გამოწერილი და საზღვრებს შორის მოქცეული თავისუფლება აქვს, თავისუფლება, რომელიც სოციალურ მანქანას უფრო ემსახურება, ვიდრე ამ ინდივიდს. შესაბამისად ბურჟუა "თავისუფალ" ადამიანს აქვს ეკონომიკური თავისუფლება, რადგან ეს პროგრესს და ზრდას ქადაგებს, აქვს პრესის თავისუფლება, რადგან საზოგადო კრიტიკა ამცირებს პოლიტიკური სუბიექტების თავნებობას და მას აქვს სამართლიანი სასამართლო, რადგან სისტემისთვის ცუდი იქნებოდა თუ ძლიერი პიროვნება გადაწყვეტდა ვინ უნდა ჩამჯდარიყო ციხეში. ეს ყველაფერი სიმონ ბოლივარის მმართველობას ჰგავს.

მისი აზრით ხალხი, მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსახურებდა თავისუფლებას, თუ ისინი ხელს შეუწყობდნენ პროგრესს(პროგრესის ბურჟუული ხედვა). სხვა ბურჟუა მოაზროვნეებსაც იგივენაერი ხედვები აქვთ თავისუფლებაზე. ჩესტერ ს. ტენი, "ჩინური პოლიტიკური ხედვა მეოცე საუკუნეში", 202-ე გვერდი, ხსნის კუო-მიტანგის ლიდერის ჰუ ჰან-მინის ფილოსოფიას:"ინდივიდუალს ენიჭება უფლებები, რადგან ის საზოგადოების წევრია და მისი წევრობა ითხოვს ამ უფლებებს. საზოგადოებაში ჰუ მთლიან ერს გულისხმობს." და 259-ე გვერდზე ტენი ამბობს, რომ კარსუმ ჩანგის(ჩანგ ჩუნ-მაი, ჩინეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი) მიხედვით, თავისუფლება ქვეყნის და ხალხის, როგორც მთლიანი ერთობის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ განა რა თავისუფლებაა, ის რომელიც სხვის მიერ არის გაწერილი? FC-ს თავისუფლების კონცეპტი არ ჰგავს ბოლივარის, ჩანგის, ჰუს ან სხვა ბურჟუა მოაზროვნეების კონცეფციებს. ასეთი მოაზროვნეების პრობლემა იმაშია, რომ მათ სოციალური საკითხების შესწავლა განვითარება სუროგატ აქტივობად აქციეს. შესაბამისად ეს თეორიები მოაზროვნეებზე უფროა მორგებული ვიდრე იმ ხალხზე, რომელსაც საუბედუროდ შეიძლება, ისეთ საზოგადოებაში მოუწიოს ცხოვრება, სადაც ეს თეორიები პრაქტიკაშია მოყვანილი.

98. კიდევ ერთი რამ შეიძლება აღინიშნოს. არ შეიძლება დავასკვნათ, რომ პიროვნებას საკმარისი თავისუფლება აქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას თვითონ იძახის. თავისუფლების ცნება ბევრისთვის, მათსავე გაუაზრებლად შეზღუდულია ფსიქოლოგიური კონტროლით და ხშირად თავისუფლების აღქმაც სოცალური ჩარევითაა შედგენილი ვიდრე თვითონ ინდივიდის მოთხოვნილებებით.

ისტორიის ზოგიერთი პრინციპი

99. ისტორია ორი კომპონენტისგან შედგება: პირველი, ცვალებადი კომპონენტი, რომელიც არაპროგნოზირებადი მოვლენებისგან შედგება და შესამჩნევი სტრუქტურა არ გააჩნია. მეორე ნაწილი კი რეგულარი კომპონენტია, რომელიც გრძელვადიანი ისტორიული შემთხვევებისგან შედგება. ჩვენ ინტერესს სწორედ გრძელვადიანი მოვლენები იწვევს.

პირველი პრინციპი

100. თუ მცირე ცვლილება გავლენას ახდენს გრძელვადიან ისტორიულ მოვლენაზე, ეს ეფექტი ყოველთვის იქნება გარდამავალი - და ადრე თუ გვიან ის თავის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება. მაგალითი: რეფორმა, რომელმაც

საზოგადოებაში პოლიტიკური კორუფცია უნდა ამოძირკვოს იშვიათად არის გრძელვადიანი. ადრე თუ გვიან რეფორმატორების გავლენა სუსტდება და კორუფციაც ბრუნდება. ზემოთ ხსნებულ საზოგადოებაში კორუფციის დონე იგივე რჩება ან მცირედით იცვლება საზოგადეობის ევოლუციასთან ერთად. კორუფციის გაქრობა სამუდამო იმ შემთხვევაში იქნება თუ მას მოსდევს ფართოდ გავრცელებული სოციალური ცვლილებები. პატარა ცვლილება საზოგადოებაში უბრალოდ არ იქნება საკმარისი. პატარა ცვლილებას სამუდამო ეფექტი აქვს გრძელვადიან ისტორიულ ტრენდზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ტრენდი მოცემული ცვლილების გზას უკვე მიუყვება. შესაბამისად ტრენდი კი არ იცვლება უბრალოდ უფრო სწრაფად ვითარდება.

101. პირველი პრინციპი თითქმის ტავტოლოგიაა. თუ ტრენდი, პატარა ცვლილებების დახმარებით სტაბილური არ იქნებოდა, გაწერილ გზას კი არ გაყვებოდა არამედ შემთხვევითობის პრინციპით განვითარდებოდა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ის გრძელვადიანი არ იქნება.

მეორე პრინციპი

102. თუ ცვლილება საკმარისად დიდია, რომ შეცვალოს გრძელვადიანი ისტორიული ტრენდი, მაშინ ის საზოგადოებასაც, როგორც ერთ მთლიანობას, შეცვლის. სხვა სიტყვებით: საზოგადოება სისტემაა, რომელშიც ყველა ნაწილი ერთმანეთზეა დამოკიდებული და შეუძლებელია, რომელიმე მნიშვნელოვანი ნაწილის სამუდამოდ ისე შეცვლა, რომ სხვა დანარჩენი ნაწილებიც არ შეიცვალონ.

მესამე პრინციპი

103. თუ ცვლილება საკმარისად დიდია, რომ შეცვალოს გრძელვადიანი ისტორიული ტრენდი, მაშინ ამ ცვლილების შედეგების წინასწარმეტყველება შეუძლებელია. (თუ რათქმაუნდა სხვა, მრავალ, განსხვავებულ საზოგადოებებს არ გაუვლიათ იგივე ცვლილება და შედეგები ყველასთვის ერთნაერი იყო. მაშინ ემპირიულ ნიადაგზე შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ საზოგადოება, რომელიც იგივე ცვლილებას გადის, იგივენაერ შედეგს მოიმკის, როგორიც წინარე სოციუმებმა.)

მეოთხე პრინციპი

104. ახალი ტიპის საზოგადოებრივი წყობა შეუძლებელია თეორიულად შეიქმნას. წარმოუდგენელია, ახალი ფორმის საზოგადოების დაგეგმვა, შემდეგ შექმნა და იმის ლოდინი, რომ ის ისე იმუშავებს, როგორც ქაღალდზეა გაწერილი.

105. მესამე და მეოთხე პრინციპები ადამიანური საზოგადოებების კომპლექსურობიდან გამომდინარეობს. ადამიანის ქცევაში ცვლილება შეცვლის საზოგადოების ეკონომიკას და მის ბუნებრივ გარემოს. ეკონომიკა იმოქმედებს გარემოზე და პირიქით. ეკონომიკის და გარემოს ცვლილება ადამიანის ქცევაში რთული, არაპროგნოზირებადი გზებით მოახდენს გავლენას. მიზეზების და ეფექტების აბლაბუდა ძალზედ კომპლექსურია, რომ ბოლომდე განვაანალიზოთ.

მეხუთე პრინციპი

106. ხალხი შეგნებულად და გააზრებულად არ ირჩევს იმ საზოგადოების ფორმას, რომელშიც ცხოვრობს. საზოგადოებები სოციალური ევოლუციით ვითარდება და არ ექვემდებარება ადამიანის რაციონალურ კონტროლს.

107. მეხუთე პრინციპი დანარჩენი ოთხის შედეგია.

108. წარმოსადგენად: საზოგადოდ, პირველი პრინციპის თანახმად სოციალური ცვლილება ან იმ გზით ვითარდება, რომელსაც საზოგადოება უკვე ადგას(და ის უბრალოდ დააჩქარებს იმ ცვლილებას, რომელიც უნდა მომხდარიყო) ან მას მხოლოდ დროებითი ეფექტი აქვს და საზოგადოება კვლავ დაუბრუნდება ძველ წესრიგს. საზოგადოების განვითარებისთვის ან მის ნებისმიერ ასპექტში გარდამტეხი და სამუდამო ცვლილების მოსახდენად რეფორმა არა საკმარისია და საჭიროა რევოლუცია. (რევოლუცია მაინცდამაინც არ გულისხმობს შეიარაღებულ ამბოხს ან მთავრობის გადაგდებას.) მეორე პრინციპის თანახმად: რევოლუცია არასდროს ცვლის საზოგადოების მხოლოდ ერთ ასპექტს. და მეოთხე პრინციპის თანახმად: ხდება ისეთი ცვლილებები, როგორიც რევოლუციონერებს არ ნდომებიათ. ის გეგმის მიხედვით არასდროს მიმდინარეობს.

109. ამერიკის რევოლუცია კონტრ არგუმენტად არ გამოდგება. ის რევოლუციაც კი არ ყოფილა ჩვენი სამყაროს გადმოსახედიდან, არამედ განმათავისუფლებელი ომი, რომელსაც ფართო მასშტაბიანი პოლიტიკური რეფორმები მოჰყვა. დამფუძნებელ მამებს ამერიკული საზოგადოების განვითარების მიმართულება

არც შეუცვლიათ და არც შეცვლის სურვილი ჰქონიათ. მათ უბრალოდ ამერიკული საზოგადოება გაანთავისუფლებს იმ დამადებილებელი ეფექტისიგან, რომელიც ბრიტანულ მთავრობას ჰქონდა მასზე. მათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, არცერთი უბრალოდ ტრენდიც არ შეუცვლია. უბრალოდ დააჩქარეს ამერიკული პოლიტიკური კულტურის განვითარება. ბრიტანული საზოგადოება, რომლისგანაც ამერიკული განსხვავდებოდა, წარმომადგენლობითი დემოკრატის გზაზე იდგა. თავისუფლების ომამდე ადრე ამერიკელები უკვე იყენებდნენ წარმომადგენლობით დემოკრატიას კოლონიალურ ანსამბლეაში. მათი პოლიტიკური სისტემა, რომელიც კონსტიტუციამ დაამტკიცა ბრიტანულ და კოლონიალურ ანსამბლეაზე იყო დაფუძნებული. ეჭვგარეშეა დამფუძნებელმა მამებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, მაგრამ ის გზა, რომელიც მათ აირჩიეს, უკვე იყო გზა, რომელზეც ინგლისურად მოსაუბრე მსოფლიო იდგა. ბრიტანეთი და მისი კოლონიები, სადაც ძირითადად ინგლისური წარმომავლობის ხალხი ცხოვრობდა საბოლოოდ გახდნენ წარმომადგენლობითი დემოკრატიები, რომლებიც ჰგვანან ამერიკულ მოდელს. დამფუძნებელ მამებს თავისუფლების დეკლარაციაზე ხელი, რომც არ მოეწერათ ჩვენი ცხოვრება ძალზედ განსხვავებული არ იქნებოდა. შეიძლება ბრიტანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვქონოდა და კონგრესის და პრეზიდენტის ნაცვლად პარლამენტი და პრემიერ მინისტრი გვყოლოდა. შესაბამისად ამერიკის რევოლუცია ჩვენი ხედვების კონტრ არგუმენტი კი არა მათი კარგი ილუსტრაციაა.

110. მაგრამ მაინც, ამ პრინციპების განხილვისას საღი, პრაქტიკული აზროვნება უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან მათი ინტერპრეტირება სხვადასხვანაერად შეიძლება და შესაბამისად გამონაკლისების პოვნაც დასაშვებია. შესაბამისად ჩვენ ამ პრინციპებს, როგორც მკაცრ კანონებს ისე კი არ ვუყურებთ არამედ, როგორც გზამკვლევსს, საზოგადოების მომავლის შესახებ მიამიტური იდეების საპირწონედ. ეს პრინციპები ყოველთვის უნდა ახსოვდეს პიროვნებას და როდესაც იგი რაღაც დასკვნამდე მივა უნდა იხელმძღვანელოს ამ პრინციპებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩეს მიღებულ დასკვნამდე თუ კარგი მიზეზი აქვს.

ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური საზოგადოება ვერ რეფორმირდება

111. ზემოთ აღნიშნულმა პრინციპებმა აჩვენა, თუ როგორი შეუძლებელი იქნება ინდუსტრიული სისტემის რეფრომირება ისე, რომ მან ადამიანთა თავისუფლება არ/აღარ შეავიწროვოს. ინდუსტრიული რევოლუცია იძლევა ტექნოლოგიას,

რომელიც აძლიერებს სისტემას ადამიანთა თავისუფლების და ადგილობრივი ავტონომიის შემცირების ხარჯზე. შესაბამისად ნებისმიერი მცდელობა თავისუფლების გაძლიერების და დაცვისა ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ფუნდამენტურ დებულებებს. ასე რომ ცვლილება იქნება ან გარდამავალი და ჩაიყლაპება ისტორიის მსვლელობასთან ერთად, ან იქნება საკმარისად დიდი, რომ შეცვალოს მთლიანი სოციუმი. ეს ყველაფერი პირველი და მეორე პრინციპების თანახმად. უფრო მეტიც, რადგან საზოგადოების ცვლილებების შედეგების წინასწარმეტყველება შეუძლებელია(მესამე პრინციპის თანახმად) რისკი უცილობლად დიდია. თავისუფლების სასარგებლოდ დიდი ცვლილებები არც დაიწყება. რადგან მალევე ნათელი იქნება, რომ ის საფრთხეს შეუქმნის სისტემას. შესაბამისად რეფორმაციის ნებისმიერი მცდელობაც ძალზედ სუსტი და არაეფექტური იქნება. თუნდაც დიდი ცვლილებები დაიწყოს, ისინი მაშინვე შეწყდება, როგორც კი მათი სისტემისადმი ხელისშემშლელი ფაქტორები იჩენს თავს. შესაბამისად, სამუდამო ცვლილებები იმ ხალხის ხარჯზე მოხდება, რომლებიც მზად არიან მიიღონ ის რადიკალური, საშიში და წარმოუდგენელი რეზულტატი, რომელიც ამ ცვლილებას მოსდევს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ რევოლუციონერებით და არა რეფორმისტებით.

112. ხალხი, რომელსაც არც თავისუფლების დაკარგვა უნდა და არც ტექნოლოგიის, ახალი საზოგადოების მოწყობის მიამიტურ გეგმას შეიმუშავებს, სადაც ტექნოლოგია თანხვედრაში იქნება თავისუფლებასთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი, რომელიც მხოლოდ თეორიებით შემოიფარგლება იშვიათად დგამს ქმედითუნარიან ნაბიჯებს. თუნდაც ესეთი ნაბიჯები იქნეს გადაგმული, მეოთხე პრინციპის თანახმად, ახალი წყობა ან დაინგრევა ან დაგეგმილთან შედარებით ცალსახად განსხვავებული იქნება.

113. ასე, რომ თეორიულადაც კი, თითქმის შეუძლებელია ისეთი საზოგადოების არსებობა სადაც თავისუფლება თანამედროვე ტექნოლოგიასთან იქნება თანხვედრაში. მომდევნო რამდენიმე სექციაში, უფრო დაწვრილებით ავხსნით, თუ რატომ არიან ტექნოლოგია და ავტონომია შეუთავსებელნი.

თავისუფლების შეზღუდვა ინდუსტრიულ საზოგადოებაში გარდაუვალია.

114. როგორც პარაგრაფებში, 65-67 და 70-73, ავხსენით თანამედროვე კაცი შებოჭილია რეგულაციების და კანონების კომპლექსური ქსელით, მისი ცხოვრება კი იმ ხალხის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, რომლებიც მისგან ძალიან

დაშორებულები არიან და რომლებზეც, მას არანაერი გავლენა არ გააჩნია. ეს არც შემთხვევითობაა და არც მკაცრი ბიუროკრატიზმის შედეგი. არამედ ეს უცილობელი და საჭირო რეალობაა ნებისმიერ ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებაში. სისტემამ უნდა აკნოტროლოს ადამიანთა ქცევები, რომ გამართულად იმუშაოს. სამსახურში, ხალხმა ის უნდა აკეთოს რასაც ეტყვიან, თუ არადა პროდუქციის წარმოებას ქაოსი მოიცავს. ბიუროკრატია წინასწარ გაწერილი წესებით მოქმედებს. დაბალი დონის ბიუროკრატს, რომ გადაწყვეტილების მიღების ავტონომია მიეცეს, სისტემა გამართულად ვერ იმუშავებს, რადგან ყველა ბიუროკრატის შეხედულება განსხვავებული იქნება. მართალია, რომ ზოგიერთი შეზღუდვის განადგურება შეიძლება, მაგრამ ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური საზოგადოების გამართულად ფუნქციონირებისთვის, დიდი ორგანიზაციების მიერ ჩვენი ცხოვრების მაქსიმალური კონტროლი საციცოხლოდ მნიშვნელოვანია. შედეგად კი ვიღებთ, რომ საშუალო სტატისტიკური ადამიანი თავს უძლურად და სუსტად გრძნობს. ხოლო რეგულაციები ნელნელა, ფსიქოლოგიური მიდგომით ჩანაცვლდება, რომ ის გავაკეთოთ, რაც სისტემას აწყობს.(პროპაგანდა 14, საგანმანათლებლო ტექნიკები, "მენტალური ჯანმრთელობის" პროგრამები და ა.შ.)

115. სისტემამ უნდა შეცვალოს ადამიანთა ქცევები, რომელიც თავისთავად დაშორებულია ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას და სტრუქტურას. მაგ: სისტემას სჭირდება მეცნიერები, მათემატიკოსები, ინჟინრები. მათ გარეშე სისტემის მუშაობა წარმოუდგენელია. შესამისად ბავშვების ქვეცნობიერზე მიდის გამუდმებული მუშაობა, რომ ზემოთხსენებულ კარიერებს გაყვნენ. ახალგაზრდა ადამიანისთვის არაა ბუნებრივი დროის უდიდესი ნაწილი გაატაროს მერხთან სწავლაში ჩაფლულმა. ნორმალური ახალგაზრდა საჭიროებს აქტიურ და მჭიდრო კონტაქტს ბუნებასთან. პრიმიტიულ საზოგადოებებში, ბავშვებს რა ცოდნასაც აძლევდნენ ჰარმონიაშია ადამიანის ბუნებრივ იმპულსებთან. ამერიკელ ინდიელებში, მაგალითად, ბიჭებს ავარჯიშებდნენ ნადირობასა და ველზე გადარჩენაში, რაც მათ ძალიან მოსწონდათ. მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში, ბავშვები ძალდატანებით სწავლობენ ტექნიკურ საგნებს.

116. სისტემის მიერ ადამიანის ქცევის უწყვეტი შეცვლა და დამახინჯება, ზრდის იმ ხალხის რაოდენობას, რომლებიც არ ეგუებიან სისტემის ახალ მოთხოვნებს: სახელმწიფო დახმარების მიმღები პარაზიტები, ბანდის ახალგაზრდა წევრები, კულტისტები, მთავრობების მოწინააღმდეგე მეამბოხეები, რადიკალი ბუნების დამცველი დივერსანტები, სწავლა შეწყვეტილი ხალხი და ა.შ.

117. ნებისმიერ ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებაში, ინდივიდის ბედი დამოკიდებული უნდა იყოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებზეც ის პერსონალურად ვერ მოახდენს გავლენას. ტექნოლოგიური საზოგადოება ვერ იქნება ჩაშლილი პატარ-პატარა ავტონომიურ კომუნებად, რადგან მასობრივ წარმოებას სჭირდება დიდძალი მუშახელი და მანქანა დანადგარები. ასეთი საზოგადოება კარგად ორგანიზირებული უნდა იყოს და მიღებული გადაწყვეტილება ხალხის უმრავლესობას უნდა ეხებოდეს. როდესაც გადწყვეტილება, დავუშვათ მილიონ კაცს ეხება, მაშინ საშუალოდ პერსონალურ დონეზე ამ გადაწყვეტილების მიღებაში პიროვნების წილი ერთი მემილიონედია. მაგრამ როგორც პრაქტიკაში ხდება ხოლმე გადაწყვეტილებას მთავრობა ან მისი წევრები, კორპორაციები ან სპეციალისტები იღებენ, თუნდაც სახალხო არჩევნებით იქნეს შედეგი მიღწეული, ამომრჩეველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ინდივიდის ხმას მნიშვნელობა საგრძნობლად ეკარგება. შესაბამისად ინდივიდების უმეტესობას არ შეუძლიათ იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის ქონა, რომლებიც მათ ცხოვრებას განსაზღვრავს. ტექნოლოგიურად განვითარებულ სამყაროში ამ ყველაფრის გამოსწორების გზა არ არსებობს. სისტემა იყენებს პროპაგანდას, რადგან მოანდომოს ხალხს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მის მაგივრად მიიღეს, მაგრამ თუნცად ეს "გზა" სავსებით საკმარისი იყოს, ის მაინც დამამცირებელია ინდივიდისთვის.

118. კონსერვატორები და სხვანი ითხოვენ უფრო მეტ "ადგილობრივ ავტონომიას". მართლაც ერთ დროს ადგილობრივ, მცირე კომუნებს ჰქონდათ ავტონომია, მაგრამ ის თანდათანობით ქრება და მისი შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი გახდა, რაც პირდაპირ კავშირშია ასეთი კომუნების დამოკიდებულების მასობრივ საზოგადოებრივ სისტემებზე, როგორებიცაა: საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ენერგო რესურსები, კომპიუტერული ქსელები, მაგისტრალები, მასობრივი კომუნიკაციები, მედია, თანამედროვე მედიცინა და ა.შ. ასევე ავტონომიას ზღუდავს ტექნოლოგია, რომელიც ერთ ლოკაციაზე მუშაობს, მაგრამ შეიძლება გავლენას ახდენდეს სხვა ადგილზე, მაგალითად წყლის რეზერვებში მოხვდერილმა ქიმიურმა ნაწილაკმა შეიძლება დააბინძუროს წყლის მარაგი ასობით მილის მოშორებით, შესაბამისად სათბურის ეფექტი მთლიან მსოფლიოს ეხება.

119. სისტემა არ და ვერ იარსებებს, რომ დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნები. პირიქით, ადამიანის ქცევის სტრუქტურა ისე უნდა შეიცვალოს, რომ სისტემას მოერგოს. ეს არაფერ შუაშია, იმ პოლიტიკურ თუ სოციალურ იდეოლოგიასთან, რომელიც თითქოს ამ ტექნოლოგიურ სისტემას წინ უძღვება. ეს ყველაფერი ტექნოლოგიის ბრალია, რადგან სისტემას იდეოლოგია კი არა ტექნოლოგიური საჭიროება უდგას სათავეში. რათქმაუნდა სისტემა ადამიანის

ზოგიერთ მოთხოვნას აკმაყოფილებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ასე თვითონვე აწყობს. სისტემაა უმნიშვნელოვანესი და არა ადამიანი. მაგალითად, სისტემა ამარაგებს ადამიანს საკვებით, რადგან იგი ვერ იფუნქციონირებს გამართულად თუ შიმშილი იქნება; ის ყურადღებას აქცევს ადამიანთა ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რადგან ვერ იმუშავებს თუ უმრავლესობა დეპერესიული და მეამბოხე იქნება. მაგრამ სისტემა პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე მუდმივ სტრესის ქვეშ აყენებს ადამიანის ქცევით სტრუქტურას, რადგან მოარგოს ის მის მოთხოვნებს. ძალზედ ბევრი ნაგავი გროვდება? მთავრობა, მედია, განათლების სისტემა, გარემოს დამცველები, ყველანი მუდმივად ჩაგვჩიჩინებენ ნარჩენების გადამუშავებაზე. უფრო მეტი ტექნიკოსია საჭირო? სისტემის უამრავი მეგაფონი მოუწოდებს ბავშვებს, რომ მეცნიერება ისწავლონ. არავინ ლაპარაკობს იმაზე, თუ რამდენად ჰუმანურია ახალგაზრდისთვის იმ საგნების დაძალებით სწავლა(რაშიც ის მისი დროის უდიდეს ნაწილს ხარჯავს), რომელთა უმეტესობაც მას სძულს. როდესაც გაწაფული მუშახელი სამსახურს ტექნოლოგიის გამო კარგავს და მათ "გადამზადება" უწევთ, არავინ საუბრობს იმაზე, რომ შეიძლება ეს ყველაფერი მათთვის შეურაცხმყოფელი ან დამამაცირებელი იყოს. უბრალოდ მარტივად მიღებული აზრია, რომ ყველა უნდა დაემორჩილოს ტექნოლოგიურ საჭიროებას უკეთესი მომავლისთვის. თუ ადამიანის მოთხოვნები ტექნოლოგიაზე მაღლა დადგება, მაშინ მოხდება ეკონომიკური ვარდნა, უმუშევრობა, საკვების ნაკლებობა ან უარესი. "მენტალური ჯანმრთელობის" სტაბილურობა ჩვენს სოციუმში განისაზღვრება, რამდენად მოქმედებს ადამიანი სისტემის მოთხოვნების სასარგებლოდ, სტრესისა და დეპრესიის ნიშნების გამოვლენის გარეშე.

120. ნებისმიერი მცდელობა სისტემის შიგნით ავტონომიის ან რაიმე მიზნის ქონის(რეალურის და ბუნებრივის) უბრალოდ ცუდი ხუმრობაა. მაგალითად, ერთი კომპანია თანამშრომლებს კატალოგის სათითაო სექციას კი არ აწყობინებდა არამედ მთლიანად და ამით ცდილობდა მათთვის რაიმეს მიღწევით კმაყოფილების გრძნობა გაეჩინა. ზოგი კომპანია დასაქმებულებს ავტონომიის დონეს უზრდის, მაგრამ პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე მხოლოდ მცირე დოზით, თან ეს ავტონომია დასაქმებულის პირად გადაწყვეტილებას და მიზანს კი არა, დამსაქმებელის მიზანს, კომპანიის ზრდას და განვითარებას ხმარდება. ყველა კომპანია უბრალოდ გაკოტრდებოდა მუშახელს სხვანაირად თუ მიუდგებოდა. იგივენაირადაა სოციალისტურ სისტემაშიც, წარმოებაში მომუშავე ხალხმა მათი ძალისხმევა წარმოების მიზნისკენ უნდა მიმართოს, თუ არადა ის, როგორც სისტემის ნაწილი თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს. კიდევ ერთხელ, წმინდად ტექნოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე, ინდუსტრიულ სისტემაში ინდივიდებს და მცირე კომუნებს შეუძლებელია ჰქონდეთ ავტონომია. მცირე ბიზნესის მფლობელსაც კი

ხშირ შემთხვევაში შეზღუდული ავტონომია აქვს. მთავრობის რეგულაციების გარდა, იგი იძულებულია დაემორჩილოს ეკონომიკური სისტემის მოთხოვნებს და ჩაჯდეს მის საზღვრებში. მაგალითად, როდესაც ვინმე ახალ ტექნოლოგიას გამოიგონებს, მცირე მეწარმე იძულებულია გამოიყენის იგი, მიუხედავად იმისა უნდა ეს თუ არა, რადგან კონკურენცია გაუწიოს ბაზარზე არსებულს სხვა პროდუქტებს.

ტექნოლოგიის "ცუდ" და "კარგ" მხარეებად დაყოფა შეუძლებელია.

121. კიდევ ერთი მიზეზი თუ რატომ ვერ მოხერხდება ინდუსტრიული საზოგადოების გარდაქმნა თავისუფლების სასარგებლოდ არის, რომ თანამედროვე ტექნოლოგია ერთიანი სისტემაა,სადაც ყველა ნაწილი ერთმანეთზეა დამოკიდებული. უბრალოდ შეუძლებელია "ცუდი" ნაწილების გაქრობა და "კარგის" დატოვება. მაგალითად თანამედროვე მედიცინა. პროგრესი მედიცინაში დამოკიდებულია, პროგრესზე ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, კომპიუტერულ მეცნიერებაში და სხვა განხრებში. თანამედროვე სამედიცინო პროცედურების ჩასატარებლად საჭიროა ისეთი მაღალ ტექნოლოგიური ხელსაწყოები, რომლის წარმოებაც მხოლოდ, ტექნოლოგიურად პროგრესულ და ეკონომიკურად მდიდარ საზოგადოებას შეუძლია. შესაბამისად ტექნოლოგიური სისტემის გარეშე მედიცინაში პროგრესის მიღწევა შეუძლებელია.

122. თუნდაც სამედიცინო პროგრესის მიღწევა ტექნოლოგიის გარეშეც შესაძლებელი იყოს ის მაინც შექმნიდა მრავალ ბოროტებას. წარმოვიდგინოთ, რომ დიაბეტის წამალი გამოიგონეს. ისინი ვინც გენეტიკურად დიაბეტიკები არიან, ჩვეულებრივ გამრავლდებიან, როგორც ჯანმრთელი ხალხი. დიაბეტური გენების ბუნებრივი გადარჩევა შეწყდება და ისინი ჩვეულებრივ გავრცელდება.(ეს შეიძლება, რაღაც დონეზე მაინც ხდება, რადგან დიაბეტის განკურნება არა, მაგრამ კონტროლი შეიძლება ინსულინის მეშვეობით.) იგივე მოხდება ბევრი სხვა გენეტიკური დაავადების შემთხვევაში, რომლებიც რაღაც დონეზე მაინც გხვდება პოპულაციაში. ერთადერთი გამოსავალი ან რაიმესახის ევგენიკა იქნება ან ადამიანთა გენეტიკური ინჟინერია, და მომავალში ადამიანი ბუნების ქმნილება, ან ღვთის ხატი(გააჩნია თქვენს რელიგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს) კი არ იქნება, არამედ წარმოებული პროდუქტი.

123. თუ ფიქრობ, რომ დიდი მთავრობა შენს ცხოვრებაში ძალზედ უხეშად ერევა, დაიცადე სანამ ისინი შენი ბავშვის გენეტიკურ მოდიფიკაციას დაარეგულირებენ. ასეთი რეგულაციები უცილობლად მოყვება გენეტიკური ინჟინერიის პრაქტიკაში დანერგვას, რადგან უკონტროლო გენური მოდიფიკაციის შედეგები დამანგრეველი იქნება.

124. ძირითადი პასუხი ამ თემაზე არის "სამედიცინო ეთიკა". მაგრამ ეთიკის კოდექსი არ დაიცავს თავისუფლებას სამედიცინო პროგრესისგან, პირიქით, უფრო გაართულებს სიტუაციას. ეთიკის კოდექსი, რომელიც მორგებული იქნება გენეტიკურ ინჟინერიაზე დაარეგულირებს მას. ვიღაც (ალბათ სოციუმის ზედა კლასი) გადწყვეტს, რომელი გენეტიკური მოდიფიკაცია ეთიკური ან არაეთიკურია, შესაბამისად ეს მცირე ჯგუფი საზოგადოებას მოახვევს თავს საკუთარ აზრს. თუნდაც ეთიკის კოდექსი დემოკრატიულად იქნეს შედგენილი უმრავლესობა მოახვევს თავის აზრს უმცირესობას, ამ უკანასკნელს კი შეიძლება რადიკალურად განსხავავებული შეხედულება ჰქონდეს, რა არის გენეტიკურ მოდიფიკაციაშია ეთიკური და რა არა. ერთადერთი კოდექსი, რომელიც თავისუფლებას დაიცავდა არის, ის რომელიც აკრძალავდა ადამიანთა გენურ ინჟინერიას. და დარწმუნებული იყავი, რომ ასეთი ეთიკის კოდექსი ტექნოლოგიურ საზოგადოებაში არ იმუშავებს. არც ის კოდექსი იმუშავებს, რომელიც მინიმუმადე დაიყვანს ბიოინჟინერიას, რადგან ცდუნება იმ ძალაუფლების, რომელსაც გენური მოდიფიკაცია გვთავაზობს უსაზღვრო იქნება. უმრავლესობისთვის ეს ყველაფერი კარგი იქნება (რადგან გაანაგდურებს გენურ დაავადებებს, და ხალხს მისცემს შესაძლებლობას დღევანდელ სამყაროში უკეთესად იცხოვრონ). საბოლოოდ გენური ინჟინერია გამოყენებული იქნება დიდი მასშტაბებით, მაგრამ მხოლოდ ისე, რომ ინდუსტრიულ-ტექნელოგიური სისტემის მოთხოვნებს მოერგოს.

ტექნოლოგია უფრო ძლიერი სოციალური ძალაა, ვიდრე თავისუფლების სურვილი

125. შეუძლებელია ტექნოლოგიასა და თავისუფლების შორის ზავის დადება, რომელიც არ დაირღვევა, რადგან ჯერ-ჯერობით ტექნოლოგია ყველაზე ძლიერი სოციალური ძალაა და კვლავ აგრძელებს თავისუფლების დაჯაბნას ერთი და იმავე კომპრომატებით. წარმოიდგინეთ, ორი მეზობელი, რომლებსაც ერთი და იგივე ზომის მიწის ნაკვეთები აქვთ. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მეორზე საგრძნობლად ძლიერია. ძლიერი მეზობელი მეორეს მიწის ნაწილს მოითხოვს. სუსტი კი უარზეა. ძლიერი ამბობს:"კარგი, მოდი შევთანხმდეთ, იმის ნახევარი მომეცი რაც მოვითხოვე". სუსტს სხვა გზა არ აქვს და ძლიერის ნებას დაჰყვება.

რაღაც დროის მერე ძლიერი კვლავ მოსთხოვს მიწის ნაწილს, კვლავ იქნება კომპრომატი და ა.შ. კომპრომატების დაძალებით სუსტი საბოლოოდ დაკარგავს მთლიან მიწას. იგივენაირადაა ტექნოლოგიის და თავისუფლების ურთიერთობაც.

126. ახლა ავხსნით, თუ რატომაა ტექნოლოგია თავისუფლების წყურვილზე ძლიერი სოციალური ძალა.

127. ტექნოლოგიური მიღწევა, რომელიც, თავიდან, თითქოს თავისუფლებას არ ზღუდავს, საბოლოოდ საპირიპირო შედეგს დებს ხოლმე. მაგალითისთვის ავიღოთ მოტორიზირებული ტრანსპორტი. თავისდროზე ფეხით მოსიარულე ყოველგვარი რეგულაციების და ტექნოლოგიის დახმარების გარეშე ისე გადაადგილდებოდა, როგორც სურდა და იმ სიჩქარით, როგორც მოისურვებდა. როდესაც მოტორიანი ტრანსპორტი გამოჩნდა, ისე ჩანდა, თითქოს ადამიანის თავისუფლება გაიზარდა. მათ არ წაურთმევიათ ფეხით მოსიარულესათვის თავისუფლება, არავის უწევდა ავტომობილის ყოლა და ის ვინც, ყიდულობდა უფრო სწრაფად გადაადგილდებოდა, ვიდრე ქვეითი. მაგრამ ტრანსპორტის შემოღებამ ისეთნაირად შეცვალა ჩვენი საზოგადოება, რომ დიდწილად შეზღუდა ადამიანის გადაადგილების თავისუფლება. როდესაც ავტომობილების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა საჭირო გახდა მათი მოძრაობის მკაცრი რეგულირება. მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, მანქანის მფლობელი თავისუფლად ვეღარ მგზავრობს იმ სიჩქარით, რომელიც მას საიმოვნებს - მისი მოძრაობა დამოკიდებულია სხვა ავტომობულების ნაკადზე და ათასგვარ საგზაო კანონებზე. ადამიანი შეზღუდულია მრავალი მოთხოვნებით: მართვის მოწმობის აუცილებლობა, მართვის ტესტი, სარეგისტრაციო მოწმობების განახლება, დაზღვევა, ავტომობილის გამართულობა, თვიური გადასახადი და ა.შ. უფრო მეტიც, ავტოტრანსპორტით სარგებლობა ნებაყოფლობითიც აღარაა. მოტორიზირებული ტრანსპორტის შემოსვლასთან ერთად, ჩვენი ქალაქების სტრუქტურაც იმნაირად შეიცვალა, რომ პიროვნება აღარ ცხოვრობს სამსახურთან, რეკრეაციულ დაწესებულებებთან და ა.შ. სავალ დისტანციაზე და დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, რომლის გამოყენების დროსაც უფრო შეზღუდულია მობილობის თავისუფლება, ვიდრე საკუთარი მანქანით მგზავრობისას. ქვეითის თავისუფლებაც კი დიდწილად შეზღუდულია. ქალაქში მას შუქნიშნებთან უწევს გაჩერება, რომლებიც ძირითადად ავტომობილთა გადაადგილებას ემსახურება. გზატკეცილზე სიარული კი სახიფათოა სწორედ, რომ მანქანების გამო.(ტრანსპორტის მაგალითით, მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვყავით: როდესაც ახალი ტექნოლოგია შემოდის, და მისი მიღება ნებაყოფლობითია, ის ყოველთვის

ასეთად არ რჩება. ხშირ შემთხვევაში ახალი ტექნოლოგია ისე ცვლის საზოგადოებას, რომ ხალხი იძულებულია ის გამოიყენოს).

128. მაშინ, როცა ტექნოლოგიური პროგრესი, როგორც ერთი მთლიანობა განაგრძობს ჩვენი თავისუფლების შეზღუდვას, ცალკეული ტექნოლოგიები შეიძლება სასურველადაც იქნეს აღქმული. ელექტროობა, კანალიზაცია, სწრაფი კომუნიკაცია... როგორ შეიძლება ვინმემ ამათ ან იმ სხვა უთვალავი მიღწევის წინაშე გაიბრძოლოს, რომლებმაც თანამედროვე საზოგადოება შექმა? შეუძლებელია ტელეფონის ხმარებაში შემოღებას ვინმე შეწინააღმდეგოს. მან ხალხს ბევრი უპირატესობა და არანაერი უარყოფითი ფაქტორი არ შესთავაზა. თუმცა, როგორც პარაგრაფებში 59-76 ავხსენით, ერთად აღებულმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შექმნა სამყარო სადაც საშუალო სტატისტიკური პიროვნების ბედი მის, მისი მეგობრების და მეზობლების კი არა იმ პოლიტიკოსების, კორპორაციების, ტექნიკოსების და ბიუროკრატიების ხელშია, რომლებზეც მას როგორც ინდივიდს გავლენა არ აქვს. იგივე პროცესი გაგრძელდება მომავალშიც. მაგალითად ავიღოთ გენეტიკური ინჟინერია. ბევრი ვერ გაუძლებს ცდუნებას გამოიყენოს გენური მოდიფიკაცია, რომელიც გაანადგურებს შთამომავლობით გადამდებ დაავადებებს. ერთი შეხედვით ეს უწყინარი პროცესია და არანაერი უარყოფითი შედეგი არ აქვს. მაგრამ დიდი რაოდენობის გენეტიკური ინჟინერია ადამიანს რიგით პროდუქტად აქცევს და არა თავისუფალ ქმნილებად(იქნება ეს ღმერთის თუ ნებისმიერი რამის, გააჩნია შენს რელიგიურ შეხედულებებს.)

129. კიდევ ერთი მიზეზი თუ რატომაა ტექნოლოგია ასეთი ძლიერი სოციალური ძალა, არის ჩვენი საზოგადოების წყობა, რომელშიც ტექნოლოგიური პროგრესი მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდის. მისი უკან დატრიალება შეუძლებელია. მას შემდეგ რაც ტექნოლოგიური ინოვაცია საზოგადოებაში მოიკიდებს ფეხს, ხალხი მასზე დამოკიდებული ხდება, სანამ მას კიდევ უფრო ახალი და თანამედროვე ინოვაცია არ ჩაანაცვლებს. ახალ ტექნოლოგიურ მიღწევაზე ხალხი, როგორც მხოლოდ ინდივიდი, ისე კი არ ხდება დამოკიდებული არამედ, როგორც მთლიანი საზოგადოება.(წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდა სისტემას, კომპიუტერები, რომ გამქრალიყვნენ.) შესაბამისად სისტემა, მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდის, უფრო მეტი ტექნოლოგიზაციისკენ. ტექნოლოგია აიძულებს თავისუფლებას ნაბიჯ-ნაბიჯ დათმოს პოზიციები- რადგან თავიდან აიცილოს მთლიანი ტექნოლოგიური სისტემის განადგურება.

130. ტექნოლოგია სწრაფად ვითარდება და თავისუფლებას ერთდროულად მრავალი მხრიდან ემუქრება(ხალხმრავლობა, წესები და რეგულაციები,

ინდივიდის მზარდი დამოკიდებულება ორგანიზაციებზე, პროპაგანდა და სხვა ფსიქოლოგიური ტექნიკები, გენეტიკური ინჟინერია, პირადი სივრცის დარღვევა კომპიუტერები და სხვა სათვალთვალო მოწყობილობები და ა.შ.) რომელიმე ამ საფრთხის შეკავება და უკუგდება დიდ სოციალურ ძვრებს მოითხოვს. მათ ვისაც თავისუფლების დაცვა სურს, ყოველი მხრიდან ხდება გამუდმებული თავდასხმის მსხვერპლი და შესაბამისად მათი წინააღმდეგობაც იკლებს და ბოლოს ნადგურდება. ამ საფრთხეებთან ცალცალკე ბრძოლა ამაო იქნება. წარმატება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა თუ სისტემას როგორც ერთ მთლიანობას ისე შევებრძოლებით და ეს გაბრძოლება რეფორმა კი არა რევოლუცია უნდა იყოს.

131. ტექნიკოსები(ჩვენ ვიყენებთ ამ ტერმინს, იმ ხალხის აღსაწერად, რომლებსაც გააჩნიათ სპეციალურ დარგებში მუშაობის უნარი.) ისე არიან ჩაფლულნი თავიანთ საქმიანობაში (სუროგატ აქტივობაში), რომ როდესაც საკითხი დგება მათ სამსახურსა და თავისუფლებას შორის, ისინი თითქმის ყოველთვის ტექნიკურ საქმიანობას ირჩევენ ხოლმე. ეს რათქმაუნდა ეჭვგარეშეა მეცნიერებთან მიმართებაში, მაგრამ სხვა დარგებშიც იჩენს თავს: განმანათლებლები/მასწავლებლები, ჰუმანიტარული ჯგუფის წევრები, კონსერვატიული მოძრაობები უყოყმანოდ იყნებენ პროპაგანდას და სხვა ფსიქოლოგიურ ტრიუკებს თავიანთი მიზნის მისაღწევად. კორპორაციები და მთავრობის აგენტები, როდესაც მათ საქმეს აწყობს გულგრილად ივიწყებენ პირადი სივრცის კონცეფციას და თავისუფლად აგროვებენ ინფორმაციას ინდივიდებზე. საპოლიციო აგენტურა ხშირად უგულვებელყოფს ეჭვმიტანილის ან უდანაშაულო პიროვნების კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს და ყველაფერს აკეთებს(ლეგალურადაც და არალეგალურადაც), რომ ზემოთხსენებული უფლებები შეავიწროვოს. უმეტესობას ამ სფეროებში მომუშავეების სჯერათ, თავისუფლების, პირადი სივრცის და კონსტიტუციური უფლებების უზენაესობის, მაგრამ როგორც კი ისინი მათ საქმიანობასთან მოდიან კონფლიქტში, მაშინვე ივიწყებენ ხოლმე მათ.

132. საზოგადოდ ცნობილია, რომ როდესაც პიროვნება ჯილდოს გამო შრომობს, ის უფრო პროდუქტიულია, ვიდრე როცა დასჯის ან ნეგატიური რეზულტატის შიშით აკეთებს დაკისრებულ მოვალეობას. მეცნიერები და სხვა ტექნიკოსები ძირითადად ჯილდოთი არიან ხოლმე მოტივირებულნი. მაგრამ ისინი, ვინც ტექნოლოგიურ პროგრესს წინ აღუდგებიან, ხოლმე ამას არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილბელად აკეთებენ. შესაბამისად ამ სასწორაკვეთილ იდეას ცოტა მისდევს შემართებით. თუ ისინი მოახერხებდნენ, რომ შეექმნათ მძლავრი ბარიერი, რომელიც წინ აღუდგებოდა თავისუფლების დაკნინებას ტექნოლოგიურ სამყაროში, ისინი ყურადღებას მალევე მოადუნებდნენ და უმრავლესობა უფრო სასარგებლო საქმიანობას აირჩევდა. მაგრამ მეცნიერები

კვლავ თავიანთ ლაბორატორიებში იქნებოდნენ ჩაფლულნი და ტექნოლოგია, ნებისმიერი გზას მოძებნიდა რომ გადაელახა ზემოთაღნიშნული ბარიერები, უფრო მეტი კონტროლი დაეწესებინა ინდივიდიებზე და გაეხადა ისინი სისტემაზე დამოკიდებული.

133. არანაერ სოციალურ შეთანხმებებს, იქნება ეს კანონები, ინსტიტუციები, მორალური თუ ეთიკის კოდექსი, არ შეუძლია ხალხის დაცვა ტექნოლოგიისგან. ისტორია გვაჩვენებს, რომ ყველა სოციალური შეთანხმება გარდამავალია, ისინი ან სახეს იცვლიან ან საბოლოოდ ნადგურდებიან. მაგრამ მოცემულ ცივილიზაციას თუ მივიღებთ მხედეველობაში, ტექნოლოგიური მიღწევები სამარადისოა. წარმოიდგინეთ, რომ ისეთი შეთანხმება შედგა, რომელიც კრძალავს გენურ ინჟინერიას ან იმ დონეზე უშვებს, სანამ ადამიანის თავისუფლებას და ღირსებას საფრთხე არ ემუქრება. ამ ყველაფრის მიუხედავად ტექნოლოგია მოიცდის, ადრე თუ გვიან, უფრო ადრე, ჩვენი საზოგადოების განვითარების დონის სიჩქარით თუ ვიმსჯელებეთ, ეს სოციალური შეთანხმება განადგურდება, შემდეგ კი გენური ინჟინერია ადამიანთა თავისუფლებას უკონტროლოდ შეზღუდავს და ეს პროცესი შეუქცევადი იქნება.(თუ რათქმაუნდა თვითონ ტექნოლოგიური ცივილიზაცია არ განადგურდა). აზრი იმის შესახებ, რომ სოციალური შეთანხმებებით რაიმეს მიღწევა შესაძლებელია, უკუგდებული უნდა იყოს იმ მაგალითითაც თუ რა ხდება დღეს ბუნების დაცვის კანონებთან მიმართებაშიც. რამდენიმე წლის წინ, თითქოს არსებობდა ლეგალური ბარიერები, რომლებიც გარემოს უკიდურეს დეგრადაციას აღკვეთავდა, თუმცა პოლიტიკურ ასპარეზზე მოთამაშეების შეცვლამ ეს კანონებიც გააქრო.

134. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე ტექნოლოგია თავისუფლებისკენ ლტოლვაზე ძლიერი სოციალური ძალაა. მაგრამ ეს არგუმენტი მნიშვნელოვან კვალიფიკაციას საჭიროებს. როგორც ჩანს, შემდეგ რამდენიმე დეკადში, ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური სისტემა მნიშვნელოვან დარტყმებს მიიღებს გარემო, ეკონომიკური და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანური ფაქტორებიდან(მიგრაცია, ამბოხი, აგრესია, სხვადასხვა სოციალური და ფსიქოლოგიური სიძნელეები) გამომდინარე. ჩვენ გვჯერა, რომ ეს მძიმე დროს, რომელსაც სისტემა დიდი ალბათობით გადაიტანს, საბოლოოდ ბოლოს მოუღებს მას, ან იმ დონემდე დაასუსტებს, რომ რევოლუცია მოხდება და თუ წარმატებით, სწორედ მაგ მომენტში დამტკიცდება, რომ თავისუფლება უფრო ძლიერი სოციალური ძალაა ვიდრე ტექნოლოგია.

135. 125-ე პარაგრაფში განვიხილეთ სუსტი მეზობლის მაგალითი, რომელიც უძლურია ძლიერი მეზობლის კომპრომისების წინაშე და მთლიან მიწას კარგავს. მაგრამ ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ძლიერი მეზობელი ავად ხდება და მიწის

დაცვა აღარ შეუძლია. სუსტს შეუძლია აიძულოს, რომ მიწა დაუბრუნოს ან უბრალოდ მოკლას ის. თუ ის მიწის დაბრუნებას აიძულებს ძლიერს და ცოცხალს დატოვებს, მაშინ სუსტი მეზობელი სულელიც ყოფილა, რადგან, როდესაც ძლიერი მომჯობინდება დაბრუნებულს კიდევ ერთხელ წაართმევს. ერთადერთი საღი ალტერნატივა სუსტისთვის არის, რომ მოკლას ძლიერი სანამ ამის შანსი აქვს. შესაბამისად სანამ ინდუსტრიული სისტემა დასუსტებულია ჩვენ ის უნდა გავანადგუროთ. თუ დათმობაზე წავალთ და გადარჩენის საშუალებას მივცემთ, ის საბოლოოდ მთელ თავისუფლებას წაგვართმევს.

შედარებით მარტივი სოციალური პრობლემები, რომლებიც დაუძლეველი აღმოჩნდა.

136. თუ ვინმეს კიდევ სჯერა, რომ სისტემის რეფორმირება იმგვარად შეიძლება, რომ თავისუფლება დავიცვათ ტექნოლოგიისგან, უბრალოდ გადახედოს თუ როგორ უმკლავდება ჩვენი საზოგადოება შედარებით მარტივ და ადვილ პრობლემებს. სხვა დანარჩენთან ერთად, სისტემამ ვერ შეძლო შეეჩერებინა გარემოს განადგურება, კორუფცია პოლიტიკაში, ნარკო დანაშაული და ოჯახური ძალადობა.

137. მაგალითისთვის ავიღოთ ბუნების დაბინძურება. ამ შემთხვევაში ღირებულებების კონფლიქტი უშუალო და პირდაპირია: ეკონომიკური სარგებელი ახლა, ჩვენი შვილიშვილებისთვის ნატურალური რესურსების დატოვების წინააღმდეგ. მაგრამ ამ საკითხზე, იმ ხალხისგან, რომელსაც ძალაუფლება აქვს მხოლოდ ლაყბობას და უმოქმედობას ვიღებთ, შესაბამისად ჩვენს შვილიშვილებს მოუწევთ იმ ეკოლოგიურ პრობლემებთან გამკლავება, რომლებიც ერთმანეთს დღითიდღე ემატება. გარემოს პრობლემების მოგვარების საკითხი სხვადასხვა ფრაქციებს შორის დავასაც მოიცავს, რომლებიც ხან ერთ მომენტში წამოყოფენ თავს და ხანაც მეორეში. პრობლემისთვის ბრძოლის ხაზი საზოგადოებრივი აზრის ცვალებადობაზე გადის. ეს არც რაციონალური პროცესია და არც წარმატებულად გაართმევს თავს პრობლემის გადაჭრას. დიდი მასშტაბის სოციალური პრობლმები, ძალზედ იშვიათად ან საერთოდ არასდროს არ გვარდება რაციონალური, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ისინი უბრალოდ პროცესში გადაიჭრება, სადაც არაერთი დაპირისპირებული ჯგუფები იღწვიან თავიანთი (მოკლევადიანი) ინტერესის მისაღწევად და საბოლოოდ თანხდებიან (ძირითადად შემთხვევით) ასე თუ ისე სტაბილურ რეზულტატზე. უფრო მეტიც, პრინციპები, რომლებიც 100-106 პარგარაფებში ჩამოვაყალიბეთ ეჭვს ბადებენ, რომ რაციონალური, გრძელვადიანი სოციალური გეგმა ოდესმე წარმატებული იქნება.

138. შესაბამისად ნათელია, რომ კაცობრიობას, საუკეთესო შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობა აქვს გადაჭრას თუნდაც მარტივი და ნათელი სოციალური პრობლემა. და როგორ მოახერხებს ის, მოაგვაროს უფრო დიდი და ვერაგი, თავისუფლების და ტექნოლოგიის შეთავსების, პრობლემა? ტექნოლოგიას აქვს ნათელი, მატერიალური რესურსის უპირატესობა, მაშინ, როდესაც თავისუფლება აბსტრაქტული ცნებაა, რომელსაც ყველა გაანსხვავებულად გებულობს და მის დაკარგვას ადვილად ფარავს პროპაგანდა და ტკბილი სიტყვები.

139. და დაიმახსოვრეთ ეს მნიშვნელოვანი განსხვავება: შესაძლებელია, რომ ჩვენი გარემოს პრობლემები(მაგალითისთვის) მოგვარდეს რაციონალური, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, მაგრამ ესე მოხდება მხოლოდ იმიტომ, რომ სისტემის გრძელვადიან ინტერესებს ემსახურება ამ პრობლემის გადაჭრა. მაგრამ თავისუფლების ან მცირე ჯგუფების ავტონომიის დაცვა არ არის სისტემის ინტერესის სფერო. პირიქით სისტემა მიილტვის, რომ ადამიანის ქცევის სტრუქტურა მაქსიმალურად კონტროლ ქვეშ ყავდეს. შესაბამისად, რა პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარეც სისტემა მიხედავს გარემოს პრობლემებს, სწორედ იმავე პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე უფრო მეტად გააკონტროლებს ადამიანს და მის ქცევას(არაპირდაპირი მეთოდებით, რომლებიც შეფარვით თავისუფლებას შეზღუდავენ.) ეს მხოლოდ ჩვენი მოსაზრება არ არის. გამოჩენილი სოციოლოგიის მკვლევარები და მეცნიერები(მაგალითად ჯეიმს ვილსონი) ხშირად საუბრობენ ადამიანთა "სოციალიზაციის" მნიშვნელობაზე.

რევოლუცია რეფორმაზე ადვილია.

140. ვიმედოვნებთ, დავაწრმუნეთ მკითხველი იმაში, რომ შეუძლებელია სისტემის იმგვარად რეფორმირება, სადაც ტექნოლოგია და თავისუფლება ურთიერთშეთანხმებულად იარსებებენ. ერთადერთი გამოსავალი მთლიანად ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური სისტემის მოშორებაა. ეს გულისხმობს რევოლუციას, მაინცდამაინც შეირაღებულს არა, არამედ რადიკალურ და ფუნდამენტალურ ცვლილებებს საზოგადოების ბუნებაში.

141. ხალხს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ რახამ რევოლუციას უფრო მასშტაბური ცვლილებები მოაქვს ვიდრე რეფორმას, ის უფრო ძნელი მოსახდენია. არადა, სწორ ვითარებაში რევოლუციის მოხდენა რეფორმის

გატარებაზე ადვილია. მიზეზი შემდეგია, რომ რევოლუციურ მოძრაობას უფრო მეტი საზოგადო თავდადების შთაგონება შეუძლია, ვიდრე რეფორმისტთა მოძრაობას. რეფორმისტები უბრალოდ პრობლემის გადაჭრის გზას გვთავაზობენ. რევოლუციური მოძრაობა კი ყველა პრობლემის გადაჭრას და ახალი წესრიგის დამყარებას გვთავაზობს; ის უზრუნველყოფს ისეთი იდეალების პრაქტიკაში გატარებას, რომლისთვისაც ხალხი დიდ რისკზე წავა და თავსაც გაწირავს. შესაბამისად უფრო ადვილია მთლიანი ტექნოლოგიური სისტემის დამხობა, ვიდრე გრძელვადიანი, ეფექტური შეზღუდვების დაწესება ტექნოლოგიის რომელიმე სეგმენტზე მაგ: გენურ ინჟინერიაზე. არც ისე ბევრი იბრძოლებს გენურ ინჟინერიაზე შეზღუდვების დასაწესებლად, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში ბევრი გაიბრძოლებს ინდუსტრიულ-ტექნელოგიური სისტემის, როგორც ერთი მთლიანობის, წინააღმდეგ. როგორც 132-ე პარაგრაფში ავღნიშნეთ, რეფორმისტები იმიტომ ზღუდავენ ტექნოლოგიის ზოგიერთ ასპექტს, რომ ნეგატიური შედეგის თავიდან არიდება უნდათ, მაშინ როდესაც რევოლუციონერი დიდი ჯილდოსთვის - მათი რევოლუციური მიზნის მიღწევისგან მიღებულ კმაყოფილების გრძნობისთვის - იბრძვის, და შესაბამისად ის უფრო დიდ ჯაფას წევს ვიდრე რეფორმისტი.

142. რეფორმა ყოველთვის შებოჭილია იმ შედეგებით, რაც შეიძლება ცვლილებას მოყვეს. მაგრამ როდესაც რევოლუციური სული საზოგადოებას მოედება, ხალხი წარმოუდგენელ სიძნელეებს შეეჭიდება ამავე რევოლუციის გამო. ეს ნათლად ჩანს საფრანგეთის და რუსეთის რევოლუციებში. შეიძლება ასეთ შემთხვევებში მოსახლეობის მცირე ნაწილი იბრძვის რევოლუციისთვის, მაგრამ ეს ძალა საკმარისად ძლიერი და აქტიურია იმისთვის, რომ საზოგადოებაში დომინანტური გახდეს. რევოლუციაზე 180-205 პარაგრაფეში უფრო მეტს ვისაუბრებთ.

ადამიანთა ქცევის კონტროლი.

143. ცივილიზაციის საწყისიდან ორგანიზირებულ სოციუმებს, სოციალური ორგანიზმის გამართულად ფუნქციონირებისთვის უწევდათ ადამიანის კონტროლი. ამ სახის კონტროლი სხვადასხვა საზოგადოებებში განსხვავებულად გვხვდება. ასეთი ზეგავლენა შეიძლება იყოს ფიზიკური(ცუდი დიეტა, გადაჭარბებული მუშაობა, გარემოს დაბინძურება), ან ფსიქოლოგიური(ხმაური, ჭარბი მოსახლეობა, ადამიანთა ქცევის სისტემის ჩარჩოებს მორგება). წარსულში ადამიანის ბუნება შედარებით ერთგვარი და ვიწრო ჩარჩოებში მოქცეული იყო. შესაბამისად, საზოგადოებაც ადამიანს მხოლოდ გარკვეულ ლიმიტებში აქცევდა. როდესაც ადამიანის მოთმინების ლიმიტი აივსებოდა სიტუაცია უარესობისკენ იცვლებოდა: ამბოხება, დანაშაული, კორუფცია, მუშაობისგან თავის აცილება,

დეპრესია და სხვა მენტალური პრობლემები, გაზრდილი სიკვდილიანობა, შემცირებული შობადობა, ან სხვა რაიმე, რის შედეგადაც საზოგადოება იშლებოდა ან იმ დონის ქმედითუუნარო ხდებოდა, რომ (სწრაფად თუ ნელა, დაპყრობით, დაუძლურებით თუ ევოლუციით) მას სხვა უფრო ეფექტური ფორმის საზოგადოება ანაცვლებდა.

144. მაშასადამე ადამიანის ბუნება ძველად სოციუმის განვითარებას რაღაც ლიმიტებს უწესებდა. მაგრამ დღეს ეს ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, რადგან თანამედროვე ტექნოლოგია ადამიანის ქცევის შეცვლის გზებს პოულობს.

145. წარმოიდგინეთ საზოგადოება, რომელიც ხალხს ისეთ კონდიციებში აცხოვრებს, რომ ისინი არ არიან ბედნიერები, შემდეგ კი მათ ნარკოტიკს აძლევს, რომელიც ამ უბედურებას აქრობს. ფანტაზიის სფერო? არა, ეს ყველაფერი რაღაც დოზით უკვე ხდება ჩვენს საზოგადოებაში. ცნობილი ფაქტია, რომ კლინიკური დეპრესია ბოლო დეკადებში საგრძნობლად გაიზარდა. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ყველაფერი ძალის პროცესში ჩარევის ბრალია, როგორც ავხსენით 59-76 პარაგრაფებში. მაგრამ რომც ვცდებოდეთ, ფაქტია, რომ კლინიკური დეპრესიის სიჭარბე ჩვენს საზოგადოებაში არსებული რაღაც კონდიციების ბრალია. და ამ კონდიციების მოშორების მაგივრად თანამედროვე საზოგადოება ხალხს ანტიდეპრესანტებით ჭყიპავს. ეფექტურად, ანტიდეპრესანტი არის საშუალება მოახდინოს ინდივიდის შინაგანი მდგომარეობის მოდიფიკაცია ისე, რომ გახადოს ის უფრო ტოლერანტული იმ სოციალური პირობების მიმართ, რომელსაც ის სხვაგვარად აუტანელად მიიჩნევდა. (დიახ, ჩვენ გვესმის, რომ დეპრესია ხშირად წმინდა გენეტიკურია. ამ შემთხვევაში იმ მაგალითებს განვიხილავთ, სადაც გენეტიკის მაგივრად გარემო პირობები თამაშობს პრედომინანტურ როლს.)

146. ნარკოტიკები, რომლებიც გონებაზე ახდენს ეფექტს, ერთერთი საშუალებაა იმ მეთოდებისა, რომლითაც თანამდეროვე საზოგადოება აკონტროლებს ადამიანის ქცევას. ახლა განვიხილოთ სხვა მეთოდებიც.

147. დასაწყისისითვის, დაკვირვების და თვალთვალის ტექნიკები. დამალული კამერები ყველა მაღაზიაშია და კომპიუტერები კი ინდივიდზე ინფორმაციის მოპოვებისთვის და დამუშავებისთვის გამოიყენება. ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია ძალზედ ეფექტურია ინდივიდზე ფიზიკური იძულების გამოყენების დროს.(ძალოვანი ორგანოები და ა.შ.) შემდეგი არის პროპაგანდის მეთოდები, რისთვისაც მასობრივი მედია ეფექტური იარაღი გამოდგა. დიდი სიზუსტითაა

შემუშავებული პროპაგანდის ტექნიკები: არჩევნების მოგებისთვის, პროდუქტების გასაყიდად, საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოსახდენად. გართობის ინდუსტრია სისტემის უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური იარაღია, მაშინაც კი, როდესაც ის დიდი რაოდენობით სექს და ძალადობრივ პროდუქტებს ქმნის. გართობის ინდუსტრიამ ადამიანისთვის შექმნა გზა, რომ ცხოვრებას გაექცეს(მაგ; escapism). როდესაც ინდივიდი ჩაფლულია ტელევიზორში, ვიდეოებში და ა.შ. მას ავიწყდება სტრესი, იმედგაცრუება, უკმაყოფილება. ბევრი პრიმიტიული ხალხი, როდესაც მათ საქმე არ აქვთ გასაკეთებელი უპრობლემოდ სხედან უსაქმურად საათობით, რადგან თავიანთ თავთან და მათ სამყაროსთან ჰარმონიაში არიან. მაგრამ უმეტესობა თანამედროვე ადამიანებისა ყოველთვის რაღაცით უნდა იყოს დაკავებული ან ერთობოდეს, თორემ "მოწყენილები" (მოუსვენრები, გაღიზიანებულები) ხდებიან.

148. დანარჩენი მეთოდები უფრო ძლიერ კვალს ტოვებს ვიდრე ზემოთ აღნიშნული. განათლება აღარაა ბავშვის დატუქსვა გაკვეთილის არ ცოდნის და შექება მისი დასწავლის შემთხვევაში. ის მეცნიერულ ტექნიკად ჩამოყალიბდა, რომელიც ბავშვის განვითარებას აკონტროლებს. მაგალითად სილვანის სასწავლო ცენტრებმა, წარმატებით შეძლებს მოსწავლეებისთვის მიეცათ სწავლის მოტივაცია და ამდაგვარი ფსიქოლოგიური ხრიკები მეტნაკლები წარმატებით გამოიყენება თითქმის ყველა სკოლაში. ბავშვის აღზრდის ტექნიკები, რომლებიც მშობლებისთვის ისწავლება, იმნაირადაა შექმნილი, რომ ამ მეთოდებით აღზრდილი ბავშვი იცნობს და ითავისებს სისტემის ფუნდამენტურ ღირებულებებს და მისი საქციელიც სისტემის მიერ დაწესებულ "ნორმებს" არ სცდება. "მენტალური ჯანმრთელობის" პროგრამები, "ჩარევის" ტექნიკები, ფსიქოთერაპია თითქოს პიროვნების სასარგებლოდაა შექმნილი, მაგრამ სინამდვილეში ისინიც სისტემის მეთოდებია, რომ დაარწმუნოს ინდივიდი იფიქროს და მოიქცეს ისე, როგორც სისტემას სურს. (არანაერი წინააღმდეგობა არაა აქ: ინდივიდი, რომლის საქციელი ან დამოკიდებულება კონფლიქტში მოდის სისტემასთან, უპირისპირდება ძალას, რომლის დამარცხებაც მას არ ძალუძს და რომლისგან გაქცევაც მისთვის შეუძლებელია, შესაბამისად, ის, ალბათ, დაიტანჯება სტრესისგან, იმედგაცრუებისგან, დამარცხებისგან. მისი ცხოვრება უფრო ადვილი იქნება თუ ისე იფიქრებს და მოიქცევა, როგორც სისტემას უნდა. ასე რომ სისტემა ინდივიდის სასარგებლოდ მაშინ იქცევა, როდესაც მას ტვინს ურეცხავს და იმორჩილებს.) ბავშვზე ნებისმიერი სახის ძალადობა ყველა თუ არა, უმეტესობა კულტურაში დაგმობილია. ბავშვის წამება, ნებისმიერი მიზნით ყველა ჩვენგანს გვაძრწუნებს. მაგრამ ბევრი ფსიქოლოგი ძალადობის კონცეპტს ძალზედ პირდაპირ განიხილავს. გატყიპვა ან დატუქსვა, როდესაც ის რაციონალური მიზეზების გამო და დისციპლინისთვისაა გამოყენებული შეიძლება ჩაითვალოს თუ არა ძალადობად? ამ კითხვაზე პასუხი შემდეგია: ბავშვის დატუქსვა ქმნის თუ არა

ქცევით ჯაჭვს, რომელიც არსებული საზოგადოების სისტემაში კარგად ექცევა. პრაქტიკაში, სიტყვა "ძალადობა" ინტერპრეტირდება, როგორც ნებისმიერი მოქმედება ბავშვზე, რომელიც ქმნის ისეთ საქციელს რაც მიუღებელია სისტემისთვის. შესაბამისად, როდესაც არსებული, თვალნათლივი ბოროტების შეჩერების იქით მიდიან და იქმნება პროგრამები "ბავშვთა მიმართ ჩადენილი ძალადობის" აღმოსაფხვრელად ეს ყველაფერი სისტემის ხრიკია ადამიანის საქციელის კონტროლისთვის.

149. სავარაუდოდ, კვლევები გაგრძელდება, რომ გაიზარდოს ადამიანის ბუნების კონტროლის ეფექტურობა ფსიქოლოგიური ტექნიკების გამოყნებით. მაგრამ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ფსიქოლოგიური ხრიკები არ იქნება საკმარისი ადამიანის გასაკონტროლებლად იმ ტიპის საზოგადოებაში, რომელსაც ტექნოლოგია ქმნის. დიდი ალბათობით ბიოლოგიური მეთოდებიც იქნება გამოყენებული. ჩვენ უკვე ავღნიშნეთ ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება ამ მიზნით. ნეუროლოგიამ შეიძლება ახალი გზები მოძებნოს ადამიანის აზროვნების მოდიფიცირებისთვის. ადამიანების გენეტიკურ ინჟინერია უკვე არსებობს პრაქტიკაში, რომელიც "გენური თერაპიის" სახელით ვიცნობთ. და არანაერი მიზეზი არ გვაქვს, არ ვივარაუდოთ, რომ ასეთი მეთოდები საბოლოოდ არ იქნება გამოყენებული, ადამიანის სხეულის იმ ნაწილების მოდიფიცირებისთვის, რომელიც გამართულ მენტალურ ფუნქციონირებაზე მოახდენს ზეგავლენას.

150. როგორც 134-ე პარაგრაფში ავღნიშნეთ, ინდუსტრიული საზოგადოება მძიმე სტრესულ პერიოდში შევა, რომელიც გამოწვეული იქნება ადამიანის ქცევითი, ასევე ეკონომიკური და ბუნებრივი პრობლემებით. და საგრძნობი ნაწილი სისტემის ეკონომიკური და ბუნებრივი პრობლემებისა სწორედ ადამიანთა ქცევიდან გამომდინარეობს. გაუცხოება, დაბალი თვითშეფასება, დეპრესია, ძალადობა, აჯანყება, ბავშვები, რომლებიც არ სწავლობენ, ახალგაზრდების ბანდები, არალეგალური ნარკოტიკები, გაუპატიურება, ბავშვებზე ძალადობა, სხვა დანაშაულები, დაუცველი სექსი, მოზარდთა ორსულობა, მოსახლეობის გაზრდა, პოლიტიკური კორუფცია, რასობრივი სიძულვილი, ეთნიკური დაძაბულობა, მწვავე იდეოლოგიური კონფლიქტი(მაგ: აბორტის მომხრეები და მისი მოწინააღმდეგეები), პოლიტიკური ექსტრემიზმი, ტერორიზმი, საბოტაჟი, მთავრობის მოწინააღმდეგე ჯგუფები. ეს ყველაფერი სისტემის გადარჩენას უქმნის საფრთხეს. სისტემა იძულებული იქნება გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა პრაქტიკული საშუალება ადამიანის ქცევის გასაკონტროლებლად.

151. სოციალური მღელვარება, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ, უბრალო დამთხვევის შედეგი არაა. ეს იმ ცხოვრების სტილის შედეგია, რომელსაც სისტემა თავს ახვევს ხალხს.(ავღნიშნეთ, რომ ამ კონდიციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ძალის პროცესის დარღვევაა). თუ სისტემა წარმატებით დაამყარებს საკმარის კონტროლს ადამიანის ქცევაზე, რათა უზრუნველყოს საკუთარი თავის გადარჩენა, მაშინ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყება. თუ ძველ სოციუმებში, ადამიანის გამძლეობის ლიმიტი განსაზღვრავდა საზოგადოების განვითარების ლიმიტს(როგროც ეს 143-144 პარაგრაფებში ავხსენით), ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური საზოგადოება შეეცდება ამ ლიმიტების გარღვევას ადამიანის ქცევის მოდიფიცირებით, როგორც ფსიქოლოგიური ისე ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით. მომავალში, სოციალური სისტემები ადამიანთა მოთხოვნილებებს კი არ მოერგება, არამედ ადამიანები მოერგებიან სისტემის მოთხოვნილებებს.

152. საზოგადოდ თუ ვისაუბრებთ, ტექნოლოგიის მიერ ადამიანთა ქცევის კონტროლი არ დამყარდება ტოტალური რეჟიმით ან შეგნებული გადაწყვეტილებით, რომ მისი თავისუფლება შეიზღუდოს. თითოეული გადაგმული ნაბიჯი ადამიანის გონების კონტროლისა, იქნება რაციონალური პასუხი იმ პრობლემებზე, რომელსაც საზოგადოება დღეს აწყდება. როგორიცაა, ალკოჰოლიზმის განკურნება, დანაშაულის შემცირება ან ახალგაზრდობის შთაგონება, რომ მეცნიერება და ინჟინერია ისწავლონ. აუცილებლად იქნება ამ ნაბიჯების ადამიანური გადმოსახედიდან გამართლება. მაგალითად, როდესაც ფსიქიატრი პაციენტს ანტი დეპრესანტს უწერს, ის ამ ინდივიდს აშკარად კარგ საქმეს უკეთებს. რათქმაუნდა არაჰუმანური იქნება წამლის არ მიცემა იმ პიროვნებაზე ვისაც ის სჭირდება. როდესაც მშობლები თავიანთ შვილებს სილვანის სასწავლო ცნეტრებში უშვებენ, სადაც მათი მანიპულაცია ხდება, რომ უფრო მეტი ენთუზიაზმით ისწავლონ, რათქმაუნდა ამას მშობლები ბავშვის კეთილდღეობიდან გამომდინარე აკეთებენ. შეიძლება, ზოგიერთი ეს მშობელი ოცნებობს, რომ სპეციალიზირებული ტრენინგი არ გაეარა სამსახურისთვის და არც მათ შვილებს უწევდეთ პროგრამისტი ნერდები რომ იყვნენ. მაგრამ განა რისი გაკეთება შეუძლიათ მათ? ისინი ვერ შეცვლიან საზოგადოებას და მათი შვილი შეიძლება უმუშევარი დარჩეს თუ შესაბამისი ცოდნა არ ექნება. ასე, რომ მათ გზავნიან სილვანში.

153. მაშასადამე ადამიანის ქცევის კონტროლი წინასწარ გათვლილი ავტორიტარების გადაწყვეტილებით კი არ დამყარდება, არამედ სოციალური (სწრაფი) ევოლუციის პროცესით. პროცესის შეწინააღმდეგება შეუძლებელი იქნება, რადგან ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი, აღქმული იქნება, როგორც საზოგადოებისთვის სასარგებლო. ან ბოროტება, რომელიც ამ განვითარების

ეტაპს ახლავს უფრო სუსტი იქნება ვიდრე მანამდე(იხილეთ პარ. 127). პროპაგანდა მაგალითად ბევრი კარგი რამისთვის გამოიყენება როგორიცაა ბავშვებზე ძალადობის და რასობრივი სიძულვილის დაგმობა. სქესობრივი განათლება რათქმაუნდა საჭიროა, თუმცაღა ინფორმაციის გამცემი საჯარო სკოლების სისტემა ხდება და არა ოჯახი.

154. დავუშვათ ბიოლოგიური ნიშანთვისება იქნა აღმოჩენილი, რომელიც იმის ალბათობას ზრდის, რომ ბავშვი დიდობაში კრიმინალი გახდება და დავუშვათ, რომ გენურ თერაპიას ამ ნიშანთვისების მოშორება შეუძლია. რათქმაუნდა უმეტესობა მშობლები, რომლის შვილებსაც ეს მახასიათებელი აქვთ, მათ ზემოთხსენებულ თერაპიას გაატარებენ. სხვაგვარად არაჰუმანური იქნებოდა, რადგან ბავშვს მომავალში ცუდი ცხოვრება ექნებოდა, როგორც კრიმინალს. თუმცა, უმეტესობა პრიმიტიულ საზოგადოებებს, ჩვენსაზე დაბალი დანაშაულის დონე აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ არც მაღალ ტექნოლოგიური გენური თერაპია აქვთ და არც დასჯის მკაცრი მეთოდები. რადგანაც ნათელია, რომ თანამედროვე ადამიანს, პრიმიტიულთან შედარებით არ აქვს უფრო ხშირ შემთხვევაში თანდაყოლილი მიდრეკილება აგრესიისადმი, უნდა დავასკვნათ, რომ მაღალი დანაშაულის დონე ჩვენს საზოგადოებაში გამოწვეულია იმ წნეხით, რომელშიც თანამედროვე სამყარო ატარებს ხალხს და რომელსაც ბევრი არ და ვერ ეგუება. შესაბამისად, იმ მახასიათებლის მოშორება, რომელიც ადამიანის პოტენციურ კრიმინალად გაზრდას უწყობს ხელს, სინამდვილეში სისტემის იარაღია მოახდინოს ხალხის მოდიფიკაცია ისე, რომ მოარგოს ისინი მის მოთხოვნებს.

155. ჩვენი საზოგადოება, ნებისმიერ საქციელს ან აზრს. რომელიც შეუსაბამაო სისტემისთვის "ავადმყოფობად" შერაცხავს ხოლმე. და ეს შეიძლება ასეც იყოს რადგან, როდესაც ინდივიდი სისტემაში ვერ ჯდება, ეს მასაც ვნებს და სისტემისთვისაც ქმნის პრობლემებს. შესაბამისად, ინდივიდის მანიპულაცია, რომ მოერგოს სისტემას განხილულია, როგორც "წამალი" მისი "ავადმყოფობისთვის" და მაშასადმე ეს ყველაფერი კარგია.

156. 127-ე პარაგრაფში ავხსენით, რომ თუ ახალი ტექნოლოგიის გამოყენება ნებაყოფლობითია, ეს არ ნიშნავს, რომ სულ ასე იქნება, რადგანაც ყოველი ახალი ტექნოლოგიური მიღწევა საზოგადოებას იმგვარად ცვლის და აყალიბებს, რომ მის გარეშე ინდივიდს ფუნქციონირება ფაქტობრივად არ შეუძლია. ეს ასევე ეხება ადამიანთა ქცევის ტექნოლოგიას. სამყაროში სადაც ბავშვებს უწვეთ სპეციალური პროგრამების გავლა, რომ უფრო მეტი ენთუზიაზმით ისწავლონ, მშობელი იძულებული იქნება მისი შვილი ჩასვას ასეთ პროგრამებში, თუ არადა

ბავშვი დარჩება "უსწავლელი" და მომავალში უმუშევარი. ანდაც წარმოვიდგინოთ, რომ ბიოლოგიური მკურნალობის მეთოდი აღმოაჩინეს, რომელიც ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე შეამცირებს სტრესს და დეპრესიას, რომლისგანაც ასე ბევრი იტანჯება ჩვენს საზოგადოებაში. თუ ამ მკურნალობას უმეტესობა ჩაიტარებდა, საზოგადო სტრესის დონე დაიწევდა და ეს სისტემას მისცემდა საშუალებას უფრო მეტი სტრესის და დეპრესიის გამოწვევი პროდუქტი შეექმნა. დაახლოებით ასეთი, რამე უკვე მოხდა, ჩვენი საზოგადოების ერთერთ ყველაზე ძლიერ ფსიქოლოგიურ იარაღთან მიმართებაში, რომელიც საშუალებას აძლევს შეამციროს (ან დროებით გაექცეს) სტრესს, კერძოდ მოსმენას, ჟურნალების კითხვას. თუმცა გართობის ინდუსტრია სტრესისგან თავის დაღწევის საშუალებად იქცა და მასზე უმეტესობა ჩვენგანი დამოკიდებულია. ყველა უკმაყოფილოა ტელევიზების მდაბიო ხარისხით, თუმცა თითქმის ყველა უყურებს მას. ცოტამ თუ შეძლო ტელევიზორის ჩვევის მოშორება, მაგრამ იშვიათად თუ მოიძებნება პიროვნება, რომელსაც არსებობა მასობრივი ინდუსტრიის ნებისმიერი პროდუქტის გარეშე შეუძლია. (თუმცა არც ისე შორეულ წარსულში ყოველგვარი გასართობი ინდუსტრიის გარეშე, ადამიანები მშვენივრად გრძნობდნენ თავს და კმაყოფილები იყვნენ იმ სანახაობით, რომელსაც მათი ადგილობრივი სოციუმი სთავაზობდა). მასობრივი გართობის ინდუსტრიის გარეშე სისტემა ალბათ ვერ შეძლებდა იმდენი სტრესის გამომწვევი ფაქტორი შეექმნა ადამიანისთვის, რამდენსაც დღეს ქმნის.

157. წარმოვიდგინოთ, რომ ინდუსტრიული საზოგადოება გადარჩა, დიდი ალბათობით, ტექნოლოგია ისეთ რამეს შექმნის, რითაც საბოლოო კონტროლს დაამყარებს ადამიანის ბუნებაზე. უდავოა, რომ ადამიანის ქცევას და გონებას ბიოლოგიური ბაზისი აქვს. როგორც ექსპერიმენტებმა გვაჩვენა, გრძნობები, როგორიცაა შიმშილი, სიამოვნება, ბრაზი შეიძლება აღიგზნოს და დაკმაყოფილდეს ტვინის გარკვეული ნაწილების ელექტრონული სტიმულაციით. მოგონებების განადგურება შესაძლებელია ტვინის ნაწილების დაზიანებით და მათი დაბრუნება კი კვლავ ელექტრო სტიმულაციით. ჰალუცინაციების გამოწვევა და ხასიათის შეცვლა შესაძლებელია ნარკოტიკებით. არამატერიალური სული თუ არსებობს ის ცხადად უფრო სუსტია ვიდრე ადამიანის ბუნების ბიოლოგიური მექანიზმები. ასე რომ არ იყოს, მეცნიერები ასე მარტივად ვერ შეძლებდნენ ადამიანის ქცევის და გონების მანიპულაციას ნარკოტიკებით და ელექტრონული ძაბვებით.

158. რათქმაუნდა არაპრაქტიკული იქნებოდა ადამიანებს თავში ელექტროსადენები, რომ ჰქონოდათ. მაგრამ ფაქტი, რომ ადამიანის გრძნობები და აზრები თუ ასე ღიაა ბიოლოგიური ჩარევისთვის, ეს ძირითადად ტექნიკური, ნეირონული, ჰორმონული და რთული მოლეკულური პრობლემაა. ამ სახის

პრობლემების აღმოფხვრა კი მეცნიერული გზებით შეიძლება. ჩვენი საზოგადოების მიღწევებს ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში თუ გავითვალისწინებთ, სავსებით შესაძლებელია, რომ დიდი აღმოჩენები იქნეს გაკეთებული ადამიანის ბუნების კონტროლთან დაკავშირებით.

159. დაუშვებს კი საზოგადოებრივი წინააღმდეგობა, ტექნოლოგიის მიერ ადამიანის კონტროლს? რათქმაუნდა არა, თუ ეს კონტროლი ერთიანად შემოვა საზოგადოებაში. მაგრამ რადგანაც, ტექნოლოგიური კონტროლი პატარ პატარა პროგრესების სახით იქნება წარმოდგენილი დროის გრძელ მონაკვეთში, რაციონალური და ეფექტური წინააღმდეგობა არ/ვერ იქნება.(იხ პარაგრაფები 127,132,153)

160. ვინც ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი სამეცნიერო ფანტაზიას ჰგავს, შევახსენებთ, რომ გუშინდელი ფანტაზია, დღევანდელი რეალობაა. ინდუსტრიულმა რევოლუციამ საგრძნობლად შეცვალა ადამიანის ცხოვრება და საცხოვრებელი გარემო. რადგნაც ტექნოლოგიას სულ უფრო და უფრო მეტი გავლენა აქვს ადამიანის სხეულზე და გონებაზე, ადამიანიც ისევე რადიკალურად შეიცვლება, როგორც მისი ცხოვრება და გარემო.

კაცობრიობა გზაჯვარედინზე.

161. მაგრამ ჩვენს ამბავს გადავასწარით, ლაბორატორიებში შექმნილი ადამიანის მაკონტროლებელი, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური იარაღები სხვაა და ამ მეთოდების პრაქტიკაში, ფუნქციურ საზოგადოებაში ინტეგრირება სხვა რამე. ამ ორიდან უკანასკნელი უფრო ძნელად გადასაჭრელი დილემაა. მაგალითად, როდესაც საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური ტექნიკები აშკარად კარგად მუშაობს "ლაბორატორიულ სკოლებში", არ ნიშნავს, რომ მათი მთლიანი ქვეყნის სასკოლო სისტემაში გადატანა აუცილებლად ადვილი იქნება. ვიცით თუ როგორია უმრავლესობა ჩვენი სკოლებისა. მასწავლებლები დაკავებულები არიან დანების და იარაღების წართმევით და არა იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლეებს კომპიუტერის ნერდებათ აქცევს. შესაბამისად, მიუხედავად ადამიანის ბუნების კონტროლთან დაკავშირებით ტექნიკური განვითარებისა , სისტემამ ამ დრომდე ვერ შეძლო წარმატებით მოეხდინა ადამიანის სრული კონტროლი. ხალხს, რომლის მოქმედება და ფიქრები საკმაოდ კარგად ჯდება სისტემის მოთხოვნებში, შეიძლება "ბურჟუები" ეწოდოთ. მაგრამ არსებობს მზარდი რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც სისტემას ამხობს უცხადებენ: სახელმწიფო დახმარების მქონე წურბელები,

ახალგაზრდების ბანდები, კულტისტები, ნაცისტები, სატანისტები, რადიკალი ბუნების დამცველები, პარამილიტარისტული დაჯგუფებები და ა.შ.

162. სისტემა, მოცემულ მომენტში, იბრძვის იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომელიც მის არსებობას ემუქრება, რომელთა შორის ადამიანის გონება და საქციელის თავისებურება ყველაზე მნიშვნელოვანია. თუ სისტემა დაამყარებს საკმარისს კონტროლს ადამიანის ბუნებრივობაზე მაშინ ის გადარჩება. სხვა შემთხვევაში კი ჩამოიშლება. ვფქირობთ, რომ ეს ყველაფერი შემდეგ რამდენიმე დეკადში, 40-100 წელიწადში მოხდება.

163. დავუშვათ, რომ სისტემა გადაურჩა კრიზისს. მაგ დროისთვის, მას გადაჭრილი ექნება ის მთავარი საკითხები, რომელიც უპირველესად ემუქრება, კერძოდ კი ადამიანთა "სოციალიზაციის" საკითხი. რაც გულისხმობს, ადამიანთა ისეთ მორჩილად გადაქცევას, რომ მათი საქციელი აღარ იქნება საფრთხე სისტემისთვის. ამის მიღწევის შემდეგ, აღარ არსებობს რაიმე დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის ტექნოლოგიის განვითარებას და დიდი ალბათობით ლოგიკური შედეგი დადგება: სისტემის მიერ ყველაფრის კონტროლი დედამიწის ზურგზე, მათ შორის ადამიანის და სხვა მნიშვნელოვანი ცოცხალი ორგანიზმების. სისტემა შეიძლება გახდეს, ერთიანი, მონოლითიკური ორგანიაზაცია ან დაშლილი, სადაც რამდენიმე ორგანიზაციები თანაარსებობენ და კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, როგორც დღეს, როდესაც მთავრობა, ორგანიზაციები და სხვა დიდი კორპორაციები თანაარსებობენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან. ადამიანის თავისუფლება, ძირითადად გამქრალი იქნება, რადგან ინდივიდუალები და პატარა ჯგუფები/ორგანიზაციები უძლურები იქნებიან დიდი ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლის არსენალში, თვალთვალის სისტემის და ფიზიკური ძალის გარდა, ადამიანის კონტროლის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური იარაღები იქნება. ნამდვილი ძალაუფლება, მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფს ექნება, მაგრამ ალბათ მათი თავისუფლებაც შეზღუდული იქნება, რადგან მათივე ქმედებაც რეგულაციებს დაექვემდებარება, როგორც დღეს: როდესაც პოლიტიკოსები და კორპორაციების მმართველები თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ, ლიმიტირებული თავისუფლებით სარგებლობენ.

164. არც კი იფიქროთ, რომ სისტემა შეწყვეტს ადამიანების და ბუნების კონტროლის მექანიმზების გამოგონებას, მას შემდეგ რაც შემდეგი რამდენიმე დეკადის კრიზისი დამთავრდება და გაზრდილი კონტროლი აღარ იქნება საჭირო სისტემის არსებობისთვის. პირიქით, როდესაც რთული დრო დამთავრდება სისტემა უფრო მეტად შეზღუდავს ადამიანს და ბუნებას, რადგან აღარ იქნება ის

ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც დღეს არსებობენ. თვითგადარჩენა არაა მთავარი მოტივი კონტროლის გაზრდისა. როგორც 87-90 პარაგრაფებში ავხსენით, ტექნიკოსებისთვის და მეცნიერებისთვის მათი სამუშაო ხშირ შემთხვევაში სუროგატი აქტივობაა, ისინი ძალაუფლების მოთხოვნილებას ტექნიკური პრობლემების გადაჭრით იკმაყოფილებენ და გააგრძელებენ ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმით და შემართებით. ყველაზე რთული და საინტერესო პრობლემა მათვის კი ადამიანის ბუნება, აზროვნების გაგება და მის არსში ჩაწვდომაა, რის ამოხსნასაც კაცობრიობისთვის "სარგებლის" მოტანის არგუმენტით გაამართლებენ.

165. მაგრამ დავუშვათ, რომ მომდევნო დეკადების გასაჭირს სისტემამ ვერ გაუძლო. თუ სისტემა დაიშლება დიდი ალბათობით იქნება ქაოსი, "კრიზისის დრო", როგორც ისტორიკოსები უწოდებენ, წარსულის არაერთ ეპოქას. შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რა იქნება ამ ქაოსის შემდეგ, თუმცა ნათელია, რომ კაცობრიობა ახალ შანს მიიღებს. ყველაზე საშიში იქნება, ინდუსტრიული საზოგადოების მცდელობა, რომ აღადგინოს დაშლამდელი სახე, ახალი ეპოქის დასაწყისის პირველივე წლებში. თავისთავად იქნებიან ადამიანები(ძალაუფლებას მოწყურებულები), რომლებსაც ერთი სული ექნებათ, რომ ქარხნები კვლავ აამუშავონ.

166. მაშასადამე ორი დავალება ისახება იმ ხალხისთვის ვისაც, სძულს ის მორჩილი მდგომარეობა, რომელსაც ინდუსტრიული საზოგადოება ადამიანს ახვევს თავს. პირველი, უნდა გავზარდოთ ის სოციალური სტრესები და საფრთხეები, რომელიც გაზრდის ინდუსტრიული საზოგადოების დაშლის შანსს ან დაასუსტებს მას იმ დონემდე, რომ მის წინააღმდეგ წარმატებული რევოლუცია შესაძლებელი იქნება. მეორე, საჭიროა იმ იდეოლოგიის შექმნა, რომელიც დაუპირისპირდება ტექნოლოგიას, როდესაც/თუ ინდუსტრიული საზოგადოება გახდება საკმარისად სუსტი. და ეს იდეოლოგია უზრუნველყოფს, რომ როდესაც სისტემა განადგურდება, მისი ნარჩენები პირწმინდად იქნეს განადგურებული, ისე რომ მათი აღდგენა შეუძლებელი იყოს. ფაბრიკები უნდა დაიწვას, ტექნიკური წიგნები უნდა განადგურდეს და ა.შ.

ადამიანთა ტანჯვა/წვალება

167. ინდუსტრიული სისტემა მხოლოდ რევოლუციის შედეგად არ განადგურდება. რევოლუციური თავდასხმებისთვის ის არ იქნება საკმარისად სუსტი, თუ შინაგანმა პრობლემებმა, მის განვითარებაში დიდი შეფერხება არ შეიტანა. ასე, რომ თუ სისტემა განადგურდება ეს მოხდება ან სპონტანურად, ან პროცესით,

რომელიც თავის თავში იქნება სპონტანური, მაგრამ სარევოლუციო ძალების მიერ ხელწაკრული. თუ განადგურება უცაბედად მოხდება უამრავი ადამიანი დაიღუპება, რადგან დედამიწის მოსახლეობა ისე გამრავლდა, რომ მათი საკვებით მომარაგება ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია. თუნდაც სისტემის განადგურება დროში გაწელილი პროცესი იყოს და მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, შობადობის კლებაზე და მოკვდავობის მომატებაზე იყოს დამოკიდებული, დე-ინდუსტრიალიზაციის პროცესი ძალზედ ქაოსური იქნება და მაინც ბევრი სიცოცხლე შეეწირება. მიამიტობაა იმაზე ფიქრი, რომ ტექნოლოგიის განდევნა ჩვენი ცხოვრებიდან, მშვიდი, მოწესრიგებული გზით შეიძლება, მაშინ როდესაც ტექნოფილები ყოველ ნაბიჯზე ასე გამეტებით იბრძვიან. მაშასადამე არის თუ არა სისტემის განადგურებისთვის ბრძოლა ბოროტება? ალბათ კი ან ალბათ არა. რევოლუციონერები ვერ შეძლებენ სისტემის განადგურებას მარტო, თუ თვითონ სისტემა უკვე დიდ პრობლემებში არაა ჩაფლული, რომელიც მას ადრე თუ გვიან თვითონ ჩამოშლის. რაც უფრო იზრდება სისტემა, მით უფრო სავალალო იქნება მისი შედეგები, ასე რომ, შეიძლება რევოლუციონერები სისტემის განადგურების დაჩქარებით, მის სავალალო შედეგებს ადამიანზე და ბუნებაზე, ერთიორად ამცირებენ.

168. ადამიანმა უნდა დააბალანსოს, ბრძოლა და სიკვდილი თავისუფლების და ღირსების შეწირვის სანაცვლოდ. ბევრი ჩვენგანისთვის თავისუფლება და ღირსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გრძელი სიცოცხლე და ფიზიკური ტკივილისგან თავის არიდება. გარდა ამისა, ჩვენ ყველანი ოდესღაც მოვკვდებით, და უმჯობესია თვითგადარჩენისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლაში დავიხოცოთ, ვიდრე ხანგრძლივი, მაგრამ ცარიელი და ფუჭი სიცოცხლით ვიცხოვროთ.

169. დანამდვილებით, ვერ ვიტყვით, რომ სისტემის გადარჩენა უფრო ნაკლებ ტანჯვას გამოიწვევს ვიდრე მისი მოშლა. სისტემამ უკვე მიაყენა და კვლავ აყენებს, გამოუსწორებელ ზიანს მთლიან მსოფლიოს. ანტიკური კულტურები, რომლებშიც საუკუნეების განმავლობაში ხალხი მეტნაკლებად ჰარმონიულ გარემოში ცხოვრობდა ერთმანეთთან და ბუნებასთან, ინდუსტრიულ საზოგადოებასთან კონტაქტის შემდეგ მთლიანად მოიშალა, ხოლო შედეგი ეკონომიკური, გარემოს, სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების კასკადია. ერთერთი ეფექტი ინდუსტრიული საზოგადოებისა არის, მოსახლეობის რაოდენობის კონტროლის ტრადიციული მეთოდების უბრალოდ განადგურება. შედეგად კი პოპულაციის ბუმი მივიღეთ. რასაც მოყვა ის ფართოდ გავრცელებული და ხშირი ფსიქოლოგიური წნეხი/სტრესი, რომელიც ხშირ შემთხვევაში "ბედნიერ" და "თავისუფალ" დასავლეთში გვხვდება. (იხ. პარაგრაფები 44-45). არავინ იცის რა მოყვება ოზონის შრის გაფართოებას,

სათბურის ეფექტს და სხვა ბუნებრივ პრობლემებს, რომლებსაც თავი ჯერაც კი არ უჩენიათ. და როგორც ატომური ტექნოლოგიის ზრდამ გვაჩვენა, ახალი ტექნოლოგიები მარტივად ხვდება დიქტატორების და უპასუხისმგებლო მესამე სამყაროს ქვეყნების ხელში. საინტერესო იქნება თუ რას იზამენ ერაყი და ჩრდილო კორეა გენეტიკური ინჟინერიის ტექნოლოგია რომ ჰქონდეთ, არა?!

170. "კი" მაგრამ ამბობენ ტექნოფილები, "მეცნიერება ყველაფერს უშველის, ჩვენ დავამარცხებთ შიმშილობას, გავანადგურებთ ფსიქოლოგიურ სტრესს და ყველა ბედნიერი და ჯანმრთელი იქნება". დიახ რათქმაუნდა. ზუსტად იმავეს ამბობდნენ 200 წლის წინაც. ინდუსტრიულ რევოლუციას უნდა დაემარცხებინა გაჭირვება, გაეხადა ხალხი ბედნიერი, ა.შ. ხოლო რეალური შედეგები ცალსახად განსხვავებულია. ტექნოფილები უიმედოდ მიამიტები არიან (ან თავებს იტყუებენ), როდესაც საქმე სოციალური პრობლემების გაგებას ეხება. მათ არ იციან (ან ირჩევენ, რომ არ იცოდნენ), რომ როდესაც დიდი მასშტაბის ცვლილება ხდება, თუნდაც სასარგებლო, ის ყოველთვის გამოიწვევს ცვლილებების გრძელ, ჯაჭვურ რეაქციას, რომელთა წინასწარმეტყველებაც შეუძლებელია (პარაგრაფი 103). შედეგი კი საზოგადოების დაშლაა. ასე რომ სავსებით, შესაძლებელია სიღარიბის და ავადმყოფობის დაძლევის მცდელობისას ტექნოფილებმა შექმნან სოციალური სისტემა, რომელიც ახლანდელზე უარესი იქნება. მაგლითად: მეცნიერები ტრაბახობენ, რომ ახალი გენმოდიფიცირებული საკვების შექმნით მსოფლიო შიმშილს დაძლევენ. ეს კი პოპულაციის ბუმს გამოიწვევს, მოსახლეობის რაოდენობა შეუზღუდავად გაიზრდება, ხოლო ჭარბი მოსახლეობა, რომ სტრესს და აგრესიას იწვევს ეს ნაცნობი ფაქტია. ეს უბრალოდ იმ პრობლემათაგან ერთ ერთია, რომლის წინასწარმეტყველებაც შესაძლებელია. ვვარაუდობთ, რომ ტექნოლოგიური პროგრესი ახალ პრობლემებს უფრო სწრაფად შექმნის, ვიდრე ძველებს გადაჭრის. შესაბამისად, ახალი სამყაროს შეცდომებისგან განწმენდა (თუ ამას ოდესმე შეძლებენ) ტექნოფილებისთვის ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იქნება. ამ პროცესის განმავლობაში დიდი გაჭირვება დადგება. შესაბამისად გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ინდუსტრიული საზოგადოების გადარჩენა უფრო ნაკლებ ზიანს მოიტანს, ვიდრე მისი განადგურება. ტექნოლოგიამ ადამიანთა მოდგმა ჩარჩოებში მოაქცია, საიდანაც თავის დაღწევა მარტივი ვერ იქნება.

მომავალი.

171. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მომავლის გამოწვევებს ინდუსტრიული საზოგადოება გადაურჩა, გამოასწორა ყველა ხარვეზი და სისტემა გამართულად მუშაობს. რა ტიპის იქნება ეს სისტემა? ჩვენ რამდენიმე დაშვებას გავაკეთებთ.

172. პირველი: დავუშვათ კომპიუტერის მეცნიერბმა შექმნეს გონიერი მანქანები, რომლებსაც ყველაფრის კეთება უკეთესად შეუძლიათ, ვიდრე ადამიანებს. ამ შემთხვევაში, სამუშაობს კარგად ორგანიზებული რობოტები შეასრულებენ ყოველგვარი ადამიანური ძალისხმევის გარეშე. ორი ვარიანტია თუ როგორ შეიძლება განვითარდეს სიტუაცია. მანქანებს შეეძლებათ თავიანთი გადაწყვეტილებების მიღება ან ადამიანები შეინარჩუნებენ მათზე კონტროლს.

173. თუ რობოტებს შეეძლებათ საკუთარი გადაწყვეტილებების მიღება, ჩვენ ვერანაირ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ, რადგან შეუძლებელია მათი მოქმედების წინასწარ ამოცნობა. მხოლოდ ავღნიშნავთ იმას, რომ ადამიანთა ბედი მანქანების ხელში იქნება. არგუმენტები შეიძლება იქნას წამოყენებული, რომ ადამიანები არ იქნებიან ისეთი სულელები, რომ რობოტებს გადასცენ ძალაუფლება. მაგრამ არც იმას ვიძახით, რომ ადამიანები ძალაუფლებას რობოტებს საკუთარი ნებით გადაულოცავენ და არც იმას, რომ მანქანები თვითონ ჩაიგდებენ მას ხელში. ვფიქრობთ, რომ ადამიანები შეიძლება ისე დამოკიდებული გახდნენ რობოტებზე, რომ მათ სხვა გზა არ ჰქონდეთ გარდა მანქანების გადაწყვეტილების შესრულებისა. საზოგადოება და მისი პრობლემები სულ უფრო და უფრო რთული ხდები და რადგანაც რობოტებიც სულ უფრო ჭკვიანები ხდებიან, ხალხი ნებას მისცეს მანქანებს მათ მაგივრად მიიღონ გადაწყვეტილებები, იმიტომ რომ რობოტის მიერ შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზა უკეთესი იქნება ვიდრე ადამიანისა. საბოლოოდ შეიძლება დადგეს ხანა, როდესაც სისტემის გამართულად სამუშაოდ საჭირო გადაწყვეტილებების მიღება ისე გართულდეს, რომ ადამიანთა რასისთვის შეუძლებელი იყოს ჭკვიანურად მათი მიღება. შესაბამისად რობოტებს ექნებათ კონტროლი. მათი გამორთვაც ასე მარტივი არ იქნება, რადგან ხალხი ისე იქნება მათზე დამოკიდებული, რომ რობოტების გათიშვა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

174. მეორეს მხრივ შესაძლებელია ადამიანთა კონტროლი მანქანებზე შენარჩუნდეს. ამ შემთხვევაში, უბრალო მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება მცირე მანქანების მფლობელი იყოს, როგორიცაა პერსონალური კომპიუტერი ან ავტომობილი, ხოლო ყველა დიდი და მნიშვნელოვანი მანქანა პატარა ელიტის ხელში იქნება, ისევე როგორც დღეს, მაგრამ ორი განსხვავებით. განვითარებული ტექნოლოგიების გამო ელიტები უკეთესად გააკონტროლებენ მასებს, ადამიანური სამუშაოს დიდ ნაწილს კი სწორედ რობოტები შეასრულებენ, ამიტომაც ხალხი გამოუსადეგარი, ზედმეტი ტვირთი გახდება. თუ ელიტები უმოწყალონი იქნებიან, ისინი უბრალოდ გაანადგურებენ ხალხის მასებს. თუ

"კეთილები" იქნებიან, გამოიყენებენ პროპაგანდას, ბიოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ მეთოდებს, რომ შეამცირონ შობადობა მანამ სანამ ხალხი არ გაწყდება და მთელი სამყარო მათ არ დარჩებათ. ანდაც, თუ ელიტებში "გულთბილი" ლიბერალებიც იქნებიან, შეიძლება მათ მთელი კაცობრიობის "მწყემსების" როლიც მოირგონ. ისინი დააკმაყოფილებენ ყველას ფიზიკურ მოთხოვნილებებს, ბავშვებს აღზრდიან ფსიქოლოგიურ ჩარჩოებში, ყველას შეუქმნიან ჰობს ან გატაცებას, რომ მოწყენილი არავინ იყოს, ხოლო ის ვინც მაინც უკმაყოფილო იქნება გაივლის "მკურნალობის კურს". რათქმაუნდა ცხოვრება ისეთი მიზანგარეშე და მოსაწყენი იქნება, რომ ხალხს ბიო ან ფსიქოლოგიური ინჟინერიის დახმარებით დააცილებენ ბუნებრივი ძალის პროცესის მოთხოვნილებას, ხოლო მათი ძალაუფლებისადმი დრაივი უინტერესო ჰობით იქნება შემოფარგლული. ეს დაპროგრამებული ხალხი შეიძლება ბედნიერი იყოს ასეთ საზოგადოებაში ცხოვრებით, მაგრამ ისინი ვერანაირად ვერ იქნებიან თავისუფლები. მათი სტატუსი შინაურ ცხოველისას გაუთანაბრდება.

175. მაგრამ ახლა გავაკეთოთ მეორე დაშვება: მეცნიერებმა ვერ შექმნეს ეფექტური ხელოვნური ინტელექტი და ადამიანის შრომა საჭირო დარჩა. მიუხედავად ამისა რობოტები მაინც შეასრულებენ მცირე და ადვილ დავალებებს და საბოლოოდ ჩაანაცვლებენ დაბალი ხელფასის მქონე პირებს. (ამას ჩვენს რეალობაშიც ვხედავთ. არსებობს ხალხი, ვისაც უჭირს სამსახურის მოძებნა, განათლების თუ ინტელექტუალური მიზეზების გამო და ვერ იმკვიდრებენ თავს ახლანდელ სისტემაში.) მათ ვინც სამსახურს შეინარჩუნებს, მოუწევთ მზარდი მოთხოვნების შესრულება, უფრო მეტი ტრენინგების გავლა, მეტად მორჩილება და კომფორმისტად ყოფნა, რადგანაც ისე იქნებიან, როგორც დიდი ორგანიზმის უჯრედები. მათი სამუშაო იქნება უაღრესად სპეციალიზირებული და შესაბამისად ამქვეყნიურ ცხოვრებას უფრო დაშორებული. სისტემა გამოიყენებს ნებისმიერ ფორმას იქნება ეს ფსიქოლოგიური თუ ბიოლოგიური, რომ გახადოს ხალხი დამჯერი, რომ მისცეს ხალხს ის უნარები რაც მას სჭირდება და მოახდინოს მათი დრაივის კონცენტრირება ერთ სპეციალურ, არა ბუნებრივ დავალებაზე. საზოგადოებაში კვლავ იქნება კონკურენცია, რადგანაც ის სისტემის ერთერთი მოთხოვნაა. წარმოგვიდგენია, რომ იქნება მომავლის საზოგადოება სადაც ხალხი ერთმანეთს გაუწევს კონკურენციას პოზიციებისთვის, პრესტიჟისთვის და ძალაუფლებისთვის. მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილი მიაღწევს მწვერვალს, სადაც ნამდვილი ძალაუფლებაა (იხილეთ 163-ე პარაგრაფის დასასრული.) ის საზოგადოება, სადაც ადამიანი ძალის მოთხოვნილებას სხვა ადამიანებისთვის იგივე მოთხოვნილების წართმევით იკმაყოფილებს, ამაზრზენია.

176. რათქმაუნდა შესაძლებელია არაერთი გზით განვითარდეს ჩვენ მიერ შემოთავაზებული თეორები. მაგალითად შეიძლება მანქანებმა მართლაც ჩაანაცვლონ ადამიანები მძიმე სამუშაოებში, მაგრამ ადამიანური შრომა სულაც არ გაქრეს, არამედ გადაინაცვლოს სერვისის ინდუსტრიაში, სადაც ძირითადი საქმიანობა სხვისი მომსახურებაა, მიმტანობა, მძღოლობა და ა.შ. ეს რათქმაუნდა წარმაოუდგენლად არაბუნებრივი გაგრძელება იქნება კაცობრიობისთვის და ბევრი ვერ შეეგუება და ვერ იქნება ბედნიერი ასეთ საზოგადოებაში ცხოვრებით, თუ რათქმაუნდა ბიოლოგიურად ან ფსიქოლოგიურად არ იქნებიან დაპროგრამებულები.

177. არაა საჭირო იმაზე ხაზგასმა, რომ ზემოთ მოყვანილი თეორიები არ გამორიცხავს მოვლენების სხვაგვარად განვითარებას. ისინი უბრალოდ ის შედეგებია, რომლებიც ჩვენ მიგვაჩნია, რომ დადგება. მაგრამ არ გვძალუძს ზემოთხსენებულზე დამაჯერებელი თესიზების მოყვანა. საწრმუნოა, რომ თუ ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური სისტემა გადაურჩება შემდეგ 40-100 წელიწადს, ის გამოიმუშავებს უეჭველ საზოგადო მახასიათებლებს: ინდივიდუალები (განსაკუთრებით, ბურჟუა კლასის წარმომადგენლები, რომლებიც ინტეგრირებულები არიან სისტემაში და მართავენ მას, შესაბამისად აქვთ ძალაუფლება) უფრო დამოკიდებულები გახდებიან დიდ ორგანიზაციებზე, იქნებიან უფრო მეტად "სოციალიზირებულები", ხოლო მათი ფიზიკური და გონებრივი ნიშნები მათში ინტეგრირებული იქნება დაპროგრამების და არა რაიმე შანსის შედეგად (ან ღმერთის ნების, ან სხვა რამის), და რაც ველური ბუნებისგან დარჩება მეცნიერების დაკვირვების და ექსპერიმენტების საგნად გადაიქცევა (და შესაბამისად ველური ბუნებაც აღარ იქნება). გრძელვადიან პერსპექტივაში (რამოდენიმე საუკუნე) დიდი ალბათობით არც ადამიანი და არც სხვა მნიშნველოვანი ორგანიზმები აღარ იარსებენ იმ სახით, როგორც დღეს. იმიტომ, რომ როდესაც გენური ინჟინერია დაიწყება არანაერი აზრი აღარ ექნება რაიმე მომენტში გაჩერებას და მოდიფიკაციები მანამდე გაგრძელდება, სანამ ადამიანი და დანარჩენი ორგანიზმები უკიდერს სახე ცვლილებას არ განიცდიან.

178. საქმე რაშიც არ უნდა იყოს, ნათელია, რომ ტექნოლოგია ადამიანისთვის ქმნის ისეთ სოციალურ და ფიზიკურ საცხოვრებელ გარემოს, რაც რადიკალურად განსხვავდება იმ გარემოებებისგან, რომელშიც ადამიანმა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ადაპტაცია, ბუნებრივი გადარჩევის შედეგად მოახდინა. თუ ადამიანი ამ ახალ ერას ინჟინერიის ხარჯზე არ/ვერ შეეწყობა, მაშინ მას მოუწევს ხანგრძლივი და მტკივნეული გადარჩევის პროცესის გავლა. უკანასკნელის მოხდენის შანსები კი ძალზედ მცირეა.

179. უკეთესი იქნება ამ გახრწნილი სისტემის დანგრევა და მის შედეგებზე შეგუება.

სტრატეგია.

180. ტექნოფილები ყველას, უცხო გზაზე დიდი სისწრაფით მიგვაქანებენ. ბევრი აცნობიერებს ტექნოლოგიური პროგრესის ავ-კარგიანობას, მაგრამ მაინც პასიური პოზიცია უჭირავს, რადგან თვლის რომ ის გარდაუვალია. თუმცა ჩვენ (FC) არ ვფიქრობთ ასე. მიგვაჩნია, რომ მისი შეჩერება შესაძლებელია, ხოლო როგორ და რანაერი მეთოდებით ამას მომდევნო პარაგრაფებში განვიხილავთ.

181. როგორც 166-ე თავში ვთქვით, დღევანდელ მოცემულობაში ორი დავალება გვაქვს: სოციალური სტრესის და არეულების შემოტანა/წახალისება და ისეთი იდეოლოგიის შემუშავება, რომელიც ტექნოლოგიას და ინდუსტრიულ სისტემას ეწინააღმდეგება. როდესაც სისტემა საკმარისად პრობლემური და მერყევი გახდება, მის წინააღმდეგ რევოლუცია შესაძლებელი იქნება, საფრანგეთის და რუსეთის რევოლუციების მსაგვსად. ფრანგული და რუსული საზოგადოებები რევოლუციებამდე დეკადებით ადრე ღიად ამჟღავნებდნენ სტრესის და სისუსტის ნიშნებს. ამავდროულად მზადდებოდა იდეოლოგიები, რომლის ახალი სამყაროს ხედვებიც განსხვავდებოდა ძველისგან. რუსეთის შემთხვევაში, რევოლუციონერები აქტიურად მუშაობდნენ, რომ დაემხოთ ძველი წყობა. და როდესაც სისტემა საკმარისად მეტად დაისტრესა (ეკონომიკური კრიზისით საფრანგეთში, ომში დამარცხებით რუსეთში) რევოლუციის ტალღამ ის უბრალოდ წალეკა. ჩვენი გეგმაც დაახლოებით ამ გზას გასდევს.

182. შენიშვნები იქნება, რომ რუსეთის და საფრანგეთის რევოლუციები წარუმატებელი იყო. მაგრამ რევოლუციების უმეტესობას მხოლოდ ორი მიზანი აქვს. პირველი: განადგურდეს ძველი საზოგადოების მოწყობის ფორმა და მეორე: დამყარდეს ისეთი სისტემა, როგორიც რევოლუციონერებს ჰქონდათ წარმოდგენილი. საფრანგეთის და რუსეთის რევოლუციონერები ჩაფლავდნენ (საბედნიეროდ!!!) ახალი წყობის შექმნაში, მაგრამ წარმატებით გაანადგურებს ძველი სისტემა.

183. მაგრამ იდეოლოგიამ მხარდაჭერა, რომ მოიპოვოს უნდა ჰქონდეს, როგორც ნეგატიური ისე პოზიტიური იდეალები. ის უნდა იბრძოდეს რაღაცისთვისაც და რაღაცის წინააღმდეგაც. პოზიტიური იდეალი, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ არის ბუნება. ვგულისხმობთ ველურ ბუნებას, რომლის გარკვეული ასპექტები და

ცოცხალი ორგანიზმები დამოუკიდებლად არსებობენ ადამიანის კონტროლის და ზეგავლენის გარეშე. და ველურ ბუნებაში ჩვენ ასევე ვგულისხმობთ ადამიანის ბუნებას, რომლის გამართულად ფუნქციონირება არ რეგულირდება ორგანიზირებული საზოგადოების მიერ და არის შანსის, ღმერთის ან თავისუფალი ნების ქმნილება(დამოკიდებულია თქვენს რელიგიურ ან ფილოსოფიურ შეხედულებებზე).

184. ბუნება საუკეთესო კონტრ-იდეალია ტექნოლოგიის წინააღმდეგ რამდენიმე მიზეზის გამო. ბუნება (რომელიც სისტემის ძალაუფლების გარეთაა) ტექნოლოგიის საპირისპიროა (რომელიც სისტემის ძალაუფლების უსაზღვრო ზრდისთვის იღწვის). უმეტესობა თანხმდება, რომ ბუნება ლამაზია, რათქმაუნდა მას აქვს ყურადღების მიპყრობის უდიდესი პოტენციალი. რადიკალ ბუნების დამცველებს უკვე აქვთ იდეოლოგია, რომელიც განადიდებს ბუნებას და ეწინააღმდეგება ტექნოლოგიას. ბუნების გამო არაა აუცილებელი რაიმე ახალი ფანტასტიური უტოპიის შექმნა. ბუნება უვლის თავის თავს: ეს სპონტანური ქმნილება არსებობდა ადამიანური საზოგადოების შექმნამდე და უთვალავი საუკუნის განმავლობაში უამრავი ტიპის საზოგადოება ჰარმონიაში ცხოვრობდა ბუნებასთან, მისთვის რადიკალურად დიდი ზიანის მიყენების გარეშე. მხოლოდ ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ გახდა ადამიანის მიერ მიყენებული ზიანი ბუნებისთვის დამანგრეველი. ბუნების საშველად ახალი წყობის დამყარება სულაც არაა აუცილებელი, მხოლოდ ინდუსტრიული საზოგადოების განადგურება. რათქმაუნდა, ეს ყველა პრობლემას ვერ აღმოფხვრის. ინდუსტრიულმა საზოგადოებამ უზარმაზარი მასშტაბის ზიანი მიაყენა ბუნებას და ჭრილობების მოშუშებას კი ძალაინ დიდი ხანი დასჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ პრე-ინდუსტრიულ საზოგადოებებსაც შეუძლიათ დიდი ზარალის მოტანა ბუნებისთვის, ინდუსტრიული საზოგადოების დამხობა დიდად სასიკეთო მოვლენა იქნება, რადგან ბუნებას მიეცემა საშუალება დაიწყოს ნაჭრილობების აღდგენა. ასევე ორგანიზირებულ საზოგადოებას წაართმევს შესაძლებლობას გაზარდოს კონტროლი ბუნებაზე (ადამიანური ბუნების ჩათვლით). რა სახის საზოგადოებაც არ უნდა მოვიდეს ინდუსტრიული სისტემის კრახის შემდეგ, ნათელია, რომ ადამიანები ბუნებასთან ითანაცხოვრებენ, რადგან ტექნოლოგიის არ არსებობის შემთხვევაში, ასე ცხოვრება ერთადერთი გამოსავალი იქნება. საჭმელი, რომ მიირთვან ან მიწათმოქმედები უნდა იყვნენ, ან მეთევზეები, მესაქონლეები, მონადირები და ა.შ. ადგილობრივი ავტონომიის დონეც გაიზრდება, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების და სწრაფი კავშირგაბმულობის არ არსებობის პირობებში, მთავრობები და სხვა დიდი ორგანიზაციები კომუნების კონტროლს ეფექტურად ვეღარ შეძლებენ.

185. ახლა განვიხილოთ ინდუსტრიული საზოგადოების განადგურების ნეგატიური მხარეები - შეუძლებელია ტორტი თან ჭამო და კვლავ გქონდეს.

186. ადამიანების უმრავლესობა ვერ იტანს ფსიქოლოგიურ კონფლიქტს. ამ მიზეზით ისინი თავს არიდებენ სერიოზულ სოციალურ პრობლემებზე ფიქრს და ურჩევნიათ ეს დილემა გამარტივებული გზით გადაწყვიტონ: ეს ყველაფერი კარგია და ის ყველაფერი ცუდია. შესაბამისად რევოლუციური იდეოლოგია ორ დონეზე უნდა განვითარდეს.

187. უფრო რთულ დონეზე იდეოლოგია უნდა იყოს მიმართული იმ ხალხისკენ ვინც ჭკვიანი, რაციონალური და მოაზროვნეა. მიზანია: ხალხის ჯგუფის შექმნა, რომელიც იდეურად შეეწინააღმდეგება ინდუსტრიულ სისტემას, კარგად ნაფიქრი და დაგეგმილი ბაზისების საფუძველზე, რომლებსაც გააზრებული ექნებათ პრობლემები, სირთულეები და ის საბოლოო საფასური რისი გადახდაც საჭირო იქნება სისტემის მოშლის შემდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ხალხის მოზიდვა, რადგან ისინი საჭირო საქმეს გააკეთებენ და სხვებსაც მოაბრუნებენ ჩვენს იდეურ გზაზე. ასეთი ხალხის პროპაგანდირება რაც შეიძლება რაციონალურ დონეზე უნდა მოხდეს. ფაქტები არასდროს არ უნდა იქნეს დამახინჯებული და არა აკადემიური ენა გამაყენებული. ეს არ ნიშნავს, რომ პროპაგანდა ემოციურ დონეზე არ უნდა განხორციელდეს, უბრალოდ სიფრთხილე უნდა იქნეს გამოყენებული, რომ არ მოხდეს ჭეშმარიტების არასწორი ინტერპრეტირება და იდეოლოგიის ინტელექტუალური პატივისცემა არ დაირღვეს.

188. მეორეს მხრივ იდეოლოგიის მასებისთვის მიწოდება უნდა მოხდეს გამარტივებული გზით, რომელიც ნათლად გადმოსცემს ტექნოლოგიის და ბუნების კონფლიქტს. მაგრამ, ამ დონეზეც კი "გლეხური" ენის გადაჭარბებული გამოყენება არაა მიზანშეწონილი, რადგან ის გააუფასურებს ჩვენს შეხედულებებს და კარგად მოაზროვნე ელიტას დააშორებს მათ. იაფფასიანი პროპაგანდა ზოგჯერ მოკლე ვადიან მიზანს მშვენივრად აღწევს, მაგრამ უკეთესია იმ მცირე ინტელექტუალების და მოაზროვნეების ჯგუფის ერთგულება, ვიდრე უთავბოლო ბრბოს მხარდაჭერა, რომელიც პოზიციას იმწავსე შეიცვლის, როგორც კი სხვა ვიღაც, უკეთესი პროპაგანდის ფინტებს აჩვენებს. თუმცა ემოციებზე თამაშის პროპაგანდა საჭირო იქნება, როდესაც სისტემა მის ბოლო წამებს დაითვლის და დაპირისპირებულ იდეოლოგიებს შორის საბოლოო ბრძოლა იქნება იმის დასადგენად თუ ვისი ხედვები გახდება დომინანტი ძველი სამყაროს დანგრევის შემდეგ.

189. საბოლოო გაბრძოლებამდე რევოლუციონერები არ უნდა ელოდნენ ხალხის სრულ მასშტაბიან მხარდაჭერას. ისტორიას მონდომებული უმცირესობები ქმნიან და არა უმრავლესობა, რომელმაც იშვიათად იცის თუ რა სურს სინამდვილეში. სანამ უკანასკნელი შეტევა მოხდება სისტემაზე, რევოლუციონერების მიზანი ბრბოს მხარდაჭერის მოპოვება კი არა, ერთგული მებრძოლების მცირე ჯგუფის შექმნა უნდა იყოს. რაც შეეხება უმრავლესობას, საკმარისია ახალი იდეოლოგიის შესახებ გაიგონ და ხშირად იქნენ შეხსენებულნი. რათქმაუნდა სასურველი იქნება უმრავლესობი მხარდაჭერის მოპოვება ისე, რომ ზემოთხსენებული ერთგული ხალხის ერთობა არ დასუსტდეს.

190. ნებისმიერი სახის სოციალური კონფლიქტი ამძაფრებს სისტემის დესტაბილიზაციას, მაგრამ საყურადღებოა რა სახის კონფლიქტზე დავასხამთ ნავთს. კონფლიქტის ხაზი ხალხის მასებს და ინდუსტრიული საზოგადოების ელიტებს (პოლიტიკოსები, მეცნიერები, ზედა კლასის ბიზნესის წარმომადგენლები, ჩინოვნიკები და ა.შ.) შორის უნდა იქნეს გავლებული. და არავითარ შემთხვევაში რევოლუციონერებსა და მასებს შორის. მაგალითად, არასწორი გათვლა იქნება თუ რევოლუციონერები საშუალო სტატისტიკურ ამერიკელს შეარცხვევენ მისი კონსუმერისტული ბუნების გამო. პირიქით ის უნდა წარმოვადგინოთ, როგორც მსხვერპლი სარეკლამო ინდუსტრიისა, რომელიც მოტყუებით ყიდის მას იმ ნაგავს, რომელიც საერთოდ არ სჭირდება და რომელიც ძალიან იაფი კომპენსაციაა მისი დაკარგული თავისუფლები სანაცვლოდ. ორივე შემთხვევა მართალია. უბრალოდ დამოკიდებულების ამბავია სარეკლამო ინდუსტრიას დაადანაშაულებ ხალხის მანიპულაციისთვის თუ პუბლიკას, რომ ასე მარტივად მოექცა მანიპულაციის ქვეშ. სტრატეგიის გულისთვის ხშირ შემთხვევაში უმჯობესია საზოგადოება არ დავადანაშაულოთ.

191. დაფიქრება მართებს მას ვინც სხვა ნებისმიერი სახის სოციალურ კონფლიქტს აღვივებს, რომელიც ძალაუფლების მქონე ელიტებს (რომლებიც ფლობენ ტექნელოგიას) და ხალხის მასებს (რომლებზეც ტექნელოგია ამყარებს თავის ძალაუფლებას) შორის არაა. ერთის მხრივ, სხვა კონფლიქტებს ხალხის ყურადღება გადააქვს მნიშვნელოვანი კონფლიქტებისგან. მეორეს მხრივ კი ასეთმა კონფლიქტებმა შეიძლება ბიძგი მისცეს ტექნოლოგიზაციას, რადგან ორივე მხარე გამოიყენებს ტექნოლოგიას უპირატესობის მოსაპოვებლად. ეს განსაკუთრებით ნათელია სახელმწიფოებს შორის კონფლიქტში და ასევე თავს იჩენს ხოლმე ეთნიკური დაპირისპირების დროს. მაგალითად, ამერიკაში ბევრი შავი ლიდერი მოწადინებულია, რომ რაც შეიძლება მეტი შავი იყოს

ტექნოლოგიურ ელიტაში. მათ სურთ, რომ რაც შეიძლება მეტი შავი პოლიტიკოსი, მეცნიერი, ჩინოვნიკი და ა.შ. არსებობდნენ. ამით ისინი აფრიკულ-ამერიკულ სუბკულტურას სისტემაში შთანთქავენ. შესაბამისად მხოლოდ ის სოციალური პრობლემები უნდა იქნეს წახალისებული, რომელიც ჯდება "ელიტები ჩვეულბრივი ხალხის წინააღმდეგ, ტექნელოგია ბუნების წინააღმდეგ" ჩარჩოში.

192. მაგრამ ეთნიკური კონფლიქტების დაგმობა არც სამხედრო გზით და არც უმცირესობათა უფლებების დაცვით უნდა მოხდეს (იხ. პარაგრაფები 21, 29). ამის ნაცვლად რევოლუციონერებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, რომ მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობები მეტ-ნაკლებად არასახარბიელო პირობებში არიან, მათი პრობლემები პერიფერიული მნიშვნელობისაა. ჩვენი ნამდვილი მტერი ინდუსტრიული სისტემაა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეთნიკურ განსხვავებებს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

193. რა სახის რევოლუციაც ჩვენ გვაქ გეგმაში მაინცდამაინც არ ითვალისწინებს შეირაღებულ ამბოხს რომელიმე მთავრობის წინააღმდეგ. მან შეიძლება გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ფიზიკური ძალადობა, მაგრამ ერთი რამის დამტკიცებით თქმა შეგვიძლია ის არ იქნება პოლიტიკური რევოლუცია. მისი მიზანი იქნება ტექნოლოგია და ეკონომიკა და არა პოლიტიკა.

194. ალბათ რევოლუციონერებმა თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური ძალის აღებაზე, მანამდე მაინც სანამ ინდუსტრიული სისტემა უკანასკნელი წუთების დათვლას არ დაიწყებს და ხალხის თვალში, როგორც წარუმატებლობა ისე არ გამოჩნდება. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე "მწვანე" პარტიამ არჩევნებით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის კონტროლი მოიპოვა. თავიანთი იდეოლოგიის ღალატი, რომ აირიდონ თავიდან მათ მოუწევთ მტკივნეული ნაბიჯების გადადგმა და გადაწყვეტილების მიღება, რომ ეკონომიკური ზრდა ეკონომიკურ კრიზისად გადააქციონ. საშუალო სტატისტიკური ადამიანისთვის შედეგები დამღუპველი აღმოჩნდება: მასობრივი უმუშევრობა, საქონლის ნაკლებობა და ა.შ. თუნდაც ამ მტკივნეული და ავადსახსენებელი შედეგების თავიდან აცილება მოხდეს, ხალხს მოუწევს იმ კომფორტის ნივთებზე უარის თქმა, რომლებსაც ასე შეეჩვივნენ. უკმაყოფილება გაიზრდება, "მწვანეთა" პარტია არჩევნებს წააგებს და რევოლუციონერებიც მარცხს განიცდიან. ამ მიზეზით რევოლუციონერებმა თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური პოზიციების დაკავებისგან, მანამ სანამ სისტემა იმდენად პრობლემატური არ გახდება, რომ ყოველი გასაჭირი სწორედ სისტემის ბრალეულობად იქნება შერაცხული და არა

რევოლუციონერების გადაწყვეტილებად. ტექნოლოგიის წინააღმდეგ რევოლუცია ალბათ ქვედა ფენიდა წამოსული უნდა იყოს და არა ზემოდან.

195. რევოლუცია საერთაშორისო უნდა იყოს და მთელ მსოფლიოს უნდა მოედოს. შეუძლებელია ის ჯერ ერთ ქვეყანაში მოხდეს და მერე მეორეში. მაგალითად, როდესაც აზრი გამოითქმევა, რომ ამერიკამ ეკონომიკური და ტექნოლოგიური ზრდა უნდა შეწყვიტოს, მაშინვე იწყება ისტერია, რომ როგორც კი ეს მოხდება იაპონია ამერიკას გადაასწრებს. წმინდა რობოტებო! დედამიწა თავისი ორბიტიდან გაფრინდება თუ იაპონია ამერიკაზე მეტ მანქანას გაყიდის (ნაციონალიზმი ტექნოლოგიის დიდი მხარდამჭერია.) თუ დემოკრატიული ქვეყნები ტექნოლოგიურ პროგრესს შეანელებენ მაშინ დიქტატორი სახელმწიფოები, როგორიცა ჩინეთი, ვიეტნამი თუ ჩრდილო კორეაა მათ განვითარების დონეში გადაასწრებენ და შეიძლება მთელი სამყაროც კი დაიპყრონ. სწორედ ამიტომაც ინდუსტრიულ სისტემაზე ყველა ქვეყანაში ერთდროულად უნდა იქნეს იერიში მიტანილი, თუ დავუშვებთ, რომ ეს შესაძლებელია. რათქმაუნდა არ არსებობს გარანტია, რომ ინდუსტრიული სისტემა მთელ მსოფლიოში ერთდროულად განადგურდება და ისიც სავსებით დასაშვებია, რომ სისტემის გადაგდებამ დიქტატორების მმართველობამდე მიგვიყვანოს. მაგრამ ეს ის რისკია, რომელზე უნდა წავიდეთ. ამ რისკზე წასვლა კი ღირს, რადგან გასნხვავება "დემოკრატიულ" ან დიქტატორულ ინდუსტრიულ სისტემას და ინდუსტრიულ ან არაინდუსტრიულ სისტემას შორის მცირეა. შესაძლებელია, რომ დიქტატორის მართული ინდუსტრიული სისტემა უკეთესიც კი იყოს. რადგან ასეთი მმართველობის ტიპები არც ისე ეფექტური და ადვილად დაშლადია. ავიღოთ კუბის მაგალითი.

196. რევოლუციონერებმა შეიძლება მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური ფორმირების იდეა თავიანთვის სასარგებლოდ გამოიყენონ. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, როგორიცაა NAFTA და GATT-ი ბუნებისთვის აშკარად საზიანო შეთანხმებებია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება სასარგებლოც კი აღმოჩნდეს, რადგან ისინი ქვეყნებს შორის ეკონომიკას აერთიანებენ. ინდუსტრიული სისტემის განადგურება მსოფლიოს მასშტაბით ადვილი იქნება თუ ეკონომიკა ერთ ორგანიზმადაა გადაქცეული, რადგან რომელიმე ძლიერი სახელწმიფოს ეკონომიკის მოშლა გამოიწვევს ინდუსტრიული სახელმწიფოების გამართულად ფუნქციონირების შეწყვეტას.

197. ზოგი ფიქრობს, რომ თანამედროვე ადამიანს დიდი ძალაუფლება და ზეგავლენა აქვს ბუნებაზე, სწორედ ამიტომ კაცობრიობას პასიურობისკენ მოუწოდებენ. საუკეთესო შემთხვევაში ეს ხალხი საკუთარ აზრს ნათლად ვერ

გადმოსცემს, რადგან ვერ პოულობენ განსხვავებას დიდი ორგანიზაციების ძალაუფლებასა და ინდივიდის, პატარა ჯგუფების ძალაუფლებას შორის. შეცდომაა პასიურობის და უძლურებისკენ მოწოდება, იმიტომ რომ ხალხს სჭირდება ძალაუფლება. თანამედროვე ადამიანს, როგორც კოლექტიურ ორგანიზმს, ანუ ინდუსტრიულ სისტემას განუზომელი ძალაუფლება და კონტროლი აქვს ბუნებაზე და ჩვენ (FC) ამას სასტიკად ვეწინააღმდეგებით. მაგრამ თანამედროვე ინდივიდებს და პატარა ჯგუფებს იმაზე ნაკლები ძალა აქვთ ვიდრე პრიმიტიულ ხალხებს ოდესმე ჰქონდათ. საზოგადოდ თუ ავიღებთ, იმ ძალის უდიდესი ნაწილი, რომელიც ბუნებაზე ტარდება ინდივიდების მიერ კი არა დიდი ორგანიზაციების მიერაა განხორციელებული. საშუალო სტატისტიკურ მოდერნულ ინდივიდუალს აქვს უფლებამოსილება ტექნოლოგიის გამოყენების, მხოლოდ ვიწრო ჩარჩოებში და მხოლოდ სისტემის დაკვირვების ქვეშ. (ყველაფრისთვის მოწმობა გჭირდება და მოწმობებთან ერთად მოდის წესები და რეგულაციები). ინდივიდს მხოლოდ ის ტექნოლოგიური ძალა აქვს, რომელსაც მას სისტემა მისცემს. მისი პერსონალური ზეგავლენა ბუნებაზე მინიმალურია.

198. პრიმიტიულ ინდივიდებს და პატარა ჯგუფებს საკმაოდ მოზრდილი ზეგავლენა ჰქონდათ ბუნებაზე, თუმცა უკეთესია თუ ვიტყვით ბუნების ფარგლებში. როდესაც პრიმიტიულ ადამიანს მოშივდებოდა, მან იცოდა თუ რომელი მცენარი იყო საკვებად ვარგისი, როგორ მოენადირებინა ცხოველები საკუთარი ხელით შექმნილი იარაღით.მან იცოდა თუ როგორ უნდა დაეცვა თავი სიცხისგან, სიცივისგან, წვიმისგან, საშიში ნადირისგან და ა.შ. მაგრამ პრიმიტიულმა კაცმა ბუნებას ნაკლები ზიანი მიაყენა, რადგან პრიმიტიული საზოგადოების კოლექტიური ძალა უმნიშვნელოა ინდუსტრიული საზოგადოების კოლექტიურ ძალასთან შედარებით.

199. უძლურების და პასიურობის მაგივრად, ინდუსტრიული სისტემის ძალაუფლება უნდა განადგურდეს და ეს დიდად გაზრდის ინდივიდების და პატარა ჯგუფების თავისუფლებას და ძალას.

200. სანამ ინდუსტრიული სისტემა ბოლომდე არ დაიშლება, მისი განადგურება რევოლუციონარების ერთადერთი მიზანი უნდა იყოს. სხვა დანარჩენი მხოლოდ საჭირო ყურადღებას და ენერგიას დააკარგვინებს ზემოთ ხსენებულ მიზანს. მეტიც თუ მათ ექნებათ რაიმე სხვა მიზანი გარდა ტექნოლოგიის განადგურებისა, ისინი შეიძლება ცდუნდნენ და ტექნოლოგია გამოიყენონ, როგორც იარაღი ამ სხვა მიზნის მისღწევად. თუ ცდუნებას ვერ გაუძლებენ, ისინი ტექნოლოგიურ ხაფანგში აღმოჩნდებიან, რადგან თანამედროვე ტექნოლოგია ერთიანი, კარგად ორგანიზირებული ორგანიზმია. მისი ერთი ნაწილის გამოყენებით, იძულებული

გახდებიან სხვა ნაწილებიც გამოიყენონ, და შესაბამისად შეუძლებელი იქნება ტექნოლოგიის მხოლოდ ერთი ასპექტის მოშორება.

201. მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ, რომ რევოლუციონერებმა მიზნად "სოციალური თანასწორობა" დაისახეს. ადამიანის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ სოციალური თანასწორება შეუძლებელია, ესეგი იგი ძალით უნდა დამყარდეს. და ამისთვის რევოლუციონერებს დასჭირდებათ ცენტრალური მთავრობის და კონტროლის შენარჩუნება. რისთვისაც სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემებია საჭირო, შესაბამისად ის ყველა ტექნოლოგიური დამხარება, რომელიც ამ სისტემების გამართულად სამუშაოდაა აუცილებელი. ხალხის გამოსაკვებად და შესამოსლად აგრიკულტურის და წარმოების ინდუსტრიები დასჭირდებათ და ა.შ. ასე რომ სოციალური თანასწორობის ძალდატანებით დამყარებისთვის მათ მოუწევთ ტექნოლოგიის უამრავის სფეროს გამოყენება. ჩვენ არაფერი გვაქ სოციალური თანასწორობის წინააღმდეგი, უბრალოდ ის ხელს არ უნდა უშლიდეს ტექნოლოგიურ სისტემასთან ბრძოლას.

202. რათქმაუნდა უიმედო ბრძოლა იქნება თუ რევოლუციონერები სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში ტექნოლოგიას არ გამოიყენებენ. სულ რომ არაფერი კომუნკაციის სერვისი საჭიროა შეტყობინების გადასაცემად. მაგრამ მათ თანამედროვე ტექნოლოგია მხოლოდ ერთი მიზნისთვის უნდა გამოიყენონ: რომ გაანადგურონ ტექნოლოგიური სისტემა.

203. წარმოიდგინეთ ალკოჰოლიკი, რომელიც ღვინის კასრის წინ ზის და ამბობს: "ღვინო სულაც არაა ცუდი ჯანმრთელობისთვის თუ ზომიერათ მიირთმევთ. ამბობენ ცოტაოდენი ღვინო სასარგებლოც კი არისო. არაფერი მომივა ერთი ჭიქა, რომ დავლიო..." უკვე იცით თუ რაც მოხდება. არ დაივიწყოთ, რომ ადამიანთა მოდგმა ტექნოლოგიასთან ისეა, როგორც ალკოჰოლიკი ღვინის კასრთან.

204. რევოლუციონერებს რაც შეიძლება მეტი შვილები უნდა ჰყავდეთ. არსებობს მეცნიერული დასკვნები, რომ სოციალური დამოკიდებულება და ხასიათი გენეტიკასთან მჭიდრო კავშირშია. არავინ ამტკიცებს, რომ გენეტიკიდან გამომდინარე ყალიბდება ადამიანის აზროვნება და შეხედულებები, უბრალოდ ფაქტია, რომ პიროვნული მახასიათებლები გენეტიკურია და დიდ როლს თამაშობს ადამიანის სოციალურ შეხედულებების ჩამოყალიბებაში. ამ მოსაზრების წინააღმდეგ არგუმენტები წამოჭრილა, თუმცა ისინი სუსტი და

იდეოლოგიურ მოტივებზეა აწყობილი. ნებისმიერ შემთხვევაში, არავინ უარყოფს, რომ საშუალოდ: ბავშვები, თავიანთი მშობლების მსოფლმხედველობას რაღაც დონეზე ითავისებენ. ჩვენს შემთხვევაში არ აქვს არანაერი მნიშვნელობა ეს შეხედულებები გენეტიკურად გადაეცემა თუ აღზრდის შედეგად. რაც გვაინტერესებს არის ის, რომ ისინი ყველა შემთხვევაში გადადის შთამომავლობაზე.

205. პრობლემა იმაშია, რომ იმ ხალხის უმეტესობა, რომელსაც ინდუსტრიული სისტემის წინააღმდეგ უნდა გალაშქრება, ასევე აწუხებს ჭარბი პოპულაცია და სწორედ ამიტომ ცოტა ან საერთოდ არ ჰყავთ შვილები. ამით ისინი მსოფლიოს იმ ხალხს უთმობენ, რომლებიც ემხრობიან და ან ეთანხმებიან ინდუსტრიულ სისტემას. რევოლუციონერების მომავალი თაობის შესაქმნელად, ახლანდელი თაობა რაც შეიძლება მეტად უნდა გამრავლდეს. ამით ისინი პოპულაციის პრობლემას მხოლოდ მცირედით თუ დაამძიმებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ინდუსტრიული სისტემის განადგურებაა, როდესაც ის აღარ იქნება მოსახლეობის რაოდენობა საჭირო დონეზე შემცირდება (იხილეთ პარაგრაფი 167), ხოლო თუ ინდუსტრიული სისტემა გადარჩება, ის შექმნის საჭმლის მოპოვების ახალ ხერხებს და დედამიწის მოსახლეობაც უკიდეგანოდ გაიზრდება.

206. რევოლუციის გეგმასთან დაკავშირებით: ჩვენ დაჟინებით ვდგავართ იმ აზრზე, რომ ერთადერთი მთავარი მიზანი თანამედროვე ტექნოლოგიების განადგურებაა. სხვა დანარჩენისთვის რევოლუციონერებმა ემპირიული მიდგომა უნდა გამოიყენონ. თუ გამოცდილებამ აჩვენა, რომ ზემოთ აღნიშნულ პარაგრაფებში მოყვანილმა რეკომენდაციებმა შედეგი ვერ გამოიღო, მაშინ ისინი სასწრაფად უნდა იქნეს უკუგდებული.

ორის სახის ტექნოლოგია

207. ჩვენ მიერ შეთავაზებულ რევოლუციის შესახებ მოსაზრებები წამოიჭრება, რომ თითქოს ის განწირულია და ვერ გაიმარჯვებს, რადგან ისტორიის განმავლობაში ტექნოლოგია ყოველთვის პროგრესს განიცდიდა და შესაბამისად ტექნოლოგიური რეგრესიც შეუძლებელია. მაგრამ ეს თეორია მცდარია.

208. ჩვენ ტექნოლოგიას ვყოფთ ორ ტიპად: მცირე ზომის ტექნოლოგია და ორგანიზაციებზე დამოკიდებული ტექნოლოგია. მცირე ზომის ტექნოლოგია არის ტექნოლოგია, რომლის გამოყენებაც პატარა კომუნებს გარე ძალების ჩარევის გარეშეც შეუძლიათ. ორგანიზაციებზე დამოკიდებული ტექნოლოგია

არის ტექნოლოგია, რომელიც დამოკიდებულია დიდი მასშტაბების სოციალურ ორგანიზაციებზე. მცირე ზომის ტექნოლოგიის რეგრესის შესახებ არაფერია ცნობილი, თუმცა ვიცით, რომ ორგანიზაციებზე დამოკიდებული ტექნოლოგიები რეგრესს განიცდიან, მაშინ როდესაც ის სოციალური ორგანიზმები იშლებიან, რომლებზეც ეს ტექნოლოგია იყო დამოკიდებული. როდესაც რომის იმპერია დაიშალა მცირე ზომის ტექნოლოგია გადარჩა, რადგან ნებისმიერ ჭკვიან სოფლის ოსტატს შეეძლო წყლის ბორბლის აგება, ნებისმიერ მჭედელს შეეძლო რომაული სტილით რკინის გამოჭედვა და ა.შ. მაგრამ რომაელების ორგანიზაციებზე დამოკიდებულმა ტექნოლოგიამ რეგრესი განიცადა. მათი აკვედუკები განადგურდა და არც არასდროს აგებულა ხელახლა. მათი გზის მშენებულობის ტექნოლოგია დაიკარგა. რომაული ქალაქების კანალიზაციის სისტემაც წარსულს ჩაბარდა და მხოლოდ საუკუნეების შემდეგ თუ გაუტოლდა ევროპული ქალაქების კანალიზაცია ძველ რომაულს.

209. მიზეზი რის გამოც ისე ჩანს თითქოს ტექნოლოგია ყოველთვის პროგრესს განიცდიდა არის ის, რომ ინდუსტრიულ რევოლუციამდე ტექნოლოგია ხშირ შემთხვევაში მცირე ზომის იყო. მაგრამ ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ უმეტესობა ტექნოლოგიისა "ორგანიზაციებზე დამოკიდებული" სახისაა. მაგალითად ავიღოთ მაცივარი. ფაბრიკაში დამზადებული ნაწილებისა და სპეციალური ქარხნების გარეშე, შეუძლებელია რამდენიმე სოფლის ოსტატის მიერ მისი შექმნა. თუ რაიმე სასწაულით მაინც შექმნეს, ის გამოუსადეგარი იქნება დენის წყაროს გარეშე. ესეიგი მოუწევთ მდინარის დაგუბება და ჰესის აშენება. ჰესის გენერატორებისთვის დიდი რაოდენობის სპილენძის მავრთულებია საჭირო, ჰოდა ეხლა წარმოიდგინეთ ასეთი მავრთულების გაკეთება თანამედროვე დაზგების გარეშე. და საიდან მოიპოვებდნენ მაცივრისთვის საჭირო აირს? უმჯობესი იქნებოდა ყინულის სახლის აშენება, საჭმლის გამოშრობა ან დამარინადება, როგორც ამას აკეთებდნენ მაცივრის გამოგონებამდე.

210. შესაბამისად ნათელია, რომ როდესაც ინდუსტრიული სისტემა მთლიანად განადგურდება მაცივრის ტექნოლოგია დაიკარგება. იგივე მოხდება სხვა ორგანიზაციებზე-დამოკიდებულ ტექნოლოგიების შემთხვევაში. და როდესაც ის ერთი თაობის განმავლობაში დავიწყებული იქნება, მის თავიდან გამოგონებას საუკუნეები დასჭირდება. გადარჩენილი ტექნიკური წიგნები ცოტა და მიმოფანტული იქნება. ინდუსტრიული საზოგადოება გარეგანი დახმარების გარეშე თუ ნოლიდან აშენდება, , ეს მოხდება რამდენიმე ფაზად: შენ გჭირდება ხელსაწყო, რომ შექმნა ხელსაწყო, რომ შექმნა ხელსაწყო და ა.შ... ეკონომიკური განვითარების და პროგრესის გრძელვადიანი პროცესია საჭირო სოციალურ ორგანიზაციაში. და თუნდაც იმ იდეოლოგიის არ არსებობის პირობებში,

რომელიც ტექნოლოგიას ეწინააღმდეგება, საეჭვოა ვინმეს ინდუსტრიული საზოგადოების აღდგენა მოუვიდეს აზრად. "პროგრესისადმი" ენთუზიაზმი თანამედროვე საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი და არ არსებობდა (შესამჩნევად მაინც) მე-17 საუკუნემდე და ადრეულ ხანაში.

211. გვიან შუა საუკუნეებში ოთხი ძირითადი ცივილიზაცია არსებობდა, რომლებიც ასე თუ ისე ერთნაირად "განვითარებულები" იყვნენ: ევროპა, ისლამური სამყარო, ინდოეთი და შორეული აღმოსავლეთი (ჩინეთი, იაპონია, კორეა). ამ ცივილიზაციებიდან სამი შედარებით სტაბილური დარჩა, მხოლოდ ევროპა გახდა დინამიური. არავინ იცის, თუ რატომ მოხდა ეს ასე, ისტორიკოსებს აქვთ თეორიები, მაგრამ ესენი მხოლოდ სპეკულაციებია. მაგრამ ნათელია, რომ სწრაფი განვითარება ტექნოლოგიური საზოგადოებისკენ, მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ხდება. შესაბამისად არ არსებობს მიზეზი, ვამტკიცოთ, რომ გრძელ ვადიანი ტექნოლოგიური რეგრესი შეუძლებელია.

212. გადაიქცევა საბოლოოდ საზოგადოება კვლავ ინდუსტრიულად? ალბათ, მაგრამ ამაზე ღელვა არ ღირს, რადგან არ შეგვიძლია იმ მოვლენების კონტროლი ან წინასწარმეტყველება, რომლებიც 500 ან 1000 წლის მერე მოხდება. ამ პრობლემებს ის ხალხი უნდა გაუმკლავდეს ვინც იმ დროს იცხოვრებს.

მემარცხენეობის საფრთხე

213. ამბოხების და მოძრაობის წევრობის მოთხოვნილების გამო, მემარცხენეები და მათნაერი ფსიქოლოგიის მქონე პიროვნებები ხშირად ერთიანდებიან მეამბოხე მოძრაობებში, რომლებსაც სინამდვილეში არაფერი არ აქვთ საერთო მემარცხენეობასთან. გაზრდილ მემარცხენეების ნაკადს შეუძლია არა-მემარცხენე ჯგუფის მემარცხენედ გადაქცევა და მისი თავდაპირველი მიზნების მემარცხენე მიზნებით ჩანაცვლება.

214. ამის თავიდან ასაცილებლად, მოძრაობამ, რომელიც ბუნებას ექომაგება და ტექნოლოგიას ეწინააღმდეგება, მტკიცედ უნდა დაიჭიროს ანტი-მემარცხენე პოზიცია და თავიდან აირიდოს ნებისმიერი სახის კოლაბორაცია მემარცხენეებთან. მემარცხენეობა, გრძელ ვადაში, შეუთავსებელია ბუნებასთან, ადამიანის თავისუფლებასთან და ტექნოლოგიის განადგურებასთან. მემარცხენეობა კოლექტივიზმია: ის მიისწრაფვის მთლიანი სამყაროს (ადამიანის და ბუნების) ერთ მთლიანობაში მოსაქცევად. მაგრამ ეს გულისხმობს

ბუნების და ადამიანის ცხოვრების მენეჯმენტს ორგანიზებული საზოგადოებით, რომელსაც სჭირდება განვითარებული ტექნოლოგია. გაერთიანებული მსოფლიო სწრაფი კომუნიკაციების და სატრანსპორტო სისტემის გარეშე ვერ იარსებებს, სხვადასხვა ხალხებს ერთმანეთს ვერ შეაყვარებენ რთული ფსიქოლოგიური მეთოდების გარეშე, ვერ გექნება "დაგეგმილი საზოგადოება" საჭირო ტექნოლოგიური ბაზისის გარეშე. უმთავრესად: მემარცხენეობის მამოძრავებელი ძალა ძალაუფლების წყურვილია, მემარცხენეს სურს კოლექტივიზმზე დაფუძნებული ძალაუფლება და ამას დიდ ორგანიზაციებთან ან მოძრაობებთან ასოცირებით ცდილობს. საეჭვოა მემარცხენეობამ ოდესმე უარი თქვას ტექნოლოგიაზე, რადგან ტექნოლოგია კოლექტიური ძალაუფლების საწყისია.

215. ანარქისტს ასევე სურს ძალაუფლება, მაგრამ მხოლოდ ინდივიდუალურ ან მცირე ჯგუფის დონეზე, მას სურს პიროვნებებს და მცირე ზომის კომუნებს ჰქონდეთ სრული კონტროლი მათსავე ცხოვრების ყველა ასპექტზე. ანარქისტი ეწინააღმდეგება ტექნოლოგიას, რადგან ტექნოლოგია მცირე ჯგუფებს დიდ ორგანიზაციებზე დამოკიდებულს ხდის.

216. ზოგიერთი მემარცხენე თითქოს ეწინააღმდეგება ტექნოლოგიას, მაგრამ მხოლოდ მანამდე სანამ ისინი გარიყულები არიან და ტექნოლოგიური სისტემა არა-მემარცხენეების კონტროლ ქვეშაა. თუ მემარცხენეობა ოდესმე ისეთი დომინანტი გახდა საზოგადოებაში, რომ ტექნოლოგიების მართვის სადავეები მემარცხენეებმა ჩაიგდეს ხელში, მაშინ ისინი სიხარულით დაუჭერენ მის განვითარებას და გაზრდას მხარს. ამ საქციელით ისინი გაყვებიან იმ გზას, რომელსაც მემარცხენეები წარსულში არაერთხელ მიმართავდნენ. როდესაც რუსეთში ბოლშევიკები უმცირესობაში იყვნენ, ისინი ცენზურის და საიდუმლო პოლიციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მხარს უჭერდნენ ეთნიკურ თვითგამორკვევას და ა.შ. მაგრამ ძალაუფლებაში მოსვლისთანავე მათ უფრო მკაცრი ცენზურა დაამყარეს და უფრო სასტიკი საიდუმლო პოლიცია შექმნეს, ვიდრე ეს ცარების დროს იყო. ასევე ცარებზე არანაკლები სისასტიკით ახშობდნენ ეთნიკურ უმცირესობებს. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, რამდენიმე დეკადის უკან, როდესაც მემარცხენეები უნივერსიტეტში უმცირესობაში იყვნენ, მემარცხენე პროფესორები თავგამოდებით იბრძოდნენ აკადემიკური თავისუფლებისთვის, მაგრამ როგორც კი მემარცხენეები დომინანტები გახდნენ სწრაფადვე დაიწყეს ყველასთვის აკადემიკური თავისუფლების წართმევა. (ამას ჰქვია "პოლიტ-კორექტულობა"). იგივე მოხდება მემარცხენეების და ტექნოლოგიის შემთხვევაში. ისინი გამოიყენებენ მას ყველას ჩასახშობად, თუ ოდესმე ხელში ჩაიგდებენ ტექნოლოგიას.

217. ადრინდელ რევოლუციებში, ძალაუფლების ხელში ჩაგდების წყურვილით აღსავსე მემარცხენეები, ჩვეულებრივ თანამშრომლობდნენ, როგორც შედარებით რბილი მემარცხენე იდეის მატარებელ, ისე არა-მემარცხენე ელემენტებთან. და ასევე ჩვეულებრივ მიდიოდნენ მათ წინააღმდეგაც, რადგან მთავრობა და ძალაუფლება თავისთვის დაეტოვებინათ. რობესპიერმა ეს ქნა საფრანგეთში, ბოლშევიკებმა იგივე გაიმეორეს რუსეთში, კომუნისტებმა ესპანეთში, კასტრომ და მისმა დამქაშებმა კუბაში და ა.შ. წარსულის გამოცდილებებზე დაყრდნობით სისულელე იქნება ნებისმიერი სახის კოლაბორაცია მემარცხენეებთან.

218. არაერთ მოაზროვნებს აქვს აღნიშნული, რომ მემარცხენეობა რაღაც სახის რელიგიაა. ოღონდ მკაცრი გაგებით რელიგია არა, რადგან მემარცხენეობის იდეა არ აღიარებს რაიმე ზებუნებრივს. მაგრამ მემარცხენესთვის, მემარცხენეობა ისეთ ფსიქოლოგიურ როლს ასრულებს, როგორსაც რელიგია ზოგიერთი ადამიანისთვის. მემარცხენეს სჭირდება, რომ მემარცხენეობის სჯეროდეს, იმიტომ რომ ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის ფსიქოლოგიურ ეკონომიკაში. მის შეხედულებებს ფაქტები და ლოგიკა მარტივად ვერ ცვლის. მას ღრმად სწამს, რომ მემარცხენეობა ჭეშმარიტებაა და რომ მას არამარტო მორალური უფლება, არამედ მოვალეობაც აქვს, რომ მისი შეხედულებები ყველას და ყველაფერს მოახვიოს თავს. (მიუხედავად ამისა, ბევრი, რომლებიც მაგალითად მოგვყავს სულაც არ მიიჩნევენ თავს მემარცხენეებად. ჩვენ ვიყენებთ ტერმინს "მემარცხენე", რადგან არ ვიცით უკეთესი სიტყვა იმ სპექტრუმის აღსაწერად, რომელიც აერთიანებს ერთნაერ ღირებულებებს, როგორიცაა: ფემინიზმი, გეების უფლებები, პოლიტ-კორექტულობა და ა.შ. და კიდევ იმიტომ, რომ ამ მოძრაობებს ძლიერი კავშირი აქვთ ძველ მემარცხენეობასთან. იხილეთ პარაგრაფები 227-230.)

219. მემარცხენეობა ტოტალიტარული ძალაა. როდესაც იგი ძალაუფლებაშია, ის არღვევს ყველა პირადულ კუთხეს და ცდილობს მოაქციოს ისინი მემარცხენე მსოფლმხედველობაში. ეს ყველაფერი ნაწილობრივ მემარცხენეობის კვაზი-რელიგიური მახასიათებლისგანაც გამომდინარეობს; ყველაფერი რაც მას ეწინააღმდეგება "ცოდვაა". უფრო მეტიც მემარცხენეობა ტოტალიტარული, მემარცხენეების ძალაუფლების მოპოვების დაუოკებელი სურვილის გამოა. მემარცხენე ცდილობს საკუთარი ძალის პროცესის დაკმაყოფილებას მოძრაობასთან ასოცირებით და ამ მოძრაობის მიზნების შესრულებით (იხილეთ პარაგრაფი 83). მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა რა დონეზე მოხდება მოძრაობის მიზნების შესრულება, მემარცხენე მაინც არასდროს იქნება კმაყოფილი, რადგან

აქტივიზმი მისი სუროგატი აქტივობაა (იხილეთ პარაგრაფი 41). ესეიგი, მემარცხენეს მთავარი მოტივი მოძრაობის მიზნების მიღწევა კი არა, ძალაუფლების განკარგვის შეგრძნებაა, რომელსაც ის სოციალური აქტივიზმით იღებს. შესაბამისად მემარცხენე არასდროსაა მიღწეული მიზნებით კმაყოფილი, მისი ძალის პროცესის მოთხოვნილება აიძულებას მას ეძიოს ახალი მიზნები. მემარცხენეს სურს თანაბარი შესაძლებლობები ეთნიკური უმცირესობებისთვის. როდესაც ეს მიიღწევა, ის მოითხოვს უმცირესობების მიერ მიღწეული შედეგების სტატისტიკურად თანაბრობას. თუ ვინმე ნეგატიურად ფიქრობს ეთნიკურ უმცირესობებზე, მემარცხენემ აუცილებლად უნდა გაანათლოს ის. და ეთნიკური უმცირესობები არაა საკმარისი, არავის ექნება უფლება ნეგატიურად იფიქროს ჰომოსექსუალებზე, შშმ პირებზე, მსუქნებზე, მოხუცებზე, უშნოებზე და ა.შ. არაა საკმარისი საზოგადოების ინფორმირება სიგარეტის მავნებლობაზე, გაფრთხილება ყველა კოლოფზე უნდა იქნეს დაბეჭდილი. შემდეგ სიგარეტის რეკლამირება უნდა შეიზღუდოს. აქტივისტი არასდროს იქნება კმაყოფილი სანამ თამბაქო მთლიანად არ აიკრძალება, შემდეგ იქნება ალკოჰოლი, სწრაფი კვება და ა.შ. აქტივისტები იბრძოდნენ ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე, რაც სავსებით მისაღებია. მაგრამ ახლა მათ, მშობლის მიერ ბავშვისთვის სილის არტყმაც უნდათ, რომ გააუქმონ. როდესაც ამასაც აკრძალავენ, სხვა რამეს მიადგებიან რაც მათ "საყვარელია"-ს კრიტერიაში არ ჯდება, შემდეგ კიდევ სხვა, კიდევ სხვა და ა.შ.

220. მემარცხენეს, რომ უთხრათ, ჩამოწეროს საზოგადოების პრობლემები და შემდეგ მოახდინოთ ყველა ის სოციალური ცვლილება რასაც ისინი მოითხოვენ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე წელიწადში მემარცხენეები ახალ სოციალურ "ბოროტებას" იპოვიან, რომელზეც იწუწუნებენ. რადგან ისინი საზოგადოების ცუდი თვისებების გამოსწორებით კი არ არიან მოტივირებულნი, არამედ თავიანთი ძალაუფლების დამყარებით სოციუმის ყველა ასპექტზე.

221. მემარცხენეების მაღალი სოციალიზაციის დონე ზღუდავს და ჩარჩოებში აქცევს მათ აზროვნებას, სწორედ ამიტომაც ბევრ, ზედმეტად სოციალიზირებულ მემარცხენეს არ შეუძლია საკუთარი ნების და ძალის მოპოვება, როგორც ჩვეულებრივ ხალხს. მათთვის, ძალაუფლებისთვის ბრძოლას მხოლოდ ერთი მორალური გამართლება აქვს: მოახვიონ თავზე საკუთარი მორალი აბსოლიტურად ყველას.

222. მემარცხენეები, განსაკუთრებით კი ოვერსოციალიზირებული ტიპისანი, ჭეშმარიტი მორწმუნეები არიან ერიკ ჰოფერის წიგნის "ჭეშმარიტი მორწმუნე"-ს მსგავსად. მაგრამ ყველა მორწმუნე არაა იმავე ფსიქოლოგიური ტიპის, როგორც

მემარცხენე. მაგალითად, ნაცისტი, რომელსაც სწამს თავისი იდეოლოგიის ფსიქოლოგიურად ძალზედ განსხვავდება მემარცხენესგან, რომელსაც იმავენაირად სწამს საკუთარი შეხედულებების. ასეთი ფანატიკოსების შესაძლებლობა, ერთ მიზანს მიუძღვნან თავი, ნებისმიერი რევოლუციური მოძრაობისთვის საჭირო ინგრედიენტია. წამოიჭრა პრობლემა, რომელიც უნდა ვაღიაროთ, რომ არ ვიცით როგორ გადავჭრათ. დარწმუნებით არ ვიცით, როგორ მივმართოთ ფანატიკოსების ენერგიები ტექნოლოგიის წინააღმდეგ გამართულ რევოლუციისადმი. ამჟამად მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ არცერთი ჭეშმარიტი მორწმუნე არ იქნება ნამდვილი და უსაფრთხო რეკრუტი, სანამ მისი თავდადება და ძალისხმევა მხოლოდ ტექნოლოგიის განადგურებას არ მოხმარდება. თუ მას სხვა იდეალებიც ექნება, ის ალბათ გამოიყენებს ტექნოლოგიას მათ მისაღწევად (იხილეთ პარაგრაფი 220-221).

223. ზოგიერთი მკითხველი ალბათ იტყვის: "მემარცხენეობაზე ნათქვამი ბევრი რამ უბრალოდ ნაგავია, მე ვიცნობ ჯონს და ჯეინს, რომლებიც მემარცხენე ტიპაჟების არიან და არცერთს არ აქვს ტოტალიტარული ტენდენციები." მართალია, რომ ბევრი მემარცხენე, დიდი ალბათობით უმრავლესობაც კი ნორმალური პიროვნებაა, რომელსაც გულით სჯერა სხვისი ღირებულებებისადმი ტოლერანტობის და სულაც არ გამოიყენებს რადიკალურ მეთოდებს საკუთარი სოციალური მიზნების მისაღწევად. ჩვენი მემარცხენეობის შეფასება თითოეულ ინდივიდუალს კი არ ეხება, არამედ მემარცხენეობას როგორც მოძრაობას. და მთავარი ღირებულებები მოძრაობისა არ ისაზღვრება იმ ხალხის რაოდენობრივი პროპორციებით, რომლებიც ამ მოძრაობაში არიან ჩართულნი.

224. ადამიანები, რომლებიც მემარცხენე მოძრაობებში მაღალ პოზიციებზე ხვდებიან ძირითადად ძალაუფლებას მოწყურებული მემარცხენე ტიპს მიეკუთვნებიან, რადგან სწორედ ასეთი ხალხი ცდილობს ძალის ხელში ჩაგდებას. როდესაც ეს ხალხი მოძრაობას აკონტროლებს, რათქმაუნდა არიან ბევრი მემარცხენეები, რომლებიც ლიდერების გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან, მაგრამ ვერაფერს აკეთებენ. მათ სჭირდებათ მოძრაობის მიმართ რწმენა და რადგანაც ამ რწმენას ასე უბრალოდ ვერ გადააგდებენ, ისინი უბრალოდ ეგუებიან ლიდერებს. მართალია, რომ ზოგიერთი მემარცხენე წინ უღდგება ტოტალიტარულ ტენდეციებს, მაგრამ ისინი ხშირად მარცხდებიან, რადგან ძალაუფლებას მოწყურებული ტიპის მემარცხენეები უკეთესად არიან ორგანიზებული, მაკიაველიანური პრინციპებით ხელმძღვანელობენ და უფრო ძლიერი რესურსები გააჩნიათ.

225. ეს ფენომენი ნათლად გამოჩნდა რუსეთში და იმ ქვეყნებში სადაც მემარცხენეებმა ძალაუფლება იგდეს ხელთ. ანალოგიურად, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მემარცხენე ელემენტები დასავლეთში იშვიათად აკრიტიკებდნენ კომუნიზმს. და მაინც, თუ აღიარებდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა ბევრი ცუდი რამ ჩაიდინა, მაშინვე დაიწყებდნენ კომუნიზმის დაცვას და დასავლურ საზოგადოებებში ნაკლოვანებებზე საუბარს. ისინი ყოველთვის უპირისპირდებოდნენ დასავლეთის სამხედრო წინააღმდეგობას კომუნიზმის მიმართ, მთელი მსოფლიოს მემარცხენე ელემენტებმა გააპროტესტეს ამერიკის მიერ ჯარების შეყვანა ვიეტნამში, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ, როდესაც საბჭოთა კავშირი ავღანეთში შევიდა. განა ისინი ამართლებდნენ საბჭოთა აგრესიას, უბრალოდ მათი მემარცხენე რწმენის გამო არ შეეძლოთ კომუნიზმის წინააღმდეგ წასულიყვნენ. დღესაც კი იმ უნივერსიტეტებში სადაც "პოლიტ-კორექტულობა" დომინანტია, არსებობენ მემარცხენეები, რომლებიც გაუმართლებლად მიიჩნევენ აკადემიკური თავისუფლების შეზღუდვას, თუმცა მხოლოდ დინებას მიყვებიან.

226. შესაბამისად, ფაქტი, რომ ბევრი მემარცხენე ინდივიდუალი კეთილი და შედარებით ტოლერანტი ადამიანია არ ნიშნავს იმას, რომ მემარცხენეობა, როგორც მთლიანობა ტოტალიტარიზმისკენ არ გადაიხრება.

227. ჩვენს მიერ მემარცხენეობის განხილვას სერიოზული სისუსტე აქვს. კვლავ ბურუსითაა მოცული თუ რას ვუწოდებთ "მემარცხენეს". და როგორც ჩანს ბევრი რამის გაკეთებაც არ შეგვიძლია. დღეს მემარცხენეობა დანაწევრებულია სხვადასხვა აქტივისტური მოძრაობებით. თუმცა ყველა ესეთი მოძრაობა არაა მემარცხენე და ზოგიერთი კი (მაგალითად რადიკალი ბუნების დამცველები) როგორც მემარცხენე ისე არა მემარცხენე ელემენტებს მოიცავს, რომლებმაც კარგად იციან მემარცხენეებთან კოლაბორაციას რა მოსდევს. მემარცხენეთა სხვადასხვა ტიპები დროთა განმავლობაში არამემარცხენეებად იქცევიან და ჩვენც გვირთულდება ამა თუ იმ ინდივიდისთვის მემარცხენეს წოდება. მემარცხენეობის ჩვენებურ კონცეფციას ის მსჯელობა განსაზღვრავს, რომელიც ამ სტატიაში წარმოვადგინეთ და მკითხველს, მხოლოდ იმას ვურჩევთ, რომ საკუთარი შეხედულებები გამოიყენოს მემარცხენეს განსაზღვრისას.

228. მაგრამ კარგი იქნება იმ კრიტერიუმების ჩამოწერა, რომლებიც მემარცხენეობის დიაგნოზირებაში დაგვეხმარება. ზოგიერთი ინდივიდუალი ჩაჯდება ამ კრიტერიუმებში, მაგრამ არ იქნება მემარცხენე და ზოგიერთი მემარცხენე საერთოდ ვერ მოხვდება მათში. კვლავ, მკითხველმა საკუთარი რაციონალური აზროვნება უნდა გამოიყენოს.

229. მემარცხენე ორიენტირებულია დიდი მასშტაბის კოლექტივიზმისკენ. მისთვის მნიშვნელოვანია ინდივიდის მოვალეობა, რომ ემსახუროს საზოგადოებას და საზოგადოების მოვალეობა ემსახუროს ინდივიდს. მას აქვს ნეგატიური დამოკიდებულება ინდივიდუალიზმისკენ. ის ხშირად იყენებს მორალურ ტონს. იგი ემხრობა იარაღის კონტროლს, სქესობრივ განათლებას და სხვა "საგანმანათლებლო" მეთოდებს, ასევე მულტიკულტურალიზმს. იგი იდენტიფიცირებას ახდენს მსხვერპლთან. ის თითქოს კონკურენციის და ძალადობის წინააღმდეგაა, მაგრამ ხშირად ამართლებს იმ მემარცხენეებს, რომლებიც ძალადობას მიმართავენ. მას მოსწონს იმ ფრაზებს გამოყენება, რომლებიც მემარცხენეებს ახასიათებთ: "რასიზმი", "სექსიზმი", "ჰომოფობია", “კაპიტალიზმი", "იმპერიალიზმი", “ნეოკოლონიალიზმი", "გენოციდი", "სოციალური ცვლილება", "სოციალური თანასწორობა", "სოციალური პასუხისმგებლობა". ალბათ საუკეთესო კრიტერიუმი მემარცხენეობის დიაგნოსტიკისთვის ქვემოთ მოყვანილ ჯგუფებთან იდენტიფიცირებაა: ფემინიზმი, გეებთა უფლებები, ეთნიკურ უმცირესობათა, შშმ პირთა და ცხოველთა უფლებები, პოლიტ-კორექტულობა და ა.შ. ნებისმიერი, რომელიც ძლიერ ასოცირებას ახდენს ამ ჯგუფებთან უცილობლად მემარცხენეა.

230. მეტადრე საშიშია ძალაუფლებას მოწყურებული მემარცხენე, რომელიც იდეოლოგიას დოგმატურად უდგება და ამპარტავანია. მაგრამ ყველაზე საშიში ის გადაჭარბებულად სოციალიზირებული მემარცხენეა, რომელიც არ მიმართავს აგრესიას და არ ავლენს მემარცხენეობას, მაგრამ ჩუმად იბრძვის კოლექტივიზმის ღირებულებებისკენ: ბავშვების სოციალიზაცია, ინდივიდუალის დამოკიდებულება სისტემაზე და ა.შ. ეს კრიპტო-მემარცხენეები (როგორც შეიძლება მათ ეწოდოთ) პრაქტიკაში ჰგვანან ზოგიერთ ბურჟუულ ელემენტს, მაგრამ განსხვავდებიან მათგან ფსიქოლოგიით, იდეოლოგიით და მოტივაციით. ჩვეულებრივი ბურჟუა ცდილობს ხალხი სისტემამ იმიტომ აკონტროლოს, რომ საკუთარი ცხოვრების სტილი დაიცვას, ხოლო კრიპტო-მემარცხენე ხალხის კონტროლს იმიტომ სცდილობს, რომ ის ჭეშმარიტი მორწმუნეა კოლექტიური იდეოლოგიის. კრიპტო-მემარცხენე საშუალო სტატისტიკური ოვერსოციალიზირებული მემარცხენისგან იმით განსხვავდება, რომ მისი ამბოხების იმპულსი უფრო სუსტია და სოციალიზაციის დონე დაბალი. ის განსხვავდება ჩვეულებრივი ბურჟუასგან იმით, რომ მთელ ცხოვრებას კოლექტივიზმს უძღვნის. და ალბათ მისი ამაღლებული ძალის დრაივი უფრო ძლიერია ვიდრე რიგითი ბურჟუასი.

საბოლოო შენიშვნა

231. ამ სტატიაში ჩვენ გავაკეთეთ განცხადებები, რომლებსაც მრავალი ახსნა და განვითარება შეიძლება ჰქონდეთ, ასე რომ სავსებით შესაძლებელია ჩვენს მიერ ნათქვამი მოსაზრება სრულად მცდარი აღმოჩნდეს. საჭირო ინფორმაციის ნაკლებობამ და ჩვენმა სიტყვა ძუნწობამ შეუძლებელი გახადა უფრო ზუსტად ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი შეხედულებები და მიგვენიჭებინა მათვის საჭირო კვალიფიკაციები. და რათქმაუნდა ამ სახის დისკუსიაში ინტუიციური მსჯელობა ყველაზე კარგი დასაყრდენია, შესაბამისად გასაკვირი არ იქნება შეცდომები, რომ იყოს დაშვებული. მაშასადამე არ ვამტკიცებთ, რომ ჭეშმარიტებასთან მიმართებაში ეს სტატია დაახლოებით ვარაუდზე მეტია.

232. მიუხედავად ყველაფრისა დარწმუნებულები ვართ, რომ ის სიტუაციები, რომლებიც ავღწერეთ გარკვეულ დონეზე სიმართლეა. ჩვენ დავახასიათეთ მემარცხენეობა, როგორც ჩვენი დროის პეკულიალური ფენომენი და ძალის პროცესის ერთერთი ხელისშემშლელი ფაქტორი. მაგრამ შესაძლებელია ამ ყველაფრის შესახებ სრულიად მცდარები ვიყოთ . ოვერსოციალიზირებული ელემენტები, რომლებიც ძალაუფლების წყურვილს მათი მორალის ყველასთვის თავზე მოხვევით იკმაყოფილებენ დიდი ხნის განმავლობაში არსებობდნენ. მაგრამ ვფიქრობთ, რომ სისუსტის განცდა, დაბალი თვითშეფასება, მსხვერპლთან იდენტიფიცირება იმ ხალხის მიერ, რომელიც არაა თვითონ მსხვერპლი არის თანამედროვე მემარცხენეობის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც სხვა იდეოლოგიებში არ გვხვდებიან. მსხვერპლთან იდენტიფიცირება 19-ე საუკუნის მემარცხენეობაში და ადრინდელ ქრისტიანობაშიც გვხვდება, მაგრამ დაბალი თვით-შეფასება და ა.შ. არცერთ ამ მოძრაობაში არ ვლინდებოდა ისე, როგორც თანამედროვე მემარცხენეობაში. მაგრამ ჩვენ არ გვძალუძს იმის მტკიცება არსებობდა თუ არა ასეთი მოძრაობა თანამედროვე მემარცხენეობამდე, ამ კითხვას ისტორიკოსებმა უნდა გასცენ პასუხი.